საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№41 (559)
11 - 17 ნოემბერი, 2020
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## რუსულმა ვაქცინამ ევროპული ბლოკადა გაარღვია
22

## ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!
3



«დღიდან თქვენი ხელისუფლებაში მოსვლისა, თვალებში შესციცინებთ ამერიკასა და ევროპას, მათი კარნახით მართავთ ქვეყანას» 21

## ცოდვის ტრიალი



18

## მეფე ერეკლე, გეორგიევსკის ტრაქტატი და დღევანდელი საქართველო
10



ვაჟა ოთარაშვილი:
რომ არა გეორგიევსკის ტრაქტატი, საქართველო დღეს იქნებოდა ან ირანის რიგითი სახანო, ან თურქეთის ვილაიეთი



ირაკლი გოგავა:
## მედიის მიერ ბაიდენის გამარჯვებულად გამოცხადება მხოლოდ ვარაუდია, მილოცვა კი — ნაჩქარევი
5

## შოუ დასრულდა, ომი იწყება!



6-7

## დასავლეთი სატანიზმის გზაზე
### ნიკიტა მიხალკოვი ამხელს
14-17







ბერნარდ შოუ: «დემოკრატია — ეს არის საჰაერო ბუშტი, რომელიც დაკიდებულია თქვენს თავზე და თქვენს ყურადღებას იპყრობს, ამ დროს კი სხვები თქვენს ჯიბეებს კარგად ქექავენ»

შაპიტოდ ქცეული ოპოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოპოზიციამ გამოაცხადა: ჩვენ ალტერნატიულ მთავრობას შევქმნით, ძალაუფლებას ხელში ავიღებთ და ცივილიზებულ სამყაროს ვეტყვით, რომ ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლები ჩვენ ვართ და არა მოქმედი მთავრობაო. ერთი შეხედვით, სრული სიგიჟეა, მაგრამ, მეორე მხრივ, შაპიტოდ ქცეული ოპოზიცია გვარიანად გვახალისებს და მოდით, ბევრი რომ არ იშრომონ, ალტერნატიული მთავრობა ჩვენ დავუკომპლექტოთ.**

# ოპოზიციის ალტერნატიული მთავრობა

**როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიცია არჩევნებში დამარცხებას არ შეეგუა და ქუჩაში გავიდა. ერთადერთი, რაც ოპოზიციას მოეწონებოდა, „ქართული ოცნების" დამარცხებაა, მაგრამ არ გამოვიდა ეს საქმე და ოპოზიციამაც — ან ხელისუფლებაში მოვალთ, ან ქუჩაში ვიდგებითო. მე თუ მკითხავთ, ოპოზიციის ადგილი სწორედ ქუჩაშია (და არამხოლოდ ოპოზიციის), მაგრამ რეალურად ისინი ქუჩაში იმიტომ დგანან ცოტა ხნით, რომ მერე დიდი ხნით პარლამენტში მოხვდნენ. რა გამოვა ამ საქმიდან, ერთად ვნახავთ, მანამდე კი...**















## პრემიერმინისტრი ნიკა მელია უნდა იყოს, იმიტომ კი არა, რომ იმსახურებს ან რამეს გააკეთებს, არა, ბატონებო, ნიკა რომ პრემიერი იქნება, სააკაშვილის შეშლილი სახის ნახვა ერთ რამედ ეღირება!

ოპოზიციამ გამოაცხადა: ჩვენ ალტერნატიულ მთავრობას შევქმნით, ძალაუფლებას ხელში ავიღებთ და ცივილიზებულ სამყაროს ვეტყვით, რომ ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლები ჩვენ ვართ და არა მოქმედი მთავრობაო. ერთი შეხედვით, სრული სიგიჟეა, მაგრამ, მეორე მხრივ, **შაპიტოდ ქცეული ოპოზიცია გვარიანად გვახალისებს და მოდით, ბევრი რომ არ იშრომონ, ალტერნატიული მთავრობა ჩვენ დავუკომპლექტოთ.**

**ჩვენი აზრით, ასე უნდა გამოიყურებოდეს ოპოზიციის ალტერნატიული მთავრობა:**

* **თავდაცვის მინისტრით** დავიწყოთ. ჯერ ერთი, ეს ერთ-ერთი საკვანძო პორტფელია მთავრობაში და მეორეც, თავდაცვის მინისტრობა ყველას სურს, იმიტომ, რომ ძალიან ადვილი ჰგონიათ. მერე რა, რომ ადრე თავდაცვის მინისტრად გენერალი უნდა ყოფილიყო, ყველა ეტაპგავლილი, გამოცდილი. ახლა ეს საჭირო აღარ არის, არასამთავრობო სექტორში აქტიური წარსულიც კმარა და აგერ, **თინა ხიდაშელიც** კი გვყავდა მინისტრად. მოკლედ, თავდაცვის მინისტრად „გირჩის" ლიდერს, **ზურაბ ჯაფარიძეს,** ვნიშნავთ. რატომ მაინდამაინც ის? პირველი — იმიტომ, რომ **მტერს შიშველ უკანალს დაანახვებს და თუ უკან არ აქცია, პირველ დარტყმას თავად მიიღებს (თავად რა, უკანალი მიიღებს მის მიმდევრებთან ერთად) და მეორეც — „ჯაველინების" ყიდვა აღარ დაგვჭირდება, ტანკებს გირჩებით მოვიგერიებთ. მოკლედ, თავდაცვის მინისტრი ჯაფარიძეა;**

* საქართველოს **განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრად** აუცილებლად და უპირობოდ უნდა დავნიშნოთ **გუბაზ სანიკიძე.** შესაძლოა, ამ არჩევანში ბევრი შეგვედავოს, მაგრამ, ნურას უკაცრავად — ჯერ ერთი, გუბაზს მილიონი სჭირდება და ადვილად იშოვის, სკოლის სახელმძღვანელოებიდან რამდენიმეს ამოარჩევს და ეგაა. თუმცა მთავარი მიზეზი, რომლის გამოც სანიკიძეს განათლებას ვაბარებთ, სხვაა. **ამ სფეროში ისეა ყველაფერი მოშლილი და წაშლილი, იმდენი ექსპერიმენტი ატარეს და ისე გაანულეს განათლების დონე, რომ სანიკიძე მეტს ველარაფერს გააფუჭებს, გასაფუჭებელი გაფუჭებულია და ამიტომ თამამად მივუშვათ;**

* შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი უნდა იყოს **თეა ახვლედიანი.** ვინ არის ქალბატონი თეა? ვინ და მოქმედი მინისტრი. კაცმა არ იცის, მინისტრი რომ არის, არც არაფერს აკეთებს ან აკეთებს და ვერ ვხვდებით, რას; ამიტომ დარჩეს, ისეთივე შეუმჩნეველი იქნება, როგორც ახლაა და... ოღონდ ვინმემ აგვიხსნას, ამ სამინისტროს ყოველწლიურად რამდენიმე მილიონით რატომ ვაფინანსებთ;

* **შინაგან საქმეთა მინისტრად აუცილებლად უნდა დავაბრუნოთ ვანო მერაბიშვილი.** აბა, ამოვიდა ყელში ტელეფონზე თამამად საუბარი, დავკარგეთ ადამიანებმა ერთმანეთი. ვანოს მინისტრობის პერიოდში კი სულ სხვა იყო, ტელეფონში ვერ ეუბნებოდი სათქმელს მეგობარს, გადიოდი, ნახულობდი, მისვლა-მოსვლა იყო, ჯიგარი იყო. ახლა კი ისიც არ ვიცით, მოქმედი შს მინისტრის ცოლი ვინ არის, **მერაბიშვილის ცოლს კი არათუ ვიცნობდით, არამედ მისი ცხოვრებით ნახევარი თბილისი ცხოვრობდა. დაგვიბრუნეთ ვანო** და ნუ იდარდებთ, თუ, როგორც მელიასა და ჩიტის ზღაპარშია, წელიწადში ერთხელ ორი ბარტყის გადმოგდებას მოითხოვს, ორი გვამი რას მიქვია ამხელა თანამდებობისთვის;

* **საგარეო საქმეთა მინისტრად უპირობოდ უნდა დაინიშნოს ნიკა მაჭუტაძე.** ყველაზე დაძაბული სამუშაო სწორედ საგარეო უწყებას აქვს, დიპლომატები მუდმივი სტრესის ქვეშ არიან და, მაჭუტაძე კოლეგებს რომ შეხვდება, ხომ გახალისდებიან, განიტვირთებიან, ტვინს გაანიავებენ. მერე ნახეთ, ყველას რომ ნიკასთან მოუნდება შეხვედრა და დასვენება. ჯერ მხოლოდ ის იქნება საინტერესო, მაგალითად, ფრანგულად როგორ გამოითქმის მაჭუტაძე. სტრატეგიული პარტნიორები რომ არ გავაწვალოთ, ფსევდონიმის მოფიქრებაც შეიძლება — ნიკა მაჭუ, ან კიდევ რაჭულად მოვუთარმნოთ — მაჭუნიკა (ადვილად გამოითქმის და იმიტომ);

* **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ელენე ხოშტარია უნდა იყოს.** ბევრი კი არაფერი გაეგება ამ საქმეში, მაგრამ, რომ ვუყურებ, რაღაცნაირი მდგრადია და ვვითარდებიო, ამას წინათ თქვა. რას ეძახის განვითარებას ხოშტარია-ჯუნიორი, ვერ გეტყვით, მაგრამ სიტყვაზე მაინც ვენდოთ, სხვაზე მაინც არაფერზე ვენდობით და;

* **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ულაპარაკოდ უნდა იყოს ირაკლი ოქრუაშვილი.** ახლა საქმე რაშია? დაიგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტები, დავპირდებით ხალხს რამეს და გამოვა მერე ირაკლი და გადათქვამს. აქამდე არ გადაუთქვამს უფრო დიდი რამ თუ გაწითლდება? რომც გაწითლდეს, ისეთ ფერზეა, არ შეეტყობა და ეს პოსტი მისთვის ზედგამოჭრილია. თანაც, ამას წინათ თქვა, სახლი ვერ დამიმთავრებია სოფლადო, და ამხელა სამინისტროს რომ ჩავაბარებთ, იქ ცემენტს ჩატეხავს, აქ ქვიშას და ეგაა რა;

* **ხომ გგონიათ, რომ იუსტიციის მინისტრად** გიორგი ვაშაძეს (ნარინი) დავასახელებთ? ნურას უკაცრავად. ამ თანამდებობაზე უნდა დავნიშნოთ **ბაჩანა ახალაია.** ჯერ ციხიდან გმირად უნდა გამოვიყვანოთ, შემდეგ კი მინისტრის პორტფელი უნდა ვუბოძოთ. აბა, რას ჰგავს, გასულ წელს სასჯელაღსრულების სისტემაში 17 ადამიანი დაიღუპა, შარშანწინ — 13. ახალაიას შეფობისას კი ასეულს სცდებოდა და, თუ არ სცდებოდა, ბუნტი და მისი ჯანი. ახლა კი მოგვეჭრა თავი. „კრიმინალი ყვავისო", — გაჰკივის ოპოზიცია. მოკლედ, ბაჩანა — იუსტიციაში სასწრაფოდ! ვაშაძე კი მოადგილედ შეიძლება, სტრატეგია ალმაშენებელიო და ეგებ სელჩუკებივით მუსრი გაავლოს კრიმინალებს და არამხოლოდ;

* **ფინანსთა მინისტრი ერთ-ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობაა.** აღნიშნული პორტფელი **გიგი უგულავას** უნდა ვუბოძოთ. ჯერ ერთი, მინისტრი არ იყო და 50 მილიონი ისე გააქრო, კაციშვილმა ვერაფერი გაიგო; და მეორეც — გიგი სულ იმას ამბობს, საოცარი ცურვა ვიციო. ჰოდა, ლარი ხომ ჰყავთ გაშვებული თავისუფალ ცურვაში დაააყოლებს ბრასს და ბატერფლაის გიგი-ბატონი. ჰო, თუ დასჭირდება, ჩაყვინთავს კიდეც, ყვინთვა იცის საოცარიო, **ლელა კილაძემ** თქვა თავის დროზე;

* **ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი თამარ ჩერგოლეიშვილი** უნდა გახდეს. მის ქცევას რომ ვუყურებთ, სერიოზული ჩარევა ესაჭიროება და, მუდმივად ექიმების გარემოცვაში რომ იქნება, ადვილად გააკონტროლებენ. თანაც, გიგაც არ გამოიყურება მთლად ჯანმრთელად და გიგასაც უმკურნალებს, ანუ ჩერგო და გიგა ამ სფეროში ხანგრძლივი კვლევის გამო გავიმეტეთ, სხვაგვარად არ ეშველებათ;

* **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი** აუცილებლად **შალვა ნათელაშვილი** უნდა იყოს. ერთხელ მანდეთ ქვეყანაო, ხომ იძახის და ჯერ ორი ბატი ჩავაბაროთ, ვნახოთ, როგორ მოუვლის, იქნებ ბატის და ხალხის გარჩევა ისწავლოს და ეგებ მერე ქვეყანაც ვანდოთ...

და მთავარი — პრემიერმინისტრი! პრემიერმინისტრი **ნიკა მელია** უნდა იყოს, იმიტომ კი არა, რომ იმსახურებს ან რამეს გააკეთებს. არა, ბატონებო, ნიკა რომ პრემიერი იქნება, სააკაშვილის შეშლილი სახის ნახვა ერთ რამედ ეღირება!

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S ისე, ამას რომ წაიკითხავთ, მერე ორუელის „ცხოველთა ფერმა" გადაიკითხეთ.**

**2020 წლის არჩევნები, სამწუხაროდ, ისე ჩატარდა, როგორც ყოველთვის — საქართველოს ამომრჩეველი ვინმეს კი არ ირჩევს, არამედ ვიღაცის წინააღმდეგ აძლევს ხმას — ცუდსა და უარესს შორის უწევს არჩევანის გაკეთება. ეს უარესი ნაცებისა და მისი სატელიტების ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციაა, რომელიც მხოლოდ იმუქრება, მაგრამ სახელმწიფო გადატრიალებისთვის საჭირო ხალხის კრიტიკული მასა ვერ გამოჰყავს აქციებზე და ვერც გამოიყვანს. ქართველი ხალხი კი, რომელიც იძულებულია, ამ გაუთავებელ სიგიჟეს უყუროს, ორივეს, ქოცებსაც და ნაცებსაც, უკაცრავად პასუხია და, ფეხებზე ჰკიდიათ.**



ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!

**წინამდებარე წერილის მთავარ თემად აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების მოვლენები მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ 8 ნოემბერს თბილისში მომხდარმა ამბებმა, რომ იტყვიან, სულ ამირია თავგზა და ამიტომ არც კი ვიცი, საიდან დავიწყო...**

ის, რაც იმ დღეს რუსთაველზე დაიწყო და შემდეგ ცესკოსთან გაგრძელდა, სრულიად საქართველომ ვიხილეთ პირდაპირ ეთერში და ამიტომ მოსახლეობის უმრავლესობა დამეთანხმება, რომ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის მიერ მოწყობილი აქცია ნამდვილად არ იყო მშვიდობიანი. ეს იყო წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია, რომლის საბოლოო მიზანი სახელმწიფო გადატრიალება იყო და არაფერი სხვა. ამიტომ „მშვიდობიანი“ აქციის წყლის ჭავლით „სასტიკ“ დარბევას პირდაპირ ეთერში დაუფარავი სიამოვნებით ვუცქერდი და არც მრცხვენოდა საკუთარი თავის, რადგან კარგად მახსოვს მიშნაცების ხელისუფლების 9-წლიანი ზეობის პერიოდში სასტიკი და უმოწყალო დარბევები 7 ნოემბერსა თუ 26 მაისს. აქედან გამომდინარე, ვიმეორებ: ჩემი სიმპათია სამართალდამცველთა მხარეს იყო და ერთი წამითაც არ გამივლია გულში „სასტიკად დარბეულთა“ მიმართ სიბრალული, რადგან „მშვიდობიან მომიტინგეთა“ მთავარ ბირთვს სწორედ ის ხალხი წარმოადგენდა, რომელთა სახელებთანაც ასოცირდება მართლაც სისხლიანი, სადისტური 9-წლიანი ტერორი — მიშნაცები ვერა და ვერ გაძღნენ ქართველი ხალხის სისხლითა და ცრემლით. რომელი ერთი გავიხსენოთ: პატიმართა მასობრივი გაუპატიურებები თუ წამებით სიკვდილი? დღისით, მზისით, 200-მდე ახალგაზრდა ბიჭის ქუჩაში დემონსტრაციულად ჩაცხრილვა თუ 2 გვამის მოთხოვნა და მაღაზიების სახურავზე მიცვალებულთა ცხედრების შეგდება? მეორე დილით სისხლით მორწყულ რუსთაველზე საზეიმო აღლუმების ჩატარება და ა.შ. — ვინ მოთვლის მიშასა და მისი ნაცების მიერ ჩადენილ ავკაცობას?!

**და ეს ხალხი, იმის მაგივრად, რომ წლების განმავლობაში ციხის ნარები ეხეხათ, ოპოზიციონერის მანტიამოსხმულნი მორალისტობენ და ლექციებს გვიკითხავენ ადამიანის უფლებებსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე...** ზემოთ თქმულის პარალელურად არ მასვენებდა ფიქრი, რომ ის ყვლაფერი, რასაც ვუცქერდი, მიშნაცების „ვაჟკაცობის“ შედეგი კი არა, „ქართული ოცნებისა“ და პირადად **ბიძინა ივანიშვილის** დამსახურებაა, რადგან **2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მიშ-ისტი ნაცების ბოზოლა ვირთხები და წრუწუნები, ხალხის სამართლიანი რისხვის მოლოდინის გამო, რომ იტყვიან, შიშით ქუჩაში ვერ ყოფდნენ ცხვირს. პოლიტიკურ სამარეში მწოლიარეებს, მიწის მიყრაღა აკლდათ, მაგრამ ქოცების მეტისმეტი „ჰუმანურობით“, მიწა მიაყარეს კი არა, ზოგიერთი სადისტი ნაცი ქვეყნიდან გაიქცა, ქართული მართლმსაჯულება „ვერ პოულობს“ და, 8 წელიწადია, საქართველოში ნაძარცვი ფულით „მეგობარი“ დასავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ვითომ ძებნილი, არხეინად დასეირნობს.**

ზოგიერთი „ძებნილი“, მაგალითად, სასჯელაღსრულებისა და შემდეგ განათლების ყოფილი მინისტრი, **დიმიტრი შაშკინი,** რამდენიმე თვე ნიუ-იორკის ერთ-ერთი პრესტიჟული რაიონის ფეშენებელურ აპარტამენტებში ცხოვრობდა, თბილისში დაბრუნდა და პატიმართა წამების ერთ-ერთ არქიტექტორსა და აქტორს, მეოცნებე ხელისუფლებამ, რომ იტყვიან, ცხვირზე ბუზიც ვერ აუფრინა და უკვე იმდენს ბედავს ეს შუბლისძარღვგაწყვეტილი, რომ საარჩევნო უბანზე ქამარში პისტოლეტგაჩრილი „ნაგლად მარიაჟობს“...

**რატომ ვერ ახლეს ხელი შაშკინს და ვერც მომავალში დააკლებენ რამეს?**

შაშკინის სისხლიანი მოღვაწეობის მიუხედავად, თბილისში მისმა უშიშრად ჩამოსვლამ ფილმ „გიორგი სააკაძიდან“ ერთი კადრი გამახსენა, როდესაც შადიმან ბარათაშვილმა დიდ მოურავს შაჰ-აბასის ბეჭდიანი ფირმანი აუფრიალა და ამით გადაურჩა ქართველი გმირის რისხვას. სავარაუდოდ, დიმიტრი შაშკინმაც ამერიკელი შაჰ-აბასის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბეჭდიანი რაყამი (სიგელი) აუფრიალა ბიძინა ივანიშვილს და ასე გადაურჩა აშშ-ის ნომრიანი რეზიდენტი ქართულ სასამართლოს.

ქოცების „ლმობიერების“, სინამდვილეში კი უნიათობის, კიდევ ერთ მაგალითს შევახსენებ მკითხველს: ჯერ კიდევ პრეზიდენტ სააკაშვილსა და უკვე პრემიერ ივანიშვილს შორის პირველი და უკანასკნელი(?) „ისტორიული“ შეხვედრის შემდეგ, პრესასთან ასევე „ისტორიული მნიშვნელობის“ რამ განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა: **„ქართველი ხალხი ნაცებს ისე კი არ მოექცევა, რასაც ისინი იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ეს ქართველ ხალხს ეკადრება“...**

ვერაფერს იტყვი, ლამაზი ნათქვამია! ისეთი ლამაზი, რომ ამ „სილამაზის“ გამო გააპარა ივანიშვილმა სააკაშვილი საქართველოდან, ამ „სილამაზის“ ბრალია, რაც დღეს ხდება თბილისის ქუჩებში და ისიც, რომ დღემდე ვერ მოხერხდა თბილისში დესტაბილიზაციის დირიჟორის, მიხეილ სააკაშვილის, ექსტრადიცია „მეგობარი“ უკრაინიდან.

დიდმა ფრანგმა მწერალმა **ალექსანდრე დიუმამ** თავის უკვდავ რომან „გრაფ მონტე-კრისტოში“ აბატ ფარიას ჭეშმარიტი რამ ათქმევინა: „არ არსებობს სამართლიან შურისძიებაზე ტკბილი განცდა!“ და მე, თქვენი მონა-მორჩილი, სრულიად ვეთანხმები აბატ ფარიას.

**ბიძინა ივანიშვილის ლოგიკით, გამოდის, რომ ნიურნბერგის სასამართლო არ უნდა გამართულიყო (სხვათა შორის, რომ არა დიდი სტალინის კატეგორიული მოთხოვნა, ამის მცდელობა იყო ანგლოსაქსების მხრიდან), ანუ გერმანელ კაციჭამია ნაცისტებს ისე კი არ უნდა მოქცეოდნენ, რასაც იმსახურებდნენ, არამედ ისე, როგორც ეს შეეფერებოდა გამარჯვებულთა სამეულს — კულტურულ, ჰუმანისტ საბჭოთა ხალხსა და ბრიტანელებსა და ამერიკელებს — ფაშისტები კი არ უნდა ჩამოეხრჩოთ (რომლებიც „ჰაილ ჰიტლერ!“-ის ძახილით ადიოდნენ ეშაფოტზე), არამედ თავზე ხელი უნდა გადაესვათ ფაშისტი ნაცისტებისთვის.**

თითქმის ერთი ერთში ჰგავს ეს ყველაფერი ერთმანეთს — ქართველ ნაცისტებს, მათი სულიერი მამების, გერმანელი ფაშისტების მსგავსად, ბოდიში რაა, ისიც არ მოუხდიათ ქართველი ხალხისთვის. ერთადერთი გაღებული „მოწყალება“ მათ მიერ წამებული ქართველი ერის მიმართ არის ის, რომ 9 წლის განმავლობაში ჩადენილ სასტიკ, სადისტურ დანაშაულებს შეცდომებს უწოდებენ. აბა, შეცდომა ვის არ მოსვლიაო, ქართველი ნაცისტები „ჰაილ მიშას“ სკანდირებით დაქრიან თბილისის ქუჩებში.

**ქართველი ნაცისტები (რომლებთანაც სისასტიკე-სადიზმში მათი კოლეგა გერმანელი ფაშისტები უცოდველ კრავებად ჩანან), ჯერ მათივე მოგონილი ე.წ. შეკრებითობის სისტემით უნდა გაესამართლებინათ, რათა ღრმა სიბერემდე ეხეხათ მათივე აშენებული ციხეების ნარები და არა ისე, როგორც დღეს იხდიან სასჯელს ე.წ. მატროსოვის ციხეში „პოლიტიკური პატიმრები“; ციხეში, რომელიც სანატორიუმს უფრო ჰგავს, ვიდრე საპყრობილეს, ხოლო ერთი ნაცი — 50 მილიონის ქურდი გიგი უგულავა და მეორე — ორი გვამის მოყვარული ვანო მერაბიშვილი უკვე „სვაბოდაზე“ არიან, მესამე კი, ყველაზე გულქვა სადისტი, პატიმართა მწამებელი ბაჩო ახალაია, მგონი, დღე-დღეზე გარეთ გამოვა და ისიც შეუერთდება რუსთაველზე მოთარეშე „ჰაილ მიშას“ ბრბოს.**

ჰიტლერელები გერმანელ ხალხს მაინც არ ერჩოდნენ. მიშა და მიშისტები კი პირიქით — ქართველი ხალხის სისხლსა და ცრემლში ვასვასებდნენ 9 წლის განმავლობაში, რისთვისაც, პრაქტიკულად, პასუხი არ უგიათ და ამიტომ საქართველოში ხელისუფლებას არა მხოლოდ ე.წ. ნათელაშვილის ფანჩატურში გაერთიანებული ოპოზიცია ებრძვის, არამედ დაუფარავად, როგორც მხარე, ისე ებრძვიან ლიბერასტული ტელევიზიები და სახალხო დამცველი. „ტვ პირველმა“, პრაქტიკულად, კაპიტალური სტუდია ააგო პარლამენტის წინ და 24-საათის განმავლობაში მუშაობს პირდაპირ ეთერში. რაც შეეხება სახალხო დამცველ **ნინო ლომჯარიას,** მინდა, ივანიშვილს შევახსენო, როგორ გადაახიეს ხალხს თავზე **დიმიტრი ლორთქიფანიძის** მხარდამჭერთა სიები 70 ათასი ხელმოწერით და როგორი ზარ-ზეიმით დანიშნა პარლამენტმა დიმიტრის ნაცვლად ეს სოროსის გველის უბეში გამოჩეკილი წიწილი ნინო ლომჯარია.

დღეს იმ მებრძოლებისგან, რომლებმაც ქოცები გაახელისუფლეს, პრაქტიკულად, აღარავინ დატოვა პარლამენტში და ივანიშვილმა ქვეყნის მართვა **თალაკვაძეებს, კობახიძეებსა** და **მდინარაძეებს** მიანდო.

სად იპოვა, ნეტავ, ბიძინამ ეს ე.წ. ლიბერასტები, ლაწირაკი „მამულიშვილები“, რომლებიც თავზე დაგვასვა, როგორც თავის დროზე მარად 2%-იანი რესპებლიკელები?

**დავით მხეიძე**



**ამ სიგიჟის დაუსრულებლად ყურება შეუძლებელია. ერთხელაც იქნება, აივსება მოთმინების ფიალა და ქართველი ხალხი პოლიტიკურ ელიტას, რომელიც, ხან ხელისუფლების და ხანაც პოზიციის სტატუსით, ათეული წლების განმავლობაში ვითომ მართავს ქვეყანას, რომელსაც აშშ-ის კოლონია საქართველო, ხოლო მის ვითომ ხელისუფალთ ამერიკელთა «შნირები» ჰქვიათ, ისტორიის სანაგვეზე მოისვრის**

**დღეს იმ მებრძოლებისგან, რომლებმაც ქოცები გაახელისუფლეს, პრაქტიკულად, აღარავინ დატოვა პარლამენტში და ივანიშვილმა ქვეყნის მართვა თალაკვაძეებს, კობახიძეებსა და მდინარაძეებს მიანდო**

**P.S. 2020 წლის არჩევნები, სამწუხაროდ, ისე ჩატარდა, როგორც ყოველთვის — საქართველოს ამომრჩეველი ვინმეს კი არ ირჩევს, არამედ ვიღაცის წინააღმდეგ აძლევს ხმას — ცუდსა და უარესს შორის უწევს არჩევანის გაკეთება. ეს უარესი ნაცებისა და მისი სატელიტების ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციაა, რომელიც მხოლოდ იმუქრება, მაგრამ სახელმწიფო გადატრიალებისთვის საჭირო ხალხის კრიტიკული მასა ვერ გამოჰყავს აქციებზე და ვერც გამოიყვანს. ქართველი ხალხი კი, რომელიც იძულებულია ამ გაუთავებელ სიგიჟეს უყუროს, ორივეს (ქოცებსაც და ნაცებსაც), უკაცრავად პასუხია და, ფეხებზე ჰკიდიათ.**

**ამ სიგიჟის დაუსრულებლად ყურება შეუძლებელია, ერთხელაც იქნება, აივსება მოთმინების ფიალა და ქართველი ხალხი პოლიტიკურ ელიტას, რომელიც ხან ხელისუფლების და ხანაც პოზიციის სტატუსით ათეული წლების განმავლობაში ვითომ მართავს ქვეყანას, რომელსაც აშშ-ის კოლონია საქართველო, ხოლო მის ვითომ ხელისუფალთ, ამერიკელთა „შნირები“ ჰქვიათ, ისტორიის სანაგვეზე მოისვრის.**

**რეზიუმეს სახით ერთ სამწუხარო რეალობას შევახსენებ ქართველ საზოგადოებას: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“, ილიას ნათქვამია და, უტოპია რომ არის, სიბერეს კართან მდგომი ილიაც მიხვდა. დღეს სხვა დროა, მაგრამ საქართველოს ბედი ისევ მის გარეთ, დიდი ქვეყნების ჭიდილში წყდება და ამ ვითარებაში კატასტროფაა ისეთი ხელისუფლება და ოპოზიცია, როგორიც გვყავს.**

ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჯო ბაიდენის არჩევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, ძველებურად ვერ განვითარდეს გლობალური პროცესები და არ იყოს შესაბამისი ფინანსური დახმარებები, საქართველოს კიდევ ოთხ წელიწადს მოუწევს გარკვეულ პრობლემებთან ჭიდილი, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ ბევრი რამ შეიცვლება, განსაკუთრებით ფინანსების მხრივ“.**



# თამარ კიკნაძე: ამერიკაშიც ხდება გაყალბება, იქ ლიბერალური მედია მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგია და, როგორც ჩვენთან, ტელევიზიები იქაც ცდილობენ, გადაწყვიტონ ბევრი რამ

**ამა წლის 3 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში 46-ე პრეზიდენტი უნდა აერჩიათ, მაგრამ ზედემოკრატიულ ზესახელმწიფოში ეს ვერ მოახერხეს. დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის მიმდინარე დაუნდობელი ბრძოლა როდის და რით დასრულდება, არავინ იცის. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი პრეზიდენტი დამარცხებას არ აღიარებს და ხმების დათვლა ჯერ არ დასრულებულა, ზოგიერთმა ამერიკულმა საინფორმაციო საშუალებამ დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ჯო ბაიდენი გამარჯვებულად გამოაცხადა — ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ბაიდენმა მოიგო პენსილვანიის შტატი და დაუგროვდა 270-ზე მეტი ხმა ამომრჩეველთა 538-წევრიან კოლეგიაში. ეს კი საკმარისია თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის დასაკავებლად.**

**მართალია, ამერიკაში ოფიციალურად ჯერ კიდევ არ გამოუცხადებიათ გამარჯვებული, მაგრამ ბევრისთვის საინტერესოა, რა მოხდება, თუ ჯო ბაიდენი დაიკავებს ამერიკის პრეზიდენტის სავარძელს. ასევე საინტერესოა, არის თუ არა ამერიკა დემოკრატიის შუქურა და სამაგალითო ქვეყანა — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე:**

— ამერიკის შეერთებულ შტატებში რთული პროცესები მიმდინარეობს. ლიბერალური თანამეგობრობა **ჯო ბაიდენის** მხარეს დგას. ამერიკაში ღირებულებითი დაპირისპირებაა — გლობალური ძალები მოქმედ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს უპირისპირდებიან. ასეთი დაპირისპირება არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ სრულიად მსოფლიოში მიმდინარეობს. ამერიკა გლობალური სახელმწიფოა, ამიტომ იქაურ გლობალისტებსა და კონსერვატორებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჰყავთ მომხრეები თუ მიმდევრები (რაც გინდათ, ის დაარქვით).

**— აღმოჩნდა, რომ ზედემოკრატიულ ზესახელმწიფოშიც ყალბდება არჩევნები, იქაც ჰყოლიათ სიებში მკვდარი სულები, იქაც ტელევიზიები აცხადებენ გამარჯვებულს...**

— 20 წლის წინათ ვინმეს რომ ეთქვა, ამერიკაში არჩევნები გაყალბდაო, არავინ დაიჯერებდა, რადგან ეს ქვეყანა დემოკრატიის შუქურად მიაჩნდათ, მაგრამ გაირკვა, რომ ასე არ არის. ყველამ დაინახა, რომ ამერიკაშიც ხდება გაყალბება. იქ ლიბერალური მედია მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგია და, როგორც ჩვენთან, ტელევიზიები იქაც ცდილობენ, გადაწყვიტონ ბევრი რამ, ანუ ითავხედონ. **ყველამ კარგად დავინახეთ, რომ რამდენიმე ტელევიზიამ ერთდროულად გაუწყვიტა ეთერი მოქმედ პრეზიდენტს შუა საუბრისას. ამასთანავე, ტრამპს არ მისცეს სოციალური ქსელებით მანევრირების საშუალება — დაუბლოკეს გვერდი „ტვიტერში“, რომლითაც სარგებლობდა, ან აწერდნენ, რომ მისი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.** მოკლედ, ტრამპის წინააღმდეგ ლიბერალურმა ძალებმა გაილაშქრეს, თანაც არაკეთილსინდისიერად, რაც ძალიან ცუდია და დემოკრატიის ნიშნებს არ შეიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის მაგალითი არ გამოგვადგება და არც უნდა გამოვიყენოთ, ამერიკა დიდი სახელმწიფოა და ყოველთვის ექნება გავლენა საქართველოსნაირ პატარა ქვეყანაზე, ამერიკა ყოველთვის შეეცდება, თავს მოგვახვიოს თავისი „გამოცდილება“ და გვიკარნახოს საკუთარი თამაშის წესები.

**— ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ბოლო ინტერვიუებში ყოველთვის ამბობდით, რომ დონალდ ტრამპის მეორედ არჩევის შემთხვევაში ბევრი რამ შეიცვლება გეოპოლიტიკაში და ყველაფერს თავისი სახელი დაექმევა, რაც საქართველოსთვის კარგი იქნება, მაგრამ შესაძლოა, ტრამპმა ვერ გაიმარჯვოსო. ახლა, როდესაც ბაიდენი წინასწარ გამოაცხადეს არჩევნებში გამარჯვებულად, რა შეიძლება მოხდეს?**

— ბაიდენის გამარჯვება ნიშნავს გლობალისტების გამარჯვებას, რაც კარგი არ არის, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მიმდინარე პროცესები ამერიკელების საქმეა. ტრამპი იზოლაციონისტია, კონცენტრირებული იყო ამერიკის მოსახლეობის კეთილდღეობაზე, მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში ისეთ წნეხში იყო მოქცეული გლობალისტებისგან, რომ ბევრი რამ, რისი გაკეთებაც უნდოდა, ვერ მოახერხა. ტრამპს იდეების განხორციელებაში ხან კონგრესი უშლიდა ხელს, ხან — სასამართლო. ამან ნათლად დაგვანახვა, რომ ამერიკის პრეზიდენტიც კი არ არის დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები. **დონალდ ტრამპი პირობას დებდა, რომ წინა პრეზიდენტის (დემოკრატების პრეზიდენტის) პერიოდში დაწყებულ საომარ მოქმედებებს, რომლებიც 8 ტრილიონი დოლარი დაჯდა, აღარ დაუშვებდა, რადგან მას ამერიკელი ხალხისთვის კეთილდღეობა არ მოუტანია. ტრამპი ეწინააღმდეგებოდა ბანკირებს, ფედერალურ სარეზერვო სისტემას და გლობალურ ინსტიტუტებსაც თანდათან ტოვებდა.**

დონალდ ტრამპი კიდევ ერთი ვადით რომ აერჩიათ და კიდევ ოთხი წელიწადი ჰქონოდა სამოქმედოდ, ფინანსურ და პოლიტიკურ სტრუქტურებს ნელ-ნელა დაანგრევდა. ტრამპის ასეთმა მიდგომამ ამერიკელი გლობალისტების გაღიზიანება გამოიწვია და მსოფლიო ხედავს, რას უკეთებენ ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტს არჩევნებში.

პროცესები ისე ვითარდება, რომ იმის განსაზღვრა, რა მოხდება ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ძალიან ძნელია. დონალდ ტრამპს აბრალებდნენ, რომ ის რუსეთის დახმარებით მოვიდა ხელისუფლებაში და ეს იყო მიზეზი ძალიან დიდი და დაუნდობელი შიდა ბრძოლებისა, რასაც ახლა უკვე ველარ გააკეთებენ. ამიტომ რუსეთის წინააღმდეგ ძველებურად აგრესიულები არ იქნებიან, თუმცა აქვე ვიტყვი, რომ რუსეთ-ამერიკის დაპირისპირება ეგზისტენციალურია, ზოგჯერ შეიძლება გამწვავდეს, ზოგჯერ — შენელდეს.

სამწუხაროდ, რუსეთის წამყვანი ფინანსური ჯგუფები ძალიან არიან ამერიკაზე დამოკიდებულნი და წინასწარ არავინ იცის, რა შეთანხმება შედგება მათ შორის — მოგვარდება ურთიერთობა თუ პირიქით.

დონალდ ტრამპის მმართველობის პერიოდში ამერიკის ნომერ პირველ მტრად გამოცხადებული იყო ჩინეთი, პარალელურად ტრამპი ცდილობდა, ურთიერთობა დაეთბო რუსეთთან. ახლა თუ ბაიდენმა ჩინეთთან ურთიერთობა მოაგვარა, მაშინ რუსეთთან გააუარესებს ურთიერთობას.

**— როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოში ბაიდენის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ვგულისხმობ ქართველი პოლიტიკოსების ქმედებებს — ჯერ კიდევ არ არის ბაიდენი არჩეული და უკვე, ასე ვთქვათ, დიდ გულზე არიან, ბაიდენთან გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებენ სოციალურ ქსელში და მოქმედებიც და ყოფილებიც გამარჯვებას ულოცავენ...**

— ძალიან ცუდია ჩვენი ქვეყნისთვის ნაადრევი გადაწყვეტილებების მიღება. ამერიკის შეერთებულ შტატებში პროცესები არ დასრულებულა, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ვინ გაიმარჯვა; მსოფლიომ იცის, რომ მიმდინარეობს ხმების დათვლა, სასამართლო პროცესები და, აქედან გამომდინარე, ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა არ ღირს. ჩვენ ვიცით, რომ, როგორც ტრამპის, ისე ბაიდენის უკან დგას ძალიან სოლიდური ხალხი. **ტრამპს ზურგს უმაგრებს მენავთობეების სერიოზული ლობი, რომლებიც ბაიდენის წინააღმდეგ არიან, რადგან ის აქცენტს აკეთებს ე.წ. მწვანე ეკონომიკასა და მწვანე ენერგეტიკის განვითარებაზე. ის ამბობს, რომ 600 მილიარდს გამოყოფს ამ გეგმის განსახორციელებლად. ტრამპი კი მენავთობეების ინტერესებს გამოხატავდა და ფიქლური აირის გაყიდვაზე ჰქონდა აქცენტი გაკეთებული.** აქედან გამომდინარე, ბაიდენის პრეზიდენტობის შემთხვევაში, შესაძლოა, რუსეთს უფრო გაუადვილდეს „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის პროექტის ამუშავება.

უნდა ითქვას ისიც, რომ გლობალური პროცესები ისე ველარ განვითარდება, როგორც აქამდე, რადგან ფინანსური კრიზისია. პრინციპში, ხელისუფლების სათავეში ტრამპის მოსვლაც სწორედ ამ კრიზისმა განაპირობა. ის კრიზისმენეჯერია, თანაც კარგი. 1944 წელს დაწყებული პროცესი, რომ დოლარი იყო ძირითადი ვალუტა, აღარ ამართლებდა, ტრამპმა ამის შეცვლაც გადაწყვიტა.

ჯო ბაიდენის არჩევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ძველებურად ვერ განვითარეს გლობალური პროცესები და არ იყოს შესაბამისი ფინანსური დახმარებები, საქართველოს კიდევ ოთხ წელიწადს მოუწევს გარკვეულ პრობლემებთან ჭიდილი, თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ ბევრი რამ საუარესოდ არ შეიცვლება, განსაკუთრებით ფინანსების მხრივ.

**— თუკი ტრამპი გაიმარჯვებს და კიდევ ოთხი წლით დარჩება პრეზიდენტად, შეძლებს იმ საქმეების ბოლომდე მიყვანას, რომელთა განხორციელებაც ჩაფიქრებული ჰქონდა, მაგრამ ხელს უშლიდნენ?**

— ამერიკაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობს, დამარცხებული მხარე ბევრს კარგავს. ამერიკაში სასამართლო ძალიან მნიშვნელოვანი რგოლია, სასამართლოში რესპუბლიკელებს ექვსი მოსამართლე ჰყავთ, დემოკრატებს — სამი, თანაც, როგორც ჩანს, სიმართლე რესპუბლიკელების მხარესაა, მაგრამ ძნელია მაინც პროგნოზირება, ვისი გამარჯვებით დასრულდება პროცესი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე საარჩევნო დავა-კამათზე, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დასკვნის გამოტანა ნაადრევია. 1972 წელს ნიქსონმა დამაჯერებლად მოიგო არჩევნები, მაგრამ შემდეგ იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო. ელიტების ბრძოლა ამერიკაში ყოველთვის იყო, ამიტომ მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტების მომსწრენი გავხდეთ.

**— დონალდ ტრამპი ცდილობდა, ნაკლებად ჩარეულიყო ჩვენი ქვეყნის საქმეებში, ის თითქმის არც ერეოდა კავკასიაში მიმდინარე პროცესებში, ვგულისხმობ, სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირებას. აქ მოქმედების მეტი საშუალება ჰქონდა რუსეთს...**

— ასე ვერ ვისაუბრებთ ამ საკითხზე. ჩვენ არ ვიცით, ტრამპი თუ დარჩება პრეზიდენტად, როგორ განვითარდება მოვლენები — ჩაერევა ჩვენს საქმეებში თუ არა, რადგან მიმდინარეობს მსოფლიოს გადანაწილების, ძალთა გადანაცვლების ძალიან მასშტაბური პროცესები. **არის წყალქვეშა დინებები, რომელთა შესახებაც ბევრი არაფერი ვიცით. ჩვენს რეგიონში არის თურქეთის ინტერესები, ასევე ძალიან საინტერესოა თურქეთ-უკრაინის ურთიერთობები, უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტი ინგლისშიც ძალიან საინტერესოა. პროცესები არ ჩერდება, ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს.**

რუსეთს, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიას თავისად თვლის, ეფექტიანი გავლენა არ აქვს ამ რეგიონზე.

ჩვენთვის მთავარია, ვიყოთ ჭკვიანად, ნაკლები დანაკარგებით გავიაროთ მსოფლიოს გადანაწილების პროცესი და კიდევ უფრო მთავარია, ინფორმაციას ვფლობდეთ ზუსტსა და უტყუარს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის მაგალითი არ გამოგვადგება და არც უნდა გამოვიყენოთ, ამერიკა დიდი სახელმწიფოა და ყოველთვის ექნება გავლენა საქართველოსნაირ პატარა ქვეყანაზე, ამერიკა ყოველთვის შეეცდება, თავს მოგვახვიოს თავისი «გამოცდილება» და გვიკარნახოს საკუთარი თამაშის წესები»**

**«ამერიკის შეერთებულ შტატებში პროცესები არ დასრულებულა; ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ვინ გაიმარჯვა. მსოფლიომ იცის, რომ მიმდინარეობს ხმების დათვლა, სასამართლო პროცესები და, აქედან გამომდინარე, ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა არ ღირს. ჩვენ ვიცით, რომ, როგორც ტრამპის, ისე ბაიდენის უკან დგას ძალიან სოლიდური ხალხი»**

**„მედიის მიერ იმის გამოცხადება, რომ გაიმარჯვა ბაიდენმა, მხოლოდ ვარაუდია. ამ შემთხვევაში ლაპარაკია შესაძლო გამარჯვებულზე. ეს უფრო პიარსვლაა საინფორმაციო საშუალებების უდიდესი ნაწილის, რომელებიც, როგორც ვიცით, მხარს უჭერენ ჯო ბაიდენს, ლიბერალურ დღის წესრიგს მიჰყვება და წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს ტრამპის წინააღმდეგ იყო დარაზმული“.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ირაკლი გოგავა:

# მედიის მიერ ბაიდენის გამარჯვებულად გამოცხადება მხოლოდ ვარაუდია, მილოცვა კი — ნაჩქარევი

**დღეს ჩვენი სტუმარია საერთაშორისო პრობლემების ცნობილი მიმომხილველი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ირაკლი გოგავა.**

**— რა ხდება ამერიკაში, ბატონო ირაკლი? რატომ გაუჭირდათ პრეზიდენტის არჩევა?**

— საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრადიციულად ჩამოყალიბდა ორპარტიული სისტემა: ათწლეულებია, რაც დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები „მორიგეობენ“ ხელისუფლების სათავეში. მსგავსი პოლარიზაცია, რომლის მოწმენიც დღეს ვართ, არასდროს ყოფილა, თუმცა მძაფრი კონკურენცია ყოველთვის აღინიშნებოდა. მაგალითად შეგვიძლია გავიხსენოთ 2000 წლის არჩევნები, როდესაც **ჯორჯ ბუშ-უმცროსსა** და **ალბერტ გორს** შორის სულ რამდენიმე ასეულმა ხმამ გადაწყვიტა პირველის უპირატესობა და მაშინაც მედიამ ალ გორი გამოაცხადა გამარჯვებულად და 37 დღის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ ბუშის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება.

რესპუბლიკელები არიან უფრო მემარჯვენე ორიენტაციის, ანუ პატრიოტულ-კონსერვატორულ პლატფორმაზე დგანან, ხოლო დემოკრატიული პარტია უფრო მემარცხენე ორიენტაციისაა — სოციალისტური ინტერნაციონალის წევრია.

მას შემდეგ, რაც კლინტონები მოვიდნენ ხელისუფლებაში, სრულიად გადალაგდა ამერიკული პოლიტიკური ლანდშაფტი: მემარცხენე იდეოლოგიას შეერწყა ნეოლიბერალიზმი, რომელმაც მოახდინა მისი სრული ტრანსფორმაცია. ნეოლიბერალიზმი არის ჰიბრიდული, ხელოვნურად გამოყვანილი იდეოლოგია, რომელიც რამდენიმე ტრადიციული თუ არატრადიციული იდეოლოგიის სინთეზად წარმოგვიდგება, ეფუძნება მარქსიზმს, მიერთებული აქვს ფრაგმენტები მაოიზმისგან, ტროცკიზმისგან და კარლ პოპერის ნეოლიბერალიზმისგან.

ამ სინთეზის პროპაგანდის მეშვეობით ძალადობენ არა მხოლოდ შეერთებულ შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში, სადამდეც ხელი მიუწვდებათ, მათ შორის, საქართველოშიც. ერთადერთი ისლამური სახელმწიფოებია, რომლებსაც ვერაფერს უხერხებენ, ამიტომ ებრძვიან ნავთობის ბიზნესს.

დღეს ამერიკაში საოცარი პოლარიზებაა, მოსახლეობა ორად არის გაყოფილი. უწინ ამ ორი პარტიის, მაგალითად, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში განსხვავება, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ რადიკალიზაცია ნამდვილად არ შეიმჩნეოდა. ბოლო პერიოდში დემოკრატიულმა პარტიამ სერიოზული გავლენა განიცადა ულტრამემარცხენეებისა და ნეოლიბერალების მხრიდან და შედეგიც სახეზეა. ნეოლიბერალების მოქმედება ცხრა წლის განმავლობაში საქართველოშიც ვიწვნიეთ და საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რომ ისინი უაღრესად აგრესიული და ყველაფერზე წამსვლელი ძალა არიან და კანონის დარღვევასაც არ თაკილობენ, თუ ეს მათ ინტერესს ემსახურება.

ამერიკაში მიჩნეულია, რომ დემოკრატიული პარტია უფრო „თავხედი ძალაა“, რესპუბლიკელები კი — უფრო „რბილი“ თავიანთ მოქმედებებში. საპრეზიდენტო არჩევნებმაც დაგვარწმუნა, რომ ჭეშმარიტად ასეა.

დღეს რესპუბლიკური პარტია ბრალს სდებს დემოკრატებს არჩევნების გაყალბებაში. დავა სამართლის სფეროში გადავიდა.

**— ე.ი., სანამ სასამართლო თავის სიტყვას არ იტყვის, ამერიკა ვერ მიიღებს ახალარჩეულ პრეზიდენტს?**

— ამერიკის პრეზიდენტს საბოლოოდ ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომელიც შედგება 538 ხმოსნისგან. მათ ირჩევს შტატების კონგრესები. 11 ნოემბრისთვის ხმოსნები შტატების კონგრესებს არჩეული არ ჰყავს, შესაბამისად, აშშ-ის პრეზიდენტის არჩევაზე ლაპარაკი ნაადრევია. დეკემბრის შუა რიცხვებში უნდა გაიმართოს ხმოსნების სხდომა (ასეთია ტრადიცია), რომლებიც ხმას მისცემენ ორიდან ერთ-ერთ კანდიდატს, 20 იანვარს გაიმართება ახალარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია.

მედიის მიერ იმის გამოცხადება, რომ გაიმარჯვა ბაიდენმა, მხოლოდ ვარაუდია. ამ შემთხვევაში ლაპარაკია შესაძლო გამარჯვებულზე. ეს უფრო პიარსვლაა საინფორმაციო საშუალებების უდიდესი ნაწილის, რომელებიც, როგორც ვიცით, მხარს უჭერენ ჯო ბაიდენს, ლიბერალურ დღის წესრიგს მიჰყვება და წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს ტრამპის წინააღმდეგ იყო დარაზმული.

**— ახლაც ამ პოზიციაზე რჩება.**

— რა თქმა უნდა. ამიტომ ჯერჯერობით არაფერი არ არის გარკვეული. სასამართლომ უნდა განიხილოს ყველა საჩივარი, რომლებსაც კი მიიღებს, და გადაწყვიტოს ამა თუ იმ ბიულეტენის კანონიერების საკითხი. ამის შემდეგ ხელახლა გადაითვლიან და დააჯამებენ მიღებულ შედეგებს, ანუ მოხდება ტაბულაცია, რომელიც გამოავლენს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულს.

**— რატომ დასჭირდა ლიბერალურ მედიას, საჩქაროდ გამოეცხადებინა ჯო ბაიდენი შესაძლო გამარჯვებულად?**

— დასჭირდათ იმიტომ, რომ მიეღოთ პარტნიორი ქვეყნების ლიდერების მილოცვები, რომელიც შეიძლება ჩავთვალოთ ტრამპის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის ნაწილად.

**— მიიღეს კიდეც მილოცვები, რაც, მე რომ მკითხოთ, ცოცხალი დათვის ტყავის განაწილებას უფრო ჰგავს, ვიდრე საღი განსჯის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას.**

— თუ მოსაგებია, ბაიდენი ამ მილოცვების გარეშეც გაიმარჯვებს. ბრძოლა არ დამთავრებულა. ამას ადასტურებს თუნდაც ისეთი ცნობები, რომლებსაც სი-ენ-ენი ავრცელებს. მაგალითად, თითქოს პირველი ლედი, **მელანია ტრამპი,** მეუღლეს ურჩევს, აღიაროს დამარცხება. სინამდვილეში კი მელანია ტრამპი ითხოვს სამართლიან და გამჭვირვალე არჩევნებს, ან თითქოს ტრამპის სიძე, **კუშნერი,** სიმამრს იმავეს ურჩევს. ყველაფერი ეს და კიდევ ბევრი სხვა მაგალითი, ვიმეორებ, ფსიქოლოგიური ომის შემადგენელი ნაწილია.

**— „ფეიკია“?**

— დიახ. ტრამპი სულ სხვა გუნებაზეა, არ აპირებს, შეეგუოს უსამართლო დამარცხებას და იბრძოლოს ბოლომდე ყველა ლეგალური საშუალებით.

**— და არჩევნების ჩატარების მეორე დღესვე გოლფის თამაშით აღიდგენს მარათონში დახარჯულ ფიზიკურ და გონებრივ ძალას. ისტერიკაში არ ჩავარდნილა.**

**ახლა კი მინდა, მიპასუხოთ ასეთ შეკითხვაზე: თუ ტრამპმა გაიმარჯვა, რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის?**

— ტრამპის გამარჯვება საქართველოსა და მსოფლიოსთვის ნიშნავს, რომ ეროვნული სახელმწიფოები შენარჩუნდება; ვერ გაძლიერდება გლობალური მართვის ცენტრები, გადახედავენ აშშ-ის საგარეო პოლიტიკას.

ვიცით, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში აშშ მონაწილეობდა ძალიან ბევრ შეიარაღებულ კონფლიქტში. ტრამპი მიიჩნევს, რომ ბევრ ასეთ დაპირისპირებაში ამერიკას არაფერი ესაქმება. იგი წინააღმდეგია, რომ ამერიკის არმიის ნაწილები იმყოფებოდეს მსოფლიოს რვაასზე მეტ სამხედრო ბაზაზე და სურს, საიდანაც შესაძლებელი იქნება, ჯარისკაცები შინ დააბრუნოს.

წინააღმდეგია გლობალიზაციის ამ მოდელის, უტევს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას და მის პანდემიურ სცენარს; არ მოსწონს მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საქმიანობა; აკრიტიკებს გაეროსაც. ვფიქრობ, რომ იგი რეგიონული გლობალიზაციის მომხრე უფრო არის, ვიდრე ერთი ცენტრიდან მთლიანად პლანეტის კოორდინაციის.

ტრამპი მოითხოვს, შეწყდეს შეტევა რელიგიებსა და ეკლესიებზე, კვლავაც იარსებოს ტრადიციულმა საზოგადოებებმა, ტრადიციულ ღირებულებებზე აღიზარდონ მომავალი თაობები: მან დააბრუნა შეერთებული შტატების სკოლებში პატრიოტული აღზრდა, როგორც სასწავლო დისციპლინა, და ა.შ.; კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევს ახალგაზრდა თაობის ინდოქტრინაციას, რომელიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინერგება შეერთებული შტატების სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში *(ინდოქტრინაცია — რწმენის სისტემების ფუნდამენტურ დებულებათა გადაცემაა).*

საგარეო პოლიტიკაში ტრამპის განსხვავებული პოზიცია გამოხატულია იმითაც, რომ მას მთავარ საფრთხედ მიაჩნია ჩინეთი — აშშ-ის მთავარი კონკურენტი; თავისუფალი ვაჭრობის კრიტიკოსია, რადგან თავისუფალი ვაჭრობა ჩინეთთან ამერიკას ყოველწლიურად რამდენიმე ასეული მილიარდი დოლარი უჯდება.

იგი აპირებს შეერთებული შტატების ახალ ინდუსტრიალიზაციას, იმ 90 ათასი ქარხნის დაბრუნებას, რომლებიც ამერიკიდან ჩინეთსა და მექსიკაში იყო გატანილი. პირველ ოთხ წელიწადში მან შეძლო 12 ათასი საწარმოს დაბრუნება, რითაც შტატებში 700 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შექმნა მრეწველობის სხვადასხვა დარგში.

ტრამპი სკეპტიკურად აფასებს ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკას შეერთებული შტატების მიმართ.

აცხადებს: ამერიკა უპირველეს ყოვლისა! ამასთან მოუწოდებს მსოფლიო ლიდერებს, რომ თავიანთი ქვეყნები პირველ პლანზე დააყენონ.

თუ დარჩება პრეზიდენტის თანამდებობაზე, რადიკალურად შეამცირებს (ან მთლიანად შეწყვეტს) ლიბერალური იდეოლოგიის გამტარებლების დაფინანსებას ამერიკაშიც და პლანეტის მასშტაბითაც, მათ შორის, საქართველოშიც. დემოკრატები კი პირიქით აპირებენ — გაზარდონ მარგინალური ნეოლიბერალური ჯგუფების დაფინანსება.

**— ბაიდენმა განაცხადა, რომ, როგორც კი პრეზიდენტი გახდება, მეორე დღიდანვე დაიწყებს აქტიურ ბრძოლას კოვიდ-19-ის პანდემიის წინააღმდეგ.**

— დიახ. ბაიდენი აპირებს, კვლავ ჩაკეტოს ამერიკა, ამერიკის ეკონომიკა. ტრამპის აზრით კი, პანდემიის სცენარი არის გლობალისტების იდეა, რომელიც გააძლიერებს გლობალურ კონტროლს პლანეტაზე.

**— ვთქვათ და, ბაიდენი გაპრეზიდენტდა. რას უნდა ველოდოთ?**

— უნდა ველოდოთ ნეოლიბერალური პოლიტიკის შემდგომ აღზევებას, მარგინალური რადიკალური ჯგუფების გაძლიერებას, რაც საბოლოო ჯამში დაგვირგვინდება ე.წ. დიადი გადატვირთვის პროექტით, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გაასაჯაროებს 10 ივნისს გასამართ შეკრებაზე.

**— საქართველოზე ეს ყველაფერი როგორ იმოქმედებს?**

— მოკლევადიან პერსპექტივაში საქართველოსთვის ბევრი რამ არ შეიცვლება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ნეოლიბერალებს ჩაფიქრებული აქვთ ეროვნული სახელმწიფოს მცნების გაქრობა. მათ უკან დგას ტრანსეროვნული კაპიტალი, ტრანსნაციონალური კორპორაციები, კაპიტალისტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეროვნული სახელმწიფოები, ეროვნული ელიტები, ეროვნული მთავრობები მათთვის ხელისშემშლელი ფაქტორებია, ამიტომ სახელმწიფოები, როგორც ასეთი, არ უნდა არსებობდეს. სანაცვლოდ უნდა შეიქმნას ეკონომიკური სექტორები და ყველაფერი საერთო რეგულაციებით უნდა იმართებოდეს. ასეთია შორსმიმავალი გეგმა, რომელსაც ჯო ბაიდენი და მისი გუნდი მხარს უჭერენ.

**— გასაგებია, რომ, აქედან გამომდინარე, რუსეთთან ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბება.**

— დემოკრატებსა და ჯო ბაიდენის გუნდს რუსეთი სჭირდება, როგორც მტრის ხატი, რათა თავიანთი ოპონენტები რუსეთის აგენტებად მონათლონ. ეს უფრო პიარული მომენტია, ვინაიდან რუსეთის დღევანდელი ეკონომიკა და ძალა ამერიკისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს (ბირთვული იარაღის გარდა), მით უფრო, რომ რუსეთი არც გეგმავს, თავს დაესხას აშშ-ს ან ნატოს წევრ ქვეყნებს.

**— ჩვენ რა ვქნათ? დავრჩეთ ფარვატერულ სახელმწიფოდ, თუ რაღაც გავიფაფხუროთ ჩვენი ადგილის მოსაპოვებლად?**

— ჩვენი სამოქმედო არეალი შეზღუდულია. პატარა სახელმწიფო ვართ, დიდი გავლენის მოხდენის ილუზია არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ამ სიტუაციაში სიფრთხილე გვმართებს, რათა დიდი მოთამაშეების დავაში, როცა ამერიკის ელიტა დაეჯახა გლობალურ ელიტას, არ ჩავერიოთ. სახელმწიფოს მიერ ამ დაპირისპირებაში ვინმესთვის მხარის დაჭერა კონტრპროდუქტიულია. უნდა მოვერიდოთ ასეთ მიტმასნას. ეს თავის დროზე გააკეთა სააკაშვილმა და ქვეყანას ძვირი დაუჯდა.

გავლენის მოხდენა შეგვიძლია თუ არა მიმდინარე პროცესებზე? რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია, მაგრამ თვალყური უნდა ვადევნოთ, გავაანალიზოთ სიტუაცია და მზად უნდა ვიყოთ მოვლენების ნებისმიერი განვითარებისთვის.

**«ბაიდენის გაპრეზიდენტების შემთხვევაში უნდა ველოდოთ ნეოლიბერალური პოლიტიკის შემდგომ აღზევებას, მარგინალური რადიკალური ჯგუფების გაძლიერებას, რაც საბოლოო ჯამში დაგვირგვინდება ე.წ. დიადი გადატვირთვის პროექტით, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გაასაჯაროებს 10 ივნისს გასამართ შეკრებაზე»**

**«ტრამპის გამარჯვება საქართველოსა და მსოფლიოსთვის ნიშნავს, რომ ეროვნული სახელმწიფოები შენარჩუნდება; ვერ გაძლიერდება გლობალური მართვის ცენტრები, გადახედავენ აშშ-ის საგარეო პოლიტიკას»**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

პროცესების ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ ყოველდღე ვათვალიერებდით გაზეთებს, ვკითხულობდით ამერიკელი ჰაერის მეკობრეების მიერ კორეაში ჩადენილი ამაზრზენი მხეცობის ამბებს. ვათვალიერებდით გასრესილი ბალღების, ქალებისა და მოხუცების ცხედრებს, დანგრეული სოფლებისა და ქალაქების სამწუხარო ფოტოსურათებს და თავს ვეკითხებოდით ხანდახან: ხომ არ მოსულა ისეთი დრო, როცა კაცობრიობამ დასწყევლოს ფლორენციელი ვარსკვლავთმრიცხველი და გეოგრაფი პაოლო ტოსკანელი და მამაცი მეზღვაური ქრისტეფორე კოლუმბი?"**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### ოცდამერვე გადაცემა

# შოუ დასრულდა, ომი იწყება!

**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო მაყურებელო. ეთერშია „ოქროს კვეთა", რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

რა ხდება აშშ-ში? ეს შეკითხვა ყველას აწუხებს, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ის, რაც აშშ-ში ხდება, მხოლოდ ამ სახელმწიფოს არ ეხება, მან შესაძლებელია, უზარმაზარი გავლენა იქონიოს სრულიად მსოფლიოზე.

ამიტომ საუბრის დაწყება შორიდან მოგვიწევს.

მსოფლიოში ყველაზე დიდი და ჭეშმარიტად დემოკრატიული სისტემის ფუძემდებელი **სტალინი** ამბობდა:

**იოსებ სტალინი:** — დემოკრატია მე ხალხის ხელისუფლება მეგონა, მაგრამ ამხანაგმა რუზველტმა გასაგებად ამიხსნა, რომ დემოკრატია ამერიკელი ხალხის ხელისუფლება ყოფილა.

**ვალერი კვარაცხელია:** — მისთვის დამახასიათებელი გენიალური ცინიზმით გაჟღენთილი ამ ერთი წინადადებით სტალინმა ამერიკული „დემოკრატიის" ნამდვილი სახე წარმოგვიდგინა.

სამშობლოს ბედზე დაფიქრებული **კონსტანტინე გამსახურდია** კი მის ერთ-ერთ პოლიტიკურ ესეში „ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი", წერდა:

**კონსტანტინე გამსახურდია: — ო, კეთილშობილო რაინდო და დიდო ტრიბუნო გეორგ ვაშინგტონო, ცივილიზაციავ, კოლუმბო და და თავისუფლებავ, დახეთ, რას სჩადიან თქვენი სახელით უოლ-სტრიტის განგსტერები, ცივილიზებული კანიბალები!**

**ვალერი კვარაცხელია:** — ესეც დიდებული ნათქვამია. უოლ-სტრიტის განგსტერებს, რომლებიც დემოკრატიის ნიღბით მოქმედებდნენ და მოქმედებენ, მსოფლიო ბევრჯერ შეუძრწუნებიათ თავიანთი საშინელი ნამოქმედარით. გამსახურდია იმავე ნაშრომში კორეის ომის შემზარავ სურათებს იხსენებს.

**კონსტანტინე გამსახურდია: — ჩვენ ყოველდღე ვათვალიერებდით გაზეთებს, ვკითხულობდით ამერიკელი ჰაერის მეკობრეების მიერ კორეაში ჩადენილი ამაზრზენი მხეცობის ამბებს. ვათვალიერებდით გასრესილი ბალღების, ქალებისა და მოხუცების ცხედრებს, დანგრეული სოფლებისა და ქალაქების სამწუხარო ფოტოსურათებს და თავს ვეკითხებოდით ხანდახან: ხომ არ მოსულა ისეთი დრო, როცა კაცობრიობამ დასწყევლოს ფლორენციელი ვარსკვლავთმრიცხველი და გეოგრაფი პაოლო ტოსკანელი და მამაცი მეზღვაური ქრისტეფორე კოლუმბი?**

**ვალერი კვარაცხელია:** — გასაოცარი წინასწარმეტყველებაა. მეოცე საუკუნის შუა წლებში დაწერილ ნაშრომში თითქოს ოცდამეერთე საუკუნის აშშ-ის ის მძაფრი სურათებია აღწერილი, როდესაც რასობრივ ნიადაგზე დაპირისპირებულმა ამერიკელებმა არა მხოლოდ მამაცი მეზღვაურის — ქრისტეფორე კოლუმბის, არამედ ამ სახელმწიფოს ფუძემდებლებისა და გამოჩენილი მოღვაწეების ძეგლებიც კვარცხლბეკებიდან გადმოყარეს.

**უოლ-სტრიტი, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია ახსენებს, მანჰეტენის ცნობილი რაიონის ერთი პატარა ქუჩის დასახელებაა, რომელიც დღემდე თავს იწონებს ლამაზი ცათამბჯენებით და რომლის მთავარ ღირსშესანიშნაობას მე-11 ნომერში მდებარე საფონდო ბირჟა წარმოადგენს. ეს კვარტალი ნიუ-იორკის ისტორიული საფინანსო ცენტრია. უოლ-სტრიტის 23-ე ნომერში 1914 წელს აგებული შენობა კი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც „მორგანის სახლი", მრავალი წლის განმავლობაში ამერიკის საფინანსო სისტემის უმნიშვნელოვანეს მისამართად ითვლებოდა.** 1920 წლის 16 სექტემბერს, შუადღეს, შენობის შესასვლელში აფეთქებულმა ბომბმა ორმოცი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ოთხასზე მეტი კი მძიმედ დაიჭრა. აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე საფოსტო ყუთში ჩაგდებულ წერილში ეწერა: „ჩვენ მეტს ვერ მოვითმენთ. გაათავისუფლე პოლიტპატიმრები ან ყველა დაიხოცებით. ანარქიისთვის მებრძოლი ამერიკელები". ეს საქმე გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 1940 წელს ისე დახურა, რომ დამნაშავეთა კვალს ვერ მიაგნო. **ამერიკელებს არასოდეს დაავიწყდებათ 1929 წლის „შავი ხუთშაბათი", როდესაც ჩამოინგრა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, რამაც სათავე დაუდო ე.წ. დიდ დეპრესიას, რომელიც ოთხ წელიწადს გრძელდებოდა და რომელმაც ჩაითრია კანადა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვა სახელმწიფოები. 1973 წელს აგებულ ცათამბჯენებში, სადაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრი იყო განთავსებული, 2001 წლის 11 სექტემბრის საშინელი ტერაქტის შემდეგ თითქმის მთელმა მსოფლიომ დაიჯერა, რომ აშშ-ის საფინანსო პირამიდას, რომელიც ბევრისთვის იქცა ბედისწერად, თვითონაც ავი ბედისწერა დაჰყვება...**

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ აშშ-ში ყოველმხრივი და ღრმა კრიზისი ისადგურებს. მუდმივად კეთილ ღიმილს ამოფარებულ ურჩხულს ღიმილიანი ნიღაბი ჩამოეხსნა.

ამ ურჩხულის სახე და შინაარსი, მთელი მისი ფილოსოფია არსად ისე დიდებულად არ არის ასახული, როგორც ილფისა და პეტროვის შესანიშნავ ნაშრომში „ერთსართულიანი ამერიკა". ნება მომეცით, ორიოდე ციტატა შეგახსენოთ ამ ნაწარმოებიდან.

**ილია ილფი, ევგენი პეტროვი, სატირიკოსი მწერლები:** — ნიუ-იორკი შემაშინებელი ქალაქია. აქ მილიონობით ადამიანი მამაცურად იბრძვის საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ამ ქალაქში ძალიან ბევრი ფულია, ძალიან ბევრი — ერთეულებისთვის და ძალიან ცოტა — დანარჩენისთვის. ეს ტრაგიკულ ელფერს სძენს ყველაფერს, რაც ამ ქალაქში არსებობს და ხდება.

**ვალერი კვარაცხელია:** — ამ რამდენიმე წინადადებაში კაპიტალისტური უსამართლობის მთელი ფილოსოფიაა ჩატეული. აი, კიდევ ერთი ციტატა, რომელშიც ამერიკული ცხოვრების წესი მაღალი პუბლიცისტური სტანდარტით არის გადმოცემული.

**ილია ილფი, ევგენი პეტროვი:** — შეუჩერებლად მოძრაობს კონვეიერი, რომლიდანაც ერთიმეორის მიყოლებით ჩამოდიან უძვირფასესი ავტომობილები, რომლებიც განიერი ჭიშკრის გავლით თავისუფლებისკენ მიემართებიან, ხოლო ადამიანები, რომლებმაც ისინი შექმნეს, რჩებიან საპყრობილეში. ეს საოცარი სურათია ტექნიკის ბრწყინვალებისა და ადამიანთა სილატაკის ერთიანობისა.

**ვალერი კვარაცხელია:** — დიდმა მწერლებმა საოცრად მეტყველი სახე და კონტრასტი დახატეს, რომელსაც კი არ კითხულობ, ხედავ და განიცდი... ამ დიდებული ნაწარმოების შექმნიდან თითქმის საუკუნე გავიდა, მაგრამ ამერიკულ ცხოვრების წესში არაფერი შეცვლილა. დაიხვეწა ტექნიკა, ის ავტომობილები, რომლებიც დღეს მეტი რაოდენობით ჩამოდიან კონვეიერებიდან, უფრო სრულყოფილი და მოდერნიზებულია, გაიზარდა ქალაქი, დაიგო გზები, აშენდა ცათამბჯენები, ცხოვრება წინ წავიდა, მაგრამ არ შეცვლილა ცხოვრების წესი, რომლის მიხედვითაც **„ამ ქალაქში ძალიან ბევრი ფულია, ძალიან ბევრი — ერთეულებისთვის და ძალიან ცოტა — დანარჩენებისთვის". არ შეცვლილა უსამართლობის ეს ფილოსოფია, ვინაიდან ეს ქალაქი (სახელმწიფო) უსამართლობის პრინციპზე დგას. სოციალური უსამართლობა აქ ცხოვრების უსიამოვნო თანამგზავრი კი არ არის, რომლის დაძლევას ცდილობენ, პირიქით, სოციალური უსამართლობა ამერიკული ცხოვრების წესის ის ქვაკუთხედია, რომელსაც საზოგადოების მამოძრავებელი ფუნქცია აქვს მინიჭებული და ეკონომიკურ ბერკეტად გამოიყენება.** მეტიც, სოციალური დიფერენცირება და უსამართლობა გაფეტიშებულია და ერთგვარ სალოცავ კერპადაა ქცეული ქვეყანაში, რომლის საზოგადოებრივ ცნობიერებაში კერძო საკუთრებამ, დიდი ხანია, რელიგიის ადგილი დაიკავა. უამრავი პრობლემით დამძიმებული და ყოველმხრივ ღრმა კრიზისში შესული ეს საზოგადოება უცნაური არჩევანის წინაშე დადგა **— გლობალიზმის გზით მსოფლიოზე გაბატონების კურსით სიარული თუ ამერიკელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილებისთვის თუნდაც მეტ-ნაკლები ზრუნვა. პირველ მიმართულებას წარმოადგენს საპრეზიდენტო არჩევნებში აწ უკვე გამარჯვებულად გამოცხადებული ჯოზეფ ბაიდენი, მეორე მიმართულებას კი — ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი.**

მოკლედ იმაზე, რას წარმოადგენს ეს ორი მიმართულება. გლობალიზაცია არის მრავალსუბიექტიანი მსოფლიოს ურთიერთთანამშრომლობისა და ერთმანეთთან დაახლოების ისტორიული და გეგმაზომიერი პროცესი. **ორასსუბიექტიანი მსოფლიო, რომელიც ოდესღაც ერთმანეთისგან იზოლირებული, კარჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად ერთმანეთთან დაახლოების მიმართულებით მიემართება.** მსოფლიო საზღვრებს გარეშე; უვიზო მიმოსვლა; კულტურათა და ცივილიზაციათა დაახლოება — ეს ის ტენდენციებია, რომლებსაც წინ ვერაფერი აღუდგება, რადგან ვითარდება ტექნიკა. ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების ეპოქაში ადამიანური კონტაქტების არეალი უსასრულოდ ფართოვდება, შესაბამისად, ეკონომიკაც გლობალური ხდება. კოლოსალურად იზრდება ტვირთბრუნვა. აი, **ამ ბუნებრივ მოვლენას ამერიკელებმა მოხერხებულად ამოაფარეს თავიანთი იდეოლოგია და ცხოვრების წესი. მათ გლობალიზაციის ბუნებრივი პროცესი ამერიკანიზაციის ხელოვნურ პროცესად აქციეს, იგი მსოფლიოზე გაბატონე-** ▶

**ქართველები არც ევროპელებს ჩამორჩნენ და არც უკრაინელებს, აქედანაც აფრინეს ბაიდენისთვის მილოცვის წერილები და დეპეშები. წარსულის ამ აჩრდილებს ჰგონიათ, ბაიდენის მზემ მათთვის ამოანათა. იმაზე კი ნაკლებად ფიქრობენ, რომ ბაიდენის მზემ, საეჭვოა, თუნდაც ამერიკელებს გაუნათოს მომავალი, ვინაიდან ამერიკაში ტრამპი კი არა, თვითონ ამერიკა დამარცხდა**



# 70 წლის განმავლობაში ტრამპი პირველი პრეზიდენტი იყო, რომელმაც იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა. ტრამპმა საოცარი აღიარება გააკეთა, როდესაც ბარაკ ობამასა და ჰილარი კლინტონს ხელი დაადო და ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული სახელმწიფოს შექმნაში დაადანაშაულა, მაგრამ ცოტა ხანში ეს განცხადება დაავიწყდა და სირიის დაბომბვა დაიწყო, ანუ მხარი ტერორისტებს დაუჭირა.

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ბის საქმეში მოკავშირედ და ზურგის ქარად გამოიყენეს და საქმე გაიიოლეს. ხატოვნად რომ ვთქვათ, გლობალიზაციის ძრავი საკუთარ ხომალდს მოარგეს და მსოფლიოს დასაპყრობად ლაშქრობა ისე გააჩაღეს, რომ საწვავიც არ ეხარჯებათ.** ამ მიმართულებით რევოლუციური ნახტომი ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა გააკეთეს. ეკონომიკურმა და საფინანსო გიგანტებმა, რომლებიც ვერ ჩაეტივნენ ერთი სახელმწიფოს (თუნდაც ისეთი უზარმაზარის, როგორიც აშშ-ია) ფარგლებში, არეალი გააფართოვეს და ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოში დაფუძნდნენ, რამაც გასაქანი მისცათ, რომ საბრუნავი კაპიტალის ოდენობა მილიონებიდან მილიარდამდე, მილიარდიდან ათეულობით მილიარდამდე, ათეულობით მილიარდიდან კი ასეულობით მილიარდამდე გაეზარდათ. ზოგიერთი მათგანი ზოგიერთ სახელმწიფოზე უფრო ძლიერია. ისინი მეტასტაზებივით შემოეხვივნენ მსოფლიოს.

**აშშ მსოფლიოზე ერთპიროვნულ გაბატონებას რამდენიმე ძირითადი მიმართულებით შეეცადა:**

**1.** გლობალიზაციის ბუნებრივი პროცესისათვის ამერიკანიზაციის მიმართულების მიცემით;

**2.** ტრანსნაციონალური კორპორაციების გამოყენებით, მსოფლიოში არსებული იაფი მუშახელისა და ნედლეულის ხელში ჩაგდებით;

**3**. გარყვნილების პროპაგანდის გზით მთელ მსოფლიოში ზნეობისა და წინააღმდეგობის სულის ჩაკვლით;

**4.** საერთაშორისო ტერორიზმის გაძლიერებითა და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებით.

**დონალდ ტრამპმა პრეზიდენტის პოსტის დაკავებამდე ორი უმნიშვნელოვანესი განცხადება გააკეთა:**

*** ამერიკა უპირველეს ყოვლისა!**

*** ამერიკას არ სურს მსოფლიო ჟანდარმის როლში ყოფნა!**

ეს რევოლუციური განცხადებები იყო. ისინი არ შეესაბამებოდა მიმართულებას, რომელსაც ეს სახელმწიფო მეორე მსოფლიო ომისა და განსაკუთრებით კი სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაადგა. **ტრამპს კი მიაჩნდა, რომ მსოფლიო ჟანდარმის როლი და მსოფლიო ბატონობისკენ სვლა მსოფლიოსთან ერთად აშშ-ის ინტერესებსაც აზიანებდა. ისიც მართალია, რომ ამ საკითხში ტრამპის ქმედებები და განცხადებები მეცნიერული სიღრმითა და ლოგიკური თანმიმდევრულობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ის კი ერთმნიშვნელოვნად ცხადი შეიქნა, რომ ტრამპის კურსი ამერიკელ იმპერიალისტთა მსოფლიო გაბატონებისკენ სწრაფვის კურსს მიზანმიმართულად თუ არ უპირისპირდებოდა, რაღაცით მაინც აბრკოლებდა და წინ ეღობებოდა.**

ამიტომაც მოხდა ის, რომ ტრამპის წინააღმდეგ არა მხოლოდ პოლიტიკური ელიტა და ინსტიტუციები, არამედ მათ მიტმასნილი პრესისა და ხელოვნების წარმომადგენლებიც დაირაზმნენ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან თვითონ ტრამპი დაუპირისპირდა მათ.

**დონალდ ტრამპი:** — როდესაც ცრუ ინფორმაციას (Fake news) ავრცელებთ, თქვენ ხალხის მტრები ხართ!

**ვალერი კვარაცხელია:** — პრეზიდენტი ტრამპი ასეთივე შეუბრალებელი იყო ჰოლივუდის მესვეურთა შეფასებისას.

**დონალდ ტრამპი: — ჰოლივუდი მართლაც საშინელებაა. თქვენ საუბრობთ რასიზმზე, ჰოლივუდი კი რასისტია. ფილმები, რომლებსაც ისინი უშვებენ, საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის. ჰოლივუდი ჩვენს ქვეყანას დათვურ სამსახურს უწევს.**

**ვალერი კვარაცხელია:** — ისე ჩანდა, რომ ტრამპს თითქოს სურდა, აშშ უკვე დაკარგული ეროვნული მიმართულებით განევითარებინა, მაგრამ მას ეს სურვილი მეცნიერულ ბაზაზე არ დაუფუძნებია, მიზანი არ გამოუკვეთია, მოქმედების მწყობრი სისტემა არ შეუმუშავებია და, საბოლოო ჯამში, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებითა და მოქმედებებით მსოფლიო დააბნია. **მიუხედავად ამისა, ტრამპს ძალიან ბევრი უჭერდა მხარს თუნდაც იმ მიზეზით, რომ ხელისუფლებაში ამერიკელებისთვისაც კი შემზარავი ლიბერალები არ მობრუნებულიყვნენ, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნის ისეთსავე ჭირს წარმოადგენენ, როგორსაც მეოცე საუკუნეში ფაშისტები. როგორც ჩვენთან ხდება, ოღონდ ნაცები არ მობრუნდნენ და მუდმივად ქოცებს უჭერენ მხარს. ჩვენთან ეს ფორმულა ჯერჯერობით უტყუარად მუშაობს, ამერიკაში კი ტრამპმა, სამწუხაროდ, ესეც ვერ გათვალა და ვერ გამოიყენა.**

ტრამპი საგარეო ურთიერთობებშიც ხელმოცარული დარჩა — ვერც ჩინეთთან ააწყო ურთიერთობა, ვერც რუსეთთან და ვერც ევროპასთან. ისრაელის პრემიერმინისტრმაც კი ისე მიულოცა გამარჯვება ბაიდენს, რომ შედეგების ოფიციალურად გამოცხადებას არ დაელოდა. ეს გასაკვირი ფაქტია, თუნდაც იმიტომ, რომ **70 წლის განმავლობაში ტრამპი პირველი პრეზიდენტი იყო, ვინც იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა.**

**ტრამპმა საოცარი აღიარება გააკეთა, როდესაც ბარაკ ობამასა და ჰილარი კლინტონს ხელი დაადო და ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული სახელმწიფოს შექმნაში დაადანაშაულა, მაგრამ ცოტა ხანში ეს განცხადება დაავიწყდა და სირიის დაბომბვა დაიწყო, ანუ მხარი ტერორისტებს დაუჭირა.**

ერთი სიტყვით, ტრამპის „რეფორმები“ ქვიშაზე ცათამბჯენის შენებას ჰგავდა, მაგრამ თუნდაც ის, რომ იგი შინაგანად ლიბერალური სიბინძურის (თანამედროვე ფაშიზმის) მოწინააღმდეგე იყო, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კაპიტალისტურ-იმპერიალისტური აშშ-ის თითქმის ყველა ინსტიტუცია მას დაპირისპირებოდა. ამ დაპირისპირებამ არჩევნების დასასრულისთვის ასეთი საშიში ხასიათი მიიღო.

**სანამ საქართველოში დასავლეთის «მეხუთე კოლონა» ბოგინობს, ქვეყანას სიკეთე არ უწერია, შრომის, სწავლის, შემოქმედებითი ცხოვრების, გართობისა და დასვენების თანაბარი პირობების შექმნა, ანუ სამართლიანი ცხოვრება არ უწერია, ვინაიდან ამას ერთადერთი სისტემა განაპირობებდა. იმ სისტემას, რომელიც საკუთარი ხელით დაგვანგრევინეს, სოციალიზმი ერქვა. რაკი სოციალიზმის სიკეთეში ცხოვრება აღარ მოგვინდა, ახლა ველოდოთ ბაიდენის მიერ ნაჩუქარ ბედნიერებას, იქნებ მან მაინც გამოიმეტოს ის სიხარული, რომელსაც რეიგანის, მამა ბუშის, კლინტონის, შვილი ბუშის, ობამას, ტრამპის ხელში ვერ ვეღირსეთ, თუ არადა, ვხოცოთ ერთმანეთი, ვურტყათ ერთმანეთს დასისხლიანებამდე მიშასა და ბიძინას სახელით**



**ჯოზეფ ბაიდენი:** — მე გავიმარჯვე. მე ვიქნები პრეზიდენტი ყველასთვის, მიუხედავად იმისა, მომეცით თუ არა ხმა!

**დონალდ ტრამპი:** — 71 მილიონი კანონიერი ხმით მე მოვიგე არჩევნები!

**ვალერი კვარაცხელია:** — ეს იმპერატიული ტონი და არჩევნების შედეგების არ აღიარება უკვე სამოქალაქო დაპირისპირებას მოასწავებს, რომელიც, თუ მოხდება, შეიძლება მსოფლიოსთვის უმძიმესი შედეგების მომტანი აღმოჩნდეს. **ყოველგვარი ზნეობრივისგან დაცლილი ევროპა კი ბაიდენს შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე დიდი სიამოვნებით ემთხვია ტერფებზე და მისალოცი დეპეშები აფრინა.**

**საარჩევნო ციებ-ცხელება ამით არ დასრულებულა. დიდი ალიაქოთი და არეულობაა მოსალოდნელი არა მხოლოდ ამერიკაში. უკრაინაში ექსპრეზიდენტი პოროშენკო ძალიან ხმამაღლა ალაპარაკდა. ამერიკისგან „პეტრიოტების“ შეძენასა და რუსეთთან ღია კონფრონტაციაზე ისაუბრა.**

ქართველები არც ევროპელებს ჩამორჩნენ და არც უკრაინელებს, აქედანაც აფრინეს ბაიდენისთვის მილოცვის წერილები და დეპეშები. წარსულის ამ აჩრდილებს ჰგონიათ, ბაიდენის მზემ მათთვის ამოანათა. იმაზე კი ნაკლებად ფიქრობენ, რომ ბაიდენის მზემ, საეჭვოა, თუნდაც ამერიკელებს გაუნათოს მომავალი, ვინაიდან ამერიკაში ტრამპი კი არა, თვით ამერიკა დამარცხდა.

**ამერიკული მოჩვენებითი დემოკრატია დამარცხდა;**

**სიცრუეზე ნაშენები ამერიკული დიდება დამარცხდა;**

**ადამიანის უფლებების დაცვის ამერიკული მითი დამარცხდა;**

**ბედნიერი ცხოვრების ამერიკული ბუტაფორია დამარცხდა;**

**თავისუფალი სამყაროს შესახებ ნიჭიერად დადგმული ამერიკული ოთხსაუკუნოვანი შოუ დამარცხდა.**

**ამერიკაში შოუ დასრულდა. ვნახოთ, დაიწყება თუ არა ომი.**

ქართული პოლიტიკური წრეები ამ მოვლენის გააზრებისგან შორს დგანან.

საარჩევნო ციებ-ცხელება აქაც ჩიხში შევიდა, მაგრამ, ცოტა ვინმე თუ აცნობიერებს, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

**რატომ დუღს საქართველო ოცდაათი წლის განმავლობაში?**

**რატომ არ წყნარდება საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის "კლანჭებისგან განთავისუფლებული", დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო?**

**რა უნდა, რა აშფოთებს მას?**

ჩემი ღრმა რწმენით, სოციალური სამართლიანობა სწყურია, თანასწორობის პრინციპებით ცხოვრება სწყურია, წართმეულისა და დაკარგულის უკან დაბრუნება უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს. ჯერ ვერც იმას აცნობიერებს, სად არის შველა, და ვერც იმას, რატომ დაემართა ეს ყველაფერი. **ამერიკელებისა და კოლექტიური დასავლეთის მიერ მწარედ მოტყუებულმა და თავგზააბნეულმა ხალხმა ხან გამსახურდიას გზით იარა, ხან შევარდნაძის, ხან სააკაშვილი დასახა მხსნელად, ხან ივანიშვილი, მაგრამ ხედავს, რომ საქართველოს საქმე უკან-უკან მიდის. საბოლოო განადგურების გზაზე შემდგარი ხალხი აგონიაშია. სიმართლეს ვერ აგნებს, რადგან ყველა მხრიდან, ყველა არხიდან და ჭუჭრუტანიდან მხოლოდ სიცრუე, მხოლოდ სიყალბე და ფარისევლობა ესმის. სასოწარკვეთამდე მისულ ხალხს, ნაცვლად იმისა, გზა ხსნისა შესთავაზონ, ხან ერთმა მხარემ დაულეწა ცხვირპირი და ჩაუნგრია გვერდები, ხან — მეორემ.** თითქმის გაქრობამდე მისული, მცირერიცხოვანი ხალხი ოცდაათი წელიწადის განმავლობაში ლიდერების გამო მუდმივად ორ ნაწილადაა გაყოფილი და საკუთარ სისხლთან და ხორცთან დაპირისპირებულია. იმას კი ვერ ხვდება, რომ ის ლიდერები სულაც არ იყვნენ ერთმანეთთან დაპირისპირებულნი.

ერთმანეთის ვითომ მოსისხლე მტრები — **შევარდნაძე** და **სააკაშვილი** ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებოდნენ;

ახლაც ასეა: ერთმანეთის ვითომ მოსისხლე მტრები — სააკაშვილი და ივანიშვილი ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებიან.

პოლიტიკაში პირადი მტრობა და შუღლი კი არაა მთავარი, მთავარი ის არის, ვინ ჰყავთ პატრონი, საიდან იმართებიან და რა მსოფლმხედველობა ამოძრავებთ. **სანამ საქართველოში დასავლეთის „მეხუთე კოლონა“ ბოგინობს, ქვეყანას სიკეთე არ უწერია, შრომის, სწავლის, შემოქმედებითი ცხოვრების, გართობისა და დასვენების თანაბარი პირობების შექმნა, ანუ სამართლიანი ცხოვრება არ უწერია, ვინაიდან ამას ერთადერთი სისტემა განაპირობებდა. იმ სისტემას, რომელიც საკუთარი ხელით დაგვანგრევინეს, სოციალიზმი ერქვა. რაკი სოციალიზმის სიკეთეში ცხოვრება აღარ მოგვინდა, ახლა ველოდოთ ბაიდენის მიერ ნაჩუქარ ბედნიერებას, იქნებ მან მაინც გამოიმეტოს ის სიხარული, რომელსაც რეიგანის, მამა ბუშის, კლინტონის, შვილი ბუშის, ობამას, ტრამპის ხელში ვერ ვეღირსეთ, თუ არადა, ვხოცოთ ერთმანეთი, ვურტყათ ერთმანეთს დასისხლიანებამდე მიშასა და ბიძინას სახელით. ამით, მართალია, გაბრწყინებულ საქართველოს ვერ ავაშენებთ, მაგრამ გავერთობით მაინც...**

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“, მომავალ შეხვედრამდე!

**P. S. 8 ოქტომბერს ცესკოს მიმდებარე ტერიტორიაზე ხელისუფლება სახანძრო მანქანებიდან მიშვებული წყლის ჭავლით ხალხს როცა ცივ წყალში „აბანავებდა“, მოსკოვის ცენტრალური ტელეარხიდან ვლადიმერ ჟირინოვსკი რუსეთის ხელისუფლებას ხმის ჩახლეჩვამდე ამუნათებდა:**

**— სანამ დასავლეთი „ბარბაროსას“ ახალი გეგმით მოგვადგება, სანამ ჯერ კიდევ დრო არის, უკრაინის, სამხრეთ კავკასიის, ბელარუსისა და ცენტრალური აზიის პრობლემა სასწრაფოდ უნდა გადავჭრათ. ერთ მშვენიერ დილას ეს ხალხი რომ გაიღვიძებს, ყველგან რუსული დროშები უნდა ფრიალებდეს!**

**მერე გადაცემის წამყვანს (ვლადიმერ სოლოვიოვს) მიუბრუნდა, — ეს გადაცემა საღამოს ცხრაზე უნდა გადიოდეს, ჩემი ნათქვამი ყველას უნდა მოესმინა. ახლა გვიანია და ხალხს ძინავს.**

**— თქვენმა ნათქვამმა უკვე ყველა გააღვიძა, — ორაზროვნად მიუგო შეჩქვიფებულმა წამყვანმა.**

**ეჰ, ცუდ დროში ვცხოვრობთ, მუდმივად უარესის მოლოდინში უნდა ვიყოთ...**

**ვალერი კვარაცხელია**

თვალსაზრისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იაფფასიანი წარმოდგენების შედეგად ზიანი მიადგა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ინსტიტუციებს, როგორებიცაა, მაგალითად, მართლმსაჯულების სისტემა, უსაფრთხოების სამსახური და ა.შ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მთლიანად დისკრედიტებულია პოლიტიკური სპექტრი, რომლის მიმართაც საზოგადოების ნდობის მაჩვენებელი დღეს, პრაქტიკულად, ნულია. აი, ეს არ ესმით, როგორც ჩანს, ან არ უნდათ, რომ ესმოდეთ უმაღლეს პოლიტიკურ ეშელონებში“.**



სოსო ცინცაძე:

# უსაფრთხოების სამსახური კობახიძისგან უნდა იღებდეს ინფორმაციას მოსალოდნელ სახელმწიფო გადატრიალებაზე?!

**თურმე ჯერ კიდევ 1 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ხელისუფლების დამხობის მცდელობაზე გამოძიება დაიწყო. როგორც უწყების მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც გულისხმობს „შეთქმულებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად“ და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე: „საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი შეიქნა სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში არსებული ოპერატიული ინფორმაცია, რომლის მიხედვით, კონკრეტული პირები, საპარლამენტო არჩევნებში მათთვის არასასურველი შედეგის შემთხვევაში, გეგმავდნენ, მოეხდინათ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა, რა მიზნითაც ყოფილი სამართალდამცველი და სამხედრო მოსამსახურეების რიგებიდან აკომპლექტებდნენ მობილურ ჯგუფებს“.**

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში კვლავ გრძელდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები, რათა მაქსიმალურად სწრაფად მოხდეს მტკიცებულებების შეკრება და დანაშაულის ჩამდენ პირთა მხილება.

**ცნობისთვის:** ზემოაღნიშნული განცხადების გავრცელებამდე ერთი დღით ადრე, 5 ნოემბერს, სუს-ში გამოკითხვაზე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეც იმყოფებოდა. როგორც დაკითხვის დასრულების შემდეგ კობახიძემ მედიასთან განმარტა, გამოძიებას საქმის მთელ რიგ გარემოებებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მისივე განცხადებით, იყო კონკრეტული ადამიანების სიაც, რომლებიც ქვეყანაში რევოლუციასა და სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ.

**რა ინფორმაციას ფლობს ხელისუფლება სახელმწიფო გადატრიალების შესაძლო მცდელობაზე, რა მიზანს ემსახურება ამ საქმის გარშემო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაწყებული ურთიერთბრალდებების ახალი სერია და რა პოლიტიკურ პროცესებს გამოიწვევს მომავალში ეს ყველაფერი, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.**

**— ბატონო სოსო, არჩევნების დასრულების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლებამ თავის შეკოწიწებულ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციასთან პოლიტიკური გაწევ-გამოწევის ახალი სერია დაიწყო. ივანიშვილის ხელისუფლებისგან უკვე მერამდენედ გვესმის საზოგადოების დამზაფრავი განცხადებები, რომ თურმე ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება მზადდება. რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი და რას იღებს არსებული პოლიტიკური სპექტრი ამ პროცესით?**

— დავიწყოთ იმით, რომ არჩევნების შემდგომ მოვლენები განვითარდა ყველაზე არასასურველ ჭრილში, რაც, ალბათ, გარკვეულწილად მოსალოდნელიც იყო და ამან, შესაძლოა, უფრო დიდი ზიანი მიაყენოს ქვეყნის პოლიტიკურ მოცემულობას. ვგულისხმობ იმას, რომ ოპოზიცია, რომელიც მოგვწონს თუ არა, ჩვენი რეალობის ნაწილია, არ ცნობს არჩევნების შედეგებს, პროცესი გადააქვს ქუჩაში და ამის ფონზე უშიშროების სამსახური იწყებს გამოძიებას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე. ეს, ცხადია, არ არის ჩვეულებრივი პროცესი და მას მომავალში კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ, თუმცა ფაქტია, ხელისუფლებამ, მასთან მუდმივ ჭიდილში მყოფ ოპოზიციასთან ერთად, ძალიან გააუფასურა პოლიტიკური პროცესები; და გააუფასურა ერთი და იმავე სცენარის გამეორებით, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, საზოგადოებისთვის უკვე არაერთხელ „ნანახი კინოა“. სხვათა შორის, ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ მსგავს სცენარს, რაღაც შეთქმულების თეორიებით პროცესების გადაფარვას ვგულისხმობ, უკვე მესამედ ხედავს ჩვენი საზოგადოება. პირველი იყო ე.წ. საბურავების საქმე ჭიკაიძის მინისტრობისას, რომელიც, მგონი, დღესაც არაა ოფიციალურად დახურული; მეორე იყო ე.წ. გავრილოვის პროვოკაცია, რომელსაც ასევე მოჰყვა გამოძიება და დაჭერები, მაგრამ, როგორც დაიჭირეს, ისე გამოუშვეს თუ გამოაშვებინეს ბრალდებულები; და მესამეა ეს... კიდევ ვიმეორებ: ყველა შემთხვევაში, იქნებოდა ეს „საბურავების საქმე“ თუ პარლამენტში შეჭრის მცდელობა, გამოძიებები ჩაიფარცხა. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: თუ აშკარა იყო დანაშაული და დანაშაულის კონკრეტული მტკიცებულებები, როგორც, მაგალითად, ჭიკაიძე აცხადებდა თავის დროზე, რატომ არ მივიდა ბოლომდე გამოძიება?! რატომ არის დღეს ეს საქმეები თაროზე შემოდებული და მივიწყებული?!

**«ახალი ძალა, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, ჩვენთან არ გაჩნდება. ამის რეალური წინაპირობები არ არსებობს. ჩვენ ახლა, ალბათ, ორიენტირებულნი უნდა ვიყოთ იმაზე, რომ არსებულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, ხელისუფლება-ოპოზიციას ვგულისხმობ, ერთმანეთთან რაღაც თეატრალიზებული დაპირისპირებებით, ურთიერთბრალდებებით და დისკრედიტებით მთლიანად არ მოშალოს სახელმწიფო სისტემა»**

**— თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ყველაფერი ძალიან მარტივია: არავითარი სამართლებრივი პროცესი ეს არ ყოფილა, ეს იყო ჩვეულებრივი პოლიტიკური სპექტაკლი, რომელსაც რა მიზანი ჰქონდა რეალურად, რთული სათქმელია, მაგრამ **მსგავსი იაფფასიანი წარმოდგენების შედეგად ზიანი მიადგა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ინსტიტუციებს, როგორებიცაა, მაგალითად, მართლმსაჯულების სისტემა, უსაფრთხოების სამსახური და ა.შ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მთლიანად დისკრედიტებულია პოლიტიკური სპექტრი, რომლის მიმართაც საზოგადოების ნდობის მაჩვენებელი დღეს, პრაქტიკულად, ნულია. აი, ეს არ ესმით, როგორც ჩანს, ან არ უნდათ, რომ ესმოდეთ უმაღლეს პოლიტიკურ ეშელონებში,** თუმცა იმას, რაც უკვე არსებობს, როგორც დღის წესრიგი და მოცემულობა, ცხადია, ვერ შევცვლით. ეს, მოგვწონს თუ არა, ფაქტია, ამიტომ ვფიქრობ, რომ დღევანდელ ვითარებაში ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იქნება, თუ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება უფრო ფართო მასშტაბს, ანუ ქვეყნისთვის კიდევ უფრო დამაზიანებელ ხასიათს არ მიიღებს.

**— საბურავების საქმე ახსენეთ და თქვით, რომ იმხანად შინაგან საქმეთა მინისტრი ჭიკაიძე კონკრეტულ მტკიცებულებებზე საუბრობდა. რამდენიმე დღის წინათ სუს-ში დაკითხვიდან გამოსულმა ირაკლი კობახიძემაც განაცხადა, რომ გამოძიებას კონკრეტული ფაქტები მიაწოდა...**

— ტრაბახის გარეშე ვიტყვი: ასობით წიგნი წამიკითხავს სახელმწიფო გადატრიალებებზე, რომლებიც კაცობრიობის ისტორიაში მომხდარა და ვიცი, როგორ მზადდება რეალური გადატრიალებები ან რა პოტენციალი სჭირდება მას. დღეს ქართულ ოპოზიციას არანაირი პოტენციალი არ აქვს, ამიტომ, რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე აბსურდია ის, რომ თურმე სრულიად ურესურსო, პოლიტიკურად უპოტენციალო ფიგურები გადატრიალებას გეგმავდნენ. რაც შეეხება კონკრეტულად იმ ფაქტს, რომ თურმე კობახიძემ უსაფრთხოების სამსახურს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია, ჯერ ერთი, **რა მისი ფუნქციაა, რომ გამოძიებას მიაწოდოს რაღაც სია;** და მეორე — **უსაფრთხოების სამსახური კობახიძისგან უნდა იღებდეს ინფორმაციას ქვეყანაში მოსალოდნელ სახელმწიფო გადატრიალებაზე?! თვითონ რას აკეთებენ, რაში იღებენ ხელფასებს?! რა გამოდის: კობახიძე უფრო უკეთაა ინფორმირებული მოსალოდნელ საფრთხეებზე, ვიდრე უშიშროების სამსახური?!** სასაცილოა, უბრალოდ. თუმცა, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **ამ პროცესის სერიოზულ გაგრძელებას მომავალში არ უნდა ველოდოთ. ეს არის თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელსაც ცოტა ხანს, ალბათ, გამართავენ და მერე ისევე მიჩუმათდება, როგორც „საბურავების“ საქმე, „გავრილოვის ღამის“ შემდგომი პროცესები და ა.შ.** აი, ეს არის ის მავნე პოლიტიკური პრაქტიკა, რომელსაც, უკვე წლებია, სერიებად ვუყურებთ; აქ სამწუხაროა ის, რომ ამ ყველაფერს ეწირება სახელმწიფო, ეწირება მართვის სისტემა და ინსტიტუციები, რაც, ესენი რომ წავლენ და, ადრე თუ გვიან, ალბათ, წავლენ, იმიტომ, რომ მუდმივი არაფერია, ძალიან დიდი პოლიტიკურ იარად დარჩება საქართველოს.

**— ეს ყველაფერი საზოგადოებაზე როგორ მოქმედებს — კიდევ უფრო მაღლა იწევს პოლიტიკური დაძაბულობის ტემპერატურა თუ, უბრალოდ, ნიჰილიზმი მოიმატებს?**

— უკვე დამთავრებულია ეტაპი, როცა გარკვეულ პოლიტიკურ სპექტაკლებსა და ფარსებზე საზოგადოება ძალიან მწვავედ რეაგირებდა. საზოგადოება ახლა ინერტულია, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ეს ინერტულობა განპირობებულია კმაყოფილებით ან მხოლოდ შიშით, არა, ვფიქრობ, რომ საზოგადოებამ გარკვეული იმუნიტეტი გამოიმუშავა ცრუ პროცესებზე. საერთოდ, ძალა, რომელიც საზოგადოებას კი არ აერთიანებს, არამედ თიშავს და აპირისპირებს, ბოლოს და ბოლოს, მარგინალდება, ამიტომ ის ვერასოდეს მიიღებს ფართო მასების მხარდაჭერას. რაც შეეხება გამოსავალს, იყო და, ალბათ, ნაწილობრივ დღესაც არის მოსახლეობაში მოლოდინი, რომ ახალი ძალა გაჩნდებოდა. ჩემი სუბიექტური მოსაზრება ასეთია: **ახალი ძალა, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, ჩვენთან არ გაჩნდება. ამის რეალური წინაპირობები არ არსებობს.** ჩვენ ახლა, ალბათ, **ორიენტირებულნი უნდა ვიყოთ იმაზე, რომ არსებულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, ხელისუფლება-ოპოზიციას ვგულისხმობ, ერთმანეთთან რაღაც თეატრალიზებული დაპირისპირებებით, ურთიერთბრალდებებითა და დისკრედიტებით მთლიანად არ მოშალოს სახელმწიფო სისტემა.** გასაგებია, რომ არ არის არჩევანი და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან საზოგადოებაში სულ სხვა მოთხოვნები არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს არის რეალობა, რომელსაც ვერ გავექცევით...

**— საზოგადოებაში, დიდი ხანია, არსებობს პოლიტიკურ ასპარეზზე მძლავრი კონსერვატიული ბირთვის ჩამოყალიბების მოთხოვნაც. არ მეთანხმებით?**

— კი, ბატონო, მაგრამ მოთხოვნა ერთია და მიწოდება — მეორე, ამიტომ რეალობას უნდა შევხედოთ. როგორც გითხარით, რაც გვაქვს, არსებული პოლიტიკური სპექტრის სახით, ეს არის, მორჩა. გამომდინარე აქედან, მე ნამდვილად **არ ველოდები აქ რაღაც ჯადოსნური ჯოხის აქნევას და ახალი სუპერძალის ჩამოყალიბებას, რომელიც არსებულ მანკიერ სისტემას ჩაანაცვლებს.** კიდევ ვიმეორებ: მოთხოვნა არსებობს და, ალბათ, ბუნებრივია, რომ არსებობს, მაგრამ შესაძლებლობები ნაკლებია. ეს სრულიად ნათელია, ამიტომ **ჩვენი ამოცანა ახლა ის კი არ უნდა იყოს, რაც ჯერჯერობით მხოლოდ სურვილია, არამედ ის, რომ ქვეყანა რაც შეიძლება ნაკლები ზიანითა და დანაკარგებით გამოვიდეს კრიზისიდან.** ჩემი აზრით, ეს არის კონიუქტურული სუპერამოცანა, რომლის გადაწყვეტაც ამ გაშმაგებული ეკონომიკური კრიზისის პერიოდში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამ პრობლემის გადაჭრისა და მოგვარების გზებს ვერ ვხედავ ვერც ერთი მხრიდან — ვერც ოპოზიციის, რომელიც ნამდვილად არ არის თანამიმდევრული, და ვერც ხელისუფლების, რომლის წარმატებასა და ეფექტიანობაზე ზედმეტია საუბარი.

**«ამ პროცესის სერიოზულ გაგრძელებას მომავალში არ უნდა ველოდოთ. ეს არის თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელსაც ცოტა ხანს, ალბათ, გამართავენ და მერე ისევე მიჩუმათდება, როგორც «საბურავების» საქმე, «გავრილოვის ღამის» შემდგომი პროცესები და ა.შ. აი, ეს არის ის მავნე პოლიტიკური პრაქტიკა, რომელსაც, უკვე წლებია, სერიებად ვუყურებთ; აქ სამწუხაროა ის, რომ ამ ყველაფერს ეწირება სახელმწიფო, ეწირება მართვის სისტემა და ინსტიტუტები»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

2019 წლის ოქტომბერთან შედარებით, პირველადი მოხმარების (და არამხოლოდ) პროდუქტები შემდეგნაირად არის გაძვირებული: წიწიბურა — 76,63%-ით, ნიორი — 27,27%-ით, ხმელი ლობიო — 26,75%-ით, მზესუმზირის ზეთი — 25,60%-ით, ბოსტნეულის კონსერვი — 22,21%-ით, მანანის ბურღული — 22.20%-ით, მწვანე ლობიო — 21,10%-ით, თევზის კონსერვი — 20,99%-ით, ნაყინი — 18,72%-ით, მაკარონი და მაკარონის ნაწარმი —17,05%-ით.

ეკონომიკური კრიზისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თუ ხელისუფლება რადიკალურ ცვლილებებს არ განახორციელებს, ვერც პროდუქტების გაძვირებას შეაჩერებს და ვერც ვალუტის გაუფასურებას

**ზოგჯერ გვგონია, რომ ამაზე უარესი არ შეიძლება იყოს და რეალურად, რამდენიმე თვეში ვხვდებით, რომ უარესზე უარესი დროება გვიდგას. ვერ გეტყვით, ვინმე თუ გაიხსენებს რომელიმე პროდუქტის ისე გაიაფებას, რომ რამდენიმე დღეში კვლავ არ გაძვირებულიყოს. ასე, გაძვირებიდან გაძვირებამდე ცხოვრობს მოსახლეობის უმრავლესობა და, რაც მთავარია, არანაირი პერსპექტივა იმისა, რომ პროდუქტების გაძვირების პარალელურად მოსახლეობის შემოსავალი გაიზარდოს, არ არსებობს. მოსახლეობა ზოგავს ყველაფერზე — კომუნალურ გადასახადებზე, ტრანსპორტზე, ტანსაცმელზე, საკვებზე და წელში წყდება, ამ მოთმინებისა და ტანჯვის სანაცვლოდ კი ვერაფერს იღებს.**

ბოლო ნახევარი წელიწადია, გაზეთის ყოველ ნომერში თუ არა, ყოველ მეორეში მაინც ვწერთ იმ საფრთხეებზე, რომლებიც გველოდება, კონკრეტულად — პროდუქტის გაძვირებაზე. პირველადი მოხმარების პროდუქტებს ვგულისხმობთ, თორემ, თევზი და ხორცი სანატრელი რომ აქვს მოსახლეობას, ახალი ამბავი არ არის. ხელისუფლება კი გვიმტკიცებს, ყველაფერი რიგზე იქნებაო, მაგრამ არც არაფერია რიგზე და არც იქნება.

დავიწყოთ იმით, რომ ეროვნული ვალუტა ისევ თავისუფალ ცურვაშია გაშვებული და, როგორც გვიხსნიან, ეს კარგია, მაგრამ იმას კი აღარ გვეუბნებიან, სულ აღმა რატომ მიცურავს ლარი და ერთხელ დაბლა რატომ არ ჩამოდის.

თუ გახსოვთ, **პანდემიის პირველი შემოტევისას ხელისუფლებამ პირობა დადო, მთავარი მოხმარების რვა ძირითად პროდუქტზე ფასების სუბსიდირებას დავიწყებ და მოსახლეობა გაძვირებას ვერ იგრძნობსო.** სუბსიდირების რა გითხრათ, მაგრამ განსაკუთრებით რეგიონებში მაღაზიები სწორედ იმ პირველადი მოხმარების პროდუქტებს ისეთ ფასად ჰყიდდნენ, როგორსაც მოისურვებდნენ.

რეგულაციების გამკაცრება ახლაც დაგვიანონსეს და ეს რეგულაციები იმაზე მკაცრი იქნება, ვიდრე 9 ნოემბრიდან ამოქმედებული კომენდანტის საათია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მომავალი კვირიდან, შაბათს ან კვირას (ან ორივე დღეს ერთად), საერთოდ ჩაიკეტება ქვეყანა და გართ გამოსვლა აეკრძალება მოსახლეობას. ჰოდა, პროდუქტებზე ფასები აუცილებლად მოიმატებს და ეს მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ბიზნესმენები სწორედ კრიტიკულ პერიოდში იღებენ სარგებელს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ლარი რეკორდულად არის გაუფასურებული, ჩვენ კი ყველაფერი უცხოეთიდან შემოგვაქვს. ჰო, ყველაფერი — **ჩვენს სამყოფს ვერაფერს ვაწარმოებთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 15 რესპუბლიკიდან 14-მა მოახერხა საკუთარი ეკონომიკის ასე თუ ისე განვითარება და ერთი ისეთი პროდუქტი მაინც აქვს, რომელსაც თვითონ აწარმოებს და რომელზეც არის ჩამოკიდებულ-დამოკიდებული. საქართველომ კი ასეთი ვერაფერი მოიფიქრა, ვერაფერი ააწყო და გააწყო. წყალიც კი, რომელიც, თითქოს საბჭოთა კავშირში კი არა, ლამის ევროპაში საუკეთესო გვაქვს, ვერ გავიტანეთ საჭირო ოდენობით და გატანას ვინ ჩივის, იმდენს ვერ ვაწარმოებთ, რომ ადგილზე გვეყოს და ბაზარზე სასმელი წყლის 20% შემოტანილია.** ბიზნესინტერესების გამო ვერ გავცდით კვერცხის წარმოების 30%-ს, ანუ კვერცხის 70% იმპორტირებულია და ეს იმის მიუხედავად, რომ ასი პროცენტით ქართული კვერცხის წარმოების შესაძლებლობა გვაქვს, რაც დასაქმებულების რაოდენობასაც გაზრდის, მაგრამ მერე ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანები მილიონებს დაკარგავენ და ვის აინტერესებს ხალხის კეთილდღეობა, როცა საქმე 3-4 კაცის მილიონებს ეხება?!

მთავრობის კულუარებში ამბობენ: ოღონდ კი ახალი ბიუჯეტი დავამტკიცოთ და გაძვირებული პროდუქტების სუბსიდირებას ისევ მოვახდენთო. გადაწყვეტილია, რომ აუცილებლად გამოიყოფა სუბსიდია პურზე. ადრე მხოლოდ ჩვენ შემოვკარით განგაშის ზარს, რომ რუსულ მხარესთან ხორბალზე ესაუბრათ, მაგრამ არავინ მოგვისმინა. ახლა კი ტონა ხორბალი 250 დოლარი ღირს ადგილზე, ჩვენთან კი ამ ოდენობის ვალუტის საყიდლად 850 ლარზე მეტია საჭირო. ხომ ხვდებით ეს რას ნიშნავს? **ტრანსპორტირების თანხა, დაფქვის შემდეგ 30% ქატო და მხოლოდ 70% ფქვილი და გამოდის, რომ ერთი კილო ფქვილი 1.50 ლარი ღირს და პურის გაძვირება ნუ გაგიკვირდებათ. აი, დანარჩენი პროდუქტების სუბსიდიებს რაც შეეხება...**

შარშანდელ ოქტომბერთან შედარებით, პირველადი მოხმარების (და არამხოლოდ) პროდუქტები შემდეგნაირად არის გაძვირებული: **წიწიბურა** — 76,63%-ით, **ნიორი** — 27,27%-ით, **ხმელი ლობიო** — 26,75%-ით, **მზესუმზირის ზეთი** — 25.60%-ით, **ბოსტნეულის კონსერვი** — 22.21%-ით, **მანანის ბურღული** — 22,20%-ით, მწვანე ლობიო — 21,10%-ით, თევზის კონსერვი — 20,99%-ით, **ნაყინი** — 18,72%-ით, **მაკარონი და მაკარონის ნაწარმი** —17,05%-ით. ახლა ვიანგარიშოთ, რა დაუჯდება სახელმწიფოს ამ ყველაფრის სუბსიდირება. ამას დაამატეთ პურის სუბსიდია, რომელიც ყოველდღიურად, შესაძლოა, რამდენიმე ასეული ათასი და მილიონიც კი იყოს. რა გამოდის? **ჩვენი გადასახადებიდან ბიუჯეტში შესული თანხები ქვეყნის განვითარების, საწარმოების შექმნის ან, ელემენტარულად, პენსიების მომატების (ხელფასის მომატებაზე არაფერს ვამბობთ, მაინც არავინ მუშაობს) ნაცვლად, მიდის იმაში, რომ პროდუქტები ვიყიდოთ იაფად, დანაზოგით გადავიხადოთ გადასახადები, შემდეგ სახელმწიფომ ისევ გამოყოს სუბსიდიები პროდუქტებზე და... აზრი? შედეგი? წინსვლის პერსპექტივა? სამივე კითხვაზე პასუხი ნულია.**



**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 15 რესპუბლიკიდან 14-მა მოახერხა საკუთარი ეკონომიკის ასე თუ ისე განვითარება და ერთი ისეთი პროდუქტი მაინც აქვს, რომელსაც თვითონ აწარმოებს და რომელზეც არის ჩამოკიდებულ-დამოკიდებული. საქართველომ კი ასეთი ვერაფერი მოიფიქრა, ვერაფერი ააწყო და გააწყო. წყალიც კი, რომელიც, თითქოს საბჭოთა კავშირში კი არა, ლამის ევროპაში საუკეთესო გვაქვს, ვერ გავიტანეთ საჭირო ოდენობით და გატანას ვინ ჩივის, იმდენსაც ვერ ვაწარმოებთ, ადგილზე რომ გვეყოს — ბაზარზე სასმელი წყლის 20% შემოტანილია**

შექმნილი რეალობის მიუხედავად, ხელისუფლება გვიმტკიცებს: ყველაფერი რიგზეა, უბრალოდ, ვალუტა რომ უფასურდება, ცუდი მოლოდინის ბრალია, თორემ საგანგაშო არაფერი ხდებაო. პირველად ვინ მოიფიქრა, რომ ლარის გაუფასურება ცუდი მოლოდინებისთვის დაებრალებინა, არ ვიცი, მაგრამ... **ორიოდე დღის წინათ აზერბაიჯანმა სტრატეგიული ქალაქი შუშა აიღო, მაგრამ სომხურ დრამს არაფერი დატყობია. აზერბაიჯანული მხარე სომხეთის ეკონომიკას ყოველდღიურად ურტყამს — უნადგურებს სამხედრო ტექნიკას, ცოცხალ ძალას და ცუდის მოლოდინი რეგიონში თუ სადმე შეიძლება იყოს, სწორედ სომხეთშია, მაგრამ იქ არც არავინ ამბობს, — დრამი ცუდი მოლოდინების გამო გაუფასურდაო და იცით, რატომ?** არ უფასურდება! თუ სომხეთის ეკონომიკა ისეთი მყარია, რომ ომიც ვერაფერს უშვრება, მაშინ ყოჩაღ მათ და ვაი ჩვენს პატრონს!

**ზამთარი კარს მოგვადგა და ეს იქნება ერთ-ერთი მძიმე ზამთარი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. არ ვამბობთ, რომ ნავთის რიგში მოგვიწევს დგომა, მაგრამ შიმშილის ზღვარზე ნამდვილად მივალთ.** ცალკე ეპიდემია გვიტევს, ცალკე — ლარის კურსი და ცალკე კიდევ — პროდუქტების გაძვირება. უმუშევრობაზე აღარაფერს ვამბობთ, რადგან ეს პრობლემა, 30 წელია, გვიდგას და ზოგჯერ ისე ჩანს, თითქოს მივეჩვიეთ. მოსახლეობას აღარც სჯერა, რომ რომელიმე ხელისუფალი მათ დასაქმებაზე იზრუნებს და რეალურად აღარც აღარავინ ითხოვს საჯაროდ და სახალხოდ დასაქმებას. ყველა თვითდასაქმებაზეა გადასული და... **ვიცეპრემიერ მაია ცქიტიშვილის მოწოდებას, დისტანციურად იმუშავეთო, ტაქსის მძღოლი გამოეხმაურა: კლიენტებს დავანახვებ, საჭეს როგორ ვატრიალებ და ადგილამდე ფეხით მივლენ, ალბათო.** ევროპაში არ უჭირთ რეგულაციების დაცვა, გარანტირებული სამსახურები, მიღებული კომპენსაციები, მყარი ეკონომიკა და, რაც მთავარია, მოქალაქეების დანაზოგი ამის შესაძლებლობას აძლევთ. ჩვენთან კი არც ერთია, არც მეორე, არც მესამე და მეოთხე. **რა მწარე მოსასმენიც უნდა იყოს, უნდა ვთქვათ, რომ პროდუქტები ამ თვეშიც გაძვირდება, მომავალშიც და, საერთოდ, ყოველთვიურად მოიმატებს ფასები; ნუ მოგატყუებთ ის, რომ სეზონურად რაიმე პროდუქტი შეიძლება გაიაფდეს, მაგრამ რაღა გაიაფდეს, ოქტომბერში ნაყინი რომ გაძვირდება, როცა, წესით, უნდა იაფდებოდეს, რაღაზე უნდა ვისაუბროთ?!**

თუ ხელისუფლებამ ახლი წლიდან არ დაიწყო იმაზე ფიქრი, რომ რაიმე ისეთი შექმნას, რასაც ასეთი კრიზისისას დაეყრდნობა, თუნდაც წყალი, რომელიც მართლა შეიძლება ევროპის ბრენდად იქცეს და კარგად გაიყიდოს. ოღონდ საამისოდ **ამბიციები დიდმა ევროპულმა კომპანიებმა უნდა დაიცხრონ და ხომ გვქვია პარტნიორები, უნდა შეგვიშვან ბაზარზე. აქამდე არ გაუკეთებია ეს და, სავარაუდოდ, არც მოგვითხოვია. არადა, უნდა მოვითხოვოთ, იმ უაზრო დაპირებების სანაცვლოდ უნდა მოვითხოვოთ, რომლებზეც, ამდენი წელია, თავს ვუქნევთ, ევროკავშირში ამაო დაპირების რომ გვჯერა, ამიტომ უნდა დათმონ.** სხვაგვარად მუდმივად კარდაკარ მოარული მათხოვარი იქნება ჩვენი ქვეყანა და მათხოვრის ბედი ხომ იცით, მოწყალებას ხან გაიღებენ, ხან — არა.

**ძალიან ვწუხვართ, რომ პროდუქტების ჩვენ მიერ ნაწინასწარმეტყველები გაძვირება და ლარის გაუფასურება ასი პროცენტით ახდა. ახლა იმას ვიტყვით, რომ, თუ რამე რადიკალურად არ შეცვალა ხელისუფლებამ, ვერც პროდუქტების გაძვირებას გააჩერებს, ვერც ვალუტის გაუფასურებას და, „ლოქდაუნის“ გამოცხადებას რომ ერიდება მთავრობა, სწორედ დასავლელი პარტნიორები გამოგვიცხადებენ „ლოქდაუნს“ და დაგვხურავენ.** ჰო, დაგვხურავენ ზუსტად ისე, როგორც რომელიმე საწარმოს, და თუ გგონიათ, საწარმოზე მეტი წარმოდგენა აქვთ ჩვენზე, ძალიან ცდებით.

**რა მწარე მოსასმენიც უნდა იყოს, უნდა ვთქვათ, რომ პროდუქტები ამ თვეშიც გაძვირდება, მომავალშიც და, საერთოდ, ყოველთვიურად მოიმატებს ფასები; ნუ მოგატყუებთ ის, რომ სეზონურად რაიმე პროდუქტი შეიძლება გაიაფდეს, მაგრამ რაღა გაიაფდეს, ოქტომბერში ნაყინი რომ გაძვირდება, როცა, წესით, უნდა იაფდებოდეს, რაღაზე უნდა ვისაუბროთ?!**

**ბესო ბარბაქაძე**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართლ-კახეთის სამეფო კარი ჯერ კიდევ ერეკლე II-მდე გაემართა დახმარების საძებნელად რუსეთში. ეს უნდა იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ და ქართველმა ერმა, იმიტომ, რომ არა მხოლოდ ერეკლეს ჰქონდა რუსეთის დახმარების იმედი, არამედ ეს იმედი მანამდეც არსებობდა“.**

# მეფე ერეკლე, გეორგიევსკის ტრაქტატი და დღევანდელი საქართველო

**7 ნოემბერს საქართველოს გმირი მეფის, ქვეყნის ერთიანობისთვის დაუღალავად მებრძოლის — ერეკლე მეორის დაბადებიდან 300 წელი შესრულდა. ამის გამო პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ დღემდე დაუმსახურებლად პრორუსად შერაცხილი მეფე ერეკლე რეალურად ევროპული ორიენტირის მქონე რეფორმატორი სახელმწიფო მოღვაწე იყო: „ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წელი შესრულდა. მისი მემკვიდრეობის ობიექტური შეფასების დროც დადგა. დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა იდეოლოგიის გამო ერეკლე მეფე გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერასთან იყო გაიგივებული. მისი უდიდესი მიღწევები სამხედრო თუ სახელმწიფო სფეროში, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში კი — მივიწყებული ან დამახინჯებული, მსგავსად დანარჩენი ჩვენი ისტორიისა. დამოუკიდებელ საქართველოში კი ნაცვლად მისი მოღვაწეობის ხელახალი გააზრებისა, საბჭოთა პროპაგანდისტული კლიშეების ინერციით გაგრძელდა — ამ ხელმოწერის გამო მისი განუზომელი მემკვიდრეობის უგულებელყოფა. დროა, დავიწყოთ მისი ღვაწლის გახსენება და აღიარება!“**



## ვაჟა ოთარაშვილი:

## რომ არა გეორგიევსკის ტრაქტატი, საქართველო დღეს იქნებოდა ან ირანის რიგითი სახანო, ან თურქეთის ვილაიეთი

იმავე განცხადებაში პრეზიდენტი ამბობს, რომ ერეკლე II-მ გლეხობის გათავისუფლების მექანიზმებითა და ტოლერანტული გარემოს განვითარებით შექმნა ევროპული ყაიდის სახელმწიფო, რომელსაც იმდროინდელ დასავლეთში დიდი ინტერესით უყურებდნენ. მისივე განმარტებით, მეფის ამ რეფორმატორულ მიღწევებს, ისევე, როგორც მის დასავლურ მისწრაფებებს, საბჭოთა პერიოდში მიზანმიმართულად ჩქმალავდნენ, რაც ისტორიის ტოტალური გაყალბების კიდევ ერთი მაგალითია.

შეგახსენებთ, რომ 1783 წლის 24 ივლისს საქართველომ ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე გეორგიევსკის ციხესიმაგრეში ხელი მოაწერა დოკუმენტს (ისტორიაში გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით ცნობილს), რომლის თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა. ამ შეთანხმებამ ქვეყანა იხსნა, ერთი მხრივ, ირანული; ხოლო, მეორე მხრივ, ოსმალეთის იმპერიის ტოტალური ექსპანსიისგან, რაც საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, და ქართველ ერს, როგორც თვითმყოფად ქრისტიანულ ეთნოსს, განადგურებას უქადდა.

**ვინ ცდილობს დღეს საქართველოში ისტორიის გაყალბებას და რა პროპაგანდის ნაწილია ის, რომ თურმე ერეკლე II-მ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა რუსეთის მფარველობაში შესვლაზე ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, 7 ნოემბერს ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისთავზე პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ერეკლე მეორე თავის აზროვნებითა და მსოფლმხედველობით პროდასავლური ორიენტაციის მმართველი იყო, რომელმაც „ტოლერანტული გარემოს განვითარებით“ შექმნა ევროპული ყაიდის სახელმწიფო. თქვენი აზრით, მართებულია ეს შეფასება და როგორ ფიქრობთ, სწორად უდგებიან დღეს ჩვენი ისტორიის ამ პერიოდს?**

— მცირე ისტორიული ექსკურსით დავიწყებ. უპირველესად, უნდა ითქვას, რომ ერეკლე II 1762-1798 წლებში იყო გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე და სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს არის ერთ-ერთი დაძაბული და ურთულესი პერიოდი საქართველოს ისტორიაში, როდესაც, ერთი მხრივ, ქვეყანას უტევდა ირანი, რომელიც მე-18 საუკუნის დასაწყისიდან, ფაქტობრივად, თავის სახანოდ გვთვლიდა და, მეორე მხრივ, უტევდა ოსმალეთი. აქ ასევე აღსანიშნავია, რომ 1723 წელს ოსმალეთის იმპერიის ჯარები შემოვიდნენ თბილისში და სისხლის კალო დაატრიალეს — გაჟლიტეს მშვიდობიანი მოსახლეობა. რაც შეეხება რუსეთთან კავშირს და ამ კავშირის აუცილებლობას, დავიწყოთ იმით, რომ ერეკლემდე მისი მამა, **თეიმურაზ II,** ასევე ძალიან დიდი და გმირი მეფე, რომელიც იმხანად სხვა გამოსავალს, უბრალოდ, ვერ ხედავდა, წავიდა რუსეთში დახმარების სათხოვნელად. თუმცა, სამწუხაროდ, საეჭვო ვითარებაში, როგორც ამბობენ, შავბნელი ევროპული ძალების ჩარევით, მოწამვლით გარდაიცვალა რუსეთის დედოფალი ეკატერინე მეორე, რის შემდეგაც ასევე ძალიან იდუმალ ვითარებაში გარდაიცვალა თეიმურაზიც. სხვათა შორის, ის არ იყო მოხუცი... ახლა რატომ ვყვები ამ ყველაფერს: როგორც გითხარით, **ქართლ-კახეთის სამეფო კარი ჯერ კიდევ ერეკლე II-მდე გაემართა დახმარების საძებნად რუსეთში. ეს უნდა იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ და ქართველმა ერმა, იმიტომ, რომ, არა მხოლოდ ერეკლეს ჰქონდა რუსეთის დახმარების იმედი, არამედ ეს იმედი არსებობდა მანამდეც.** აქვე ასევე უნდა გავიხსენოთ ჩვენი მეფე **ალექსანდრე მეორე,** რომელიც სწორედ პრორუსული ორიენტაციის გამო **შაჰ-აბას I**-ის დავალებით მოაკვლევინეს გამაჰმადიანებულ შვილს, **კონსტანტინე-მირზას.** ეს არის ერთ-ერთი საშინელი ტრაგედია იმჟამინდელ და არა მხოლოდ იმჟამინდელ სამეფო კარზე. აი, ამის შემდგომ გამეფდა **თეიმურაზ I,** რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ **ქეთევან წამებულმა** იგი აღსაზრდელად შაჰის კარზე გაგზავნა და თავისი ყრმობა იქ გაატარა, შემდგომ მისი პოლიტიკური ორიენტაციაც არის პრორუსული...

**«რომ არა რუსეთის ფაქტორი, თურქეთი თავისუფლად შემოვიდოდა აჭარაში და 24 საათში დაიპყრობდა რეგიონს. ასე რომ, პოლიტიკა, რომელსაც ერეკლე აწარმოებდა, სრულიად მართებული იყო»**

**— გამოდის, ყველა ქართველი მეფე, მათ შორის შაჰის კარზე აღზრდილებიც, ქვეყნის მომავალს რუსეთთან კავშირში ხედავდნენ. რით იყო ეს განპირობებული?**

— ეს ყველაფერი განპირობებული იყო ერთადერთი გარემოებით — მუსლიმანური აგრესიის რკალში მოქცეული პატარა საქართველო გადარჩენის გზას ხედავდა მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირში (ხოლო რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი ის იყო, რომ ბრიტანეთის იმპერიის წაქეზებით და ისედაც, ცალკე სპარსეთი და ცალკე ოსმალეთი კავკასიას და უპირველეს ყოვლისა, საქართველოს იყენებდნენ პლაცდარმად რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური დივერსიისთვის. რედ.). რაც შეეხება იმას, რომ თურმე საბჭოთა კავშირი ჩვენს ისტორიას აყალბებდა, არავითარი გაყალბება ეს არ არის, საქართველოს ყოველთვის ჰქონდა იმედი, რომ მას მშველელად მართლმადიდებელი რუსეთი დაუდგებოდა. ახლა სხვა საკითხია, რუსეთი როგორ ახერხებდა ამ ყველაფერს, იმიტომ, რომ იმ დროს, როცა, მაგალითად, თეიმურაზ პირველმა სთხოვა იმპერატორს დახმარება, თვითონ რუსეთში იყო არეულობა. ეს **ბორის გოდუნოვის** მეფობის პერიოდია, მოგეხსენებათ, და მათ თავიანთი გაჭირვება ჰქონდათ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ შვედეთთან ომობდნენ, ასევე პოლონელებთან და ა.შ.

რას აძლევდა, გარე საფრთხეებისგან დაცულობის გარდა, რუსეთთან კავშირი საქართველოს? დავიწყოთ იმით, რომ ერეკლე II-მ ძალიან მნიშვნელოვანი სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა შეიძინა და სერიოზულად გააძლიერა ჩვენი თავდაცვა. ამასთანავე, დადებითი მოვლენა იყო ის, რომ რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი ციხესიმაგრეები ააშენა, როგორც თერგის, ისე დარუბანდის ხეობაში. მან გარკვეულწილად აღკვეთა მთიელების გაუთავებელი შემოსევები. საერთოდ, **ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი დადებული იყო ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის და ის არ გულისხმობდა საქართველოში მეფობის გაუქმებას. პირიქით, საქართველოს ჰქონდა სრული ჩაურევლობა საშინაო საქმეებში და ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი იყო.** ის კი არა, ტრაქტატის დადებისას რუსეთის იმპერიამ ერეკლეს სთხოვა, ქართველი თავად-აზნაურების სრული ნუსხა წარედგინა, რათა მათ ჰქონოდათ გარკვეული პრივილეგიები. საუბარია იმ პრივილეგიებზე, რომლებითაც რუსეთის თავად-აზნაურობა სარგებლობდა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეკონომიკურად, ფაქტობრივად, სული მოათქმევინა ქვეყანას ამ შეთანხმებამ განვითარდა ვაჭრობა და ქართველ ვაჭრებს რუსეთშიც გაჰქონდათ საქონელი და ევროპაშიც. სხვათა შორის, ამ ყველაფერზე შესანიშნავი სამეცნიერო გამოკვლევები და ნაშრომები აქვთ ჩვენს ბუმბერაზ მეცნიერებს, როგორებიც არიან **ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია** და სხვები. ეს ნაშრომები შექმნილია კომუნისტურ პერიოდში, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ იქ რამე სიყალბეა. პირიქით, მგონია, რომ ჯავახიშვილის, ჯანაშიას, ბერძენიშვილისა და სხვა იმდროინდელი დიდი მეცნიერების მიერ დაწერილი საქართველოს ისტორია გაცილებით ობიექტურია, ვიდრე დღევანდელი ავტორების მიერ შეთხზული, რომლითაც უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ასწავლიან...

**— დავუბრუნდეთ იმ პროპაგანდას, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატს და არ მხოლოდ მას, აბსოლუტურად ყველა შეთანხმებას, რომლებიც ოდესმე რუსეთთან დაგვიდია, უარყოფითად წარმოაჩენს. რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი?**

— მიზანი ნათელი იქნება, თუ დავაკვირდებით იმ ძალებს, რომლებიც ამ პროპაგანდას აწარმოებენ. ესენი არიან ე.წ. პროდასავლური ორიენტაციის ფსევდოლიბერალები, რომლებიც საზრდოობენ სხვადასხვა გლობალისტური ფონდიდან. ისინი რეალურად არ არიან არც პროდასავლურები და, სხვათა შორის, არც „ლიბერალები“, ისინი წარმოადგენენ სექტას, რომელიც ერთი რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ კი არ ილაშქრებს, არამედ ილაშქრებს ადამიანური მორალისა და ზნეობრივი ჩარჩოების წინააღმდეგ. მინდა, მოკლედ გამოვეხმაურო იმ აზრს, რომ, თურმე ერეკლე ევროპული ორიენტირის მქონე სახელმწიფო მოღვაწე იყო და ევროპული ყაიდის სახელმწიფოს აშენებდა. პირველი და მთავარი, რაც ამის მთქმელს ავიწყდება, არის ის, რომ **კათოლიკურ ევროპას ქართული მართლმადიდებლური მორალი და მენტალობა ვერასოდეს შეეწყობა.** მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ევროპისგან ნამდვილ, მეცნიერულ ცოდნასა და პროგრესს არ მივიღებდით. ეს ერთი. მეორე — ისტორიას რომ გადავხედოთ, **დღემდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ევროპა რომელიმე ბრძოლაში დახმარებოდა საქართველოს.** ეს არის ფაქტი და დღეს მავანი ცდილობს, სარწმუნოებრივი ორიენტაცია შეუცვალონ საქართველოს. ეს პროცესი 1990-იანი წლების შემდეგ დაიწყო და დღემდე გრძელდება. კიდევ ვიმეორებ: ჩვენთვის მართლმადიდებლობა არის მწრამსი, რომლის შესახებაც იდეალური განმარტება აქვს გაკეთებული ერის მამას — **ილია ჭავჭავაძეს.** ის, მოგეხსენებათ, ცნობილი იტალიელი მისიონერის, **პიეტრო დელა ვალეს,** სიტყვებს იმეორებს: **„ქრისტიანობა ქართველობაა და ეს სინონიმური ცნებებია“...**

რაც შეეხება ისევ რუსეთთან კავშირს, უდიდესი ქართველი ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ რუსეთთან დაკავშირება მაინც დადებითი მოვლენა იყო; და ვფიქრობ, რომ კრემლთან ანტაგონისტური პოლიტიკა დამღუპველია საქართველოსთვის. ჩვენ პირისპირ დავრჩით თურქეთის მტაცებელ იმპერიასთან, რომელსაც ჩვენი ტერიტორიების 34% აქვს მიტაცებული. ასევე ძალიან საშიშია ირანი... აი,ამიტომ ვფიქრობ, რომ რუსეთი დღესაც ერთგვარ გეოპოლიტიკურ მფარველად უნდა განვიხილოთ; **რომ არა რუსეთის ფაქტორი, თურქეთი თავისუფლად შემოვიდოდა აჭარაში და 24 საათში დაიპყრობდა რეგიონს; ასე რომ, პოლიტიკა, რომელსაც ერეკლე აწარმოებდა, სრულიად მართებული იყო.** რომ არა გეორგიევსკის ტრაქტატი, საქართველო დღეს იქნებოდა ან ირანის რიგითი სახანო, ან თურქეთის ვილაიეთი; ისეთივე ვილაიეთი, როგორიცაა ჩვენი ისტორიული ტაო-კლარჯეთი, პარხალისა და შატბერდის ხეობები, არტანუჯის ციხე და ა.შ.

ესაუბრა **ჯაბა ქვანია**

**აქციების შემდეგ ვირუსი უფრო უკონტროლოდ გავრცელდება, უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს და დღეში 4-5 ათასი ინფიცირებული ჩვეულებრივი მოვლენა იქნება. შესაბამისად, თუ გამართლდება ვარაუდი, რომ პიკი თვის ბოლომდე გასტანს, ნოემბრის ბოლოს ასი ათასზე მეტი ინფიცირებული გვეყოლება და ეს რაოდენობა ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, კატასტროფულია.**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელისუფლებას დემოკრატია ლობიროს ჭამაში აერია

**საქართველოში პანდემია ხელიდან გაგვექცა და უკონტროლოდ ვრცელდება. ახლა თუ ვინმეს იმისი სჯერა, რომ 3000 ადამიანის კონტაქტების ძიება მიდის, შემდეგ — მათი თვითიზოლაცია და შემდეგ კიდევ — მათი კონტროლი, ძალიან ცდება. ამას, საქართველოს კი არა, ვერც ერთი სახელმწიფოს რესურსი ვერ გაუძლებს, ამიტომ ადამიანების თვითშეგნებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის იმედად უნდა ვიყოთ. მარტივ მაგალითს გეტყვით: მეგობარს კორონავირუსი დაუდასტურდა. მიმართა 112-ს, 4 საათის შემდეგ დაუკავშირდნენ, გაარკვიეს, რომ კატასტროფული სიტუაცია არ ჰქონდა და... 18 საათის შემდეგ მოიკითხეს კონტაქტები. როგორ გგონიათ, იმ 18 საათის განმავლობაში ამის კონტაქტებმა რამდენი ახალი კონტაქტი მონახეს? მართალია, ჩემმა მეგობარმა თვითონ დაურეკა მანამდე იმ ადამიანებს, რომლებთანაც შეხება ჰქონდა, მაგრამ ყველამ გაითვალისწინა თუ არა და გადავიდა თვითიზოლაციაში, ვერ გეტყვით.**



ჰო, საქართველოში კიდევ ერთი უბედურება გვჭირს: სანამ ადამიანს მუშაობა შეუძლია, სამსახურიდან არ მიდის. არ არის ისე, როგორც ევროპაში, საპენსიო ასაკს სიხარულით რომ ხვდებიან და მთელი ცხოვრების განმავლობაში დაგროვილის ხარჯვას იწყებენ. ჩვენთან პირიქითაა — სანამ არ წაიქცევა, სანამ სიარული შეუძლია, მანამდე ებღაუჭება სამსახურს, რადგან პენსია საკმარისი არ არის. ეს განსაკუთრებით ექიმებზე ითქმის და ახლავე აგიხსნით რატომ. ხშირად გვინახავს ამა თუ იმ კლინიკაში პენსიონერი ექიმის კართან მომლოდინეთა უზარმაზარი რიგი. ცოდნასთან ერთად, წლებს ის გამოცდილება მოაქვს, რომელსაც ახალგაზრდობაში ვერ მიიღებ, ამიტომ ნდობაა სწორედ პენსიონერი ექიმებისადმი უფრო მეტი და, საზოგადოდ, „ძველი გვარდია“ სწორედ გამოცდილების ხარჯზე სვამს უტყუარ დიაგნოზსაც და ხალხსაც ეხმარება. პენსიაზე გასული ექიმი ფიზიკურად ველარ მიდის სამსახურში, თორემ საყვარელ პროფესიას თავს არ დაანებებდა. ჰოდა, ახლა, **ხელისუფლება გვიცხადებს, რომ ქვეყანაში მედპერსონალის ისეთი დეფიციტია, პენსიაზე გასული ექიმები უნდა ჩავრთოთ საქმეშიო. არადა, მსოფლიო ამტკიცებს, რომ ვირუსი, პირველ რიგში, სწორედ ასაკიან ადამიანებს ერჩის, მათი იმუნიტეტი ვერ ერევა ვერაგ დაავადებას და, რა გამოდის — პენსიონერი ექიმები სასაკლაოზე მიგვყავს?** ამას თუ სხვა რამ ჰქვია, განგვიმარტეთ. სიმართლე გითხრათ, არც იმის გვჯერა დიდად, რომ დისტანციურად პაცინეტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სრულყოფილი მართვაა შესაძლებელი. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: ერთ-ერთ რეგიონში ცუდად მყოფ პაციენტს გოგონამ დაურეკა და რჩევები მისცა და, როცა თავისი სახელი უთხრა, პაციენტი გაოცდა, შვილო, შენ ხომ ექთანი ხარ, ლაბორატორიაში ანალიზების აღებაში ეხმარები, კოლბების მიტან-მოტანაშიო და გოგონამაც გულწრფელად უპასუხა: კი, მასეა, მაგრამ აქ მითხრეს, თანაგრძნობის კარგი უნარი გაქვს და პაციენტებს, პირველ რიგში, თანაგრძნობა და ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათო. ეს ყველაფერი კარგია, **ფსიქოლოგია კარგია, არც თანაგრძნობაა უკანა პლანზე გადასაგდები, მაგრამ, როცა პაციენტს სუნთქვის უკმარისობა აქვს, როცა წამალი აქვს მისაღები, მაშინ მხოლოდ ფსიქოლოგია და თანაგრძნობა დიდი ვერაფერი შეღავათია.**

ჰო, საქმეში სამედიცინო სასწავლებლების დამამთავრებელი კურსის სტუდენტებიც ჩართეს. გულზე ხელი დაიდეთ და ალალად თქვით: ანდობთ სტუდენტს საკუთარი ოჯახის წევრის სიცოცხლეს? ახლა ხომ სწორედ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და ეს არ არის მარტივი ვირუსი, რომელსაც პარაცეტამოლითა და ოფლის მოდენით უმკურნალებ. ინფიცირებულ პრემიერს სტუდენტი ურეკავს და ურჩევს თუ ყველაზე გამოცდილი ექიმები ახვევია თავს? გვესმის, რომ პრემიერი სახელმწიფოს მეთაურია, მაგრამ ეგებ ვილაცას (და არაერთს) თავისი ოჯახის წევრის სიცოცხლე პრემიერის ჯანმრთელობაზე მეტად ულირს? და იმ სტუდენტს პაციენტი რომ მოუკვდეს, ხომ დაენგრევა ყველაფერი თავზე, რადგან სამედიცინო პრაქტიკას პაციენტის სიკვდილით იწყებს? ახლა არ გვითხრათ, — მსოფლიოში ასე ხდება და ჩვენც მათ გამოცდილებას ვიზიარებთო. სწორედ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გამოცდილებამ მიგვიყვანა იქამდე, სადაც ვართ და გამოჩნდა, რომ მათ მიერ შემუშავებული რეგულაციები ვერ და არ მოქმედებს, ყველგან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო, ამისთვის კი მათ, უბრალოდ, რესურსი არ აქვთ და არც ექნებათ.

ცალკე საკითხია **ოპოზიციური პარტიების ქმედება. ნათლად გამოჩნდა, რომ მათ არ აინტერესებთ არც ერთეულების, არც ასეულებისა და არც ათასეულების სიცოცხლე და ჯანმრთელობა; მთავარია, მიზანს მიაღწიონ და ხელისუფლებაში მოვიდნენ. როგორ გგონიათ, რატომ უჯერებს მათ რამდენიმე ათასი კაცი და ხბოს ალტყინებით, რეგულაციების უგულებელყოფით რატომ დაჰყვება ქალაქიდან ქალაქში?**

**რატომ უჯერებს ოპოზიციას რამდენიმე ათასი კაცი და ხბოს ალტყინებით, რეგულაციების უგულებელყოფით რატომ დაჰყვება ქალაქიდან ქალაქში? იმიტომ, რომ სამსახურებს დაჰპირდნენ. ძირითადად, მშიერი, უმუშევარი ხალხი დარბის აქციებზე, დღიური გასამრჯელოც აქვთ და მომავლის იმედიც. და, როცა ადამიანი «კუჭით იკბინება», მას არ აინტერესებს, რა ხდება ირგვლივ, დაინფიცირდება თუ არა სხვა, ინსტინქტების დონეზე მოქმედებს და სწორედ ამ ინსტინქტებს იყენებს სათავისოდ ოპოზიცია**

იმიტომ, რომ სამსახურებს დაჰპირდნენ. ძირითადად, **მშიერი, უმუშევარი ხალხი დარბის აქციებზე, დღიური გასამრჯელოც აქვთ და მომავლის იმედიც. და, როცა ადამიანი „კუჭით იკბინება“, მას არ აინტერესებს, რა ხდება ირგვლივ, დაინფიცირდება თუ არა სხვა, ინსტინქტების დონეზე მოქმედებს და სწორედ ამ ინსტინქტებს იყენებს სათავისოდ ოპოზიცია. მოსახლეობა რომ მშიერია, ეგ სახელმწიფოს ბრალია და ასეა ყველაფერი აწყობილი ერთმანეთზე,** თუმცა... ისევ ვირუსს დავუბრუნდეთ.

ადვილი საპროგნოზოა, რომ **აქციების შემდეგ ვირუსი უფრო უკონტროლოდ გავრცელდება, უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს და დღეში 4-5 ათასი ინფიცირებული ჩვეულებრივი მოვლენა იქნება. შესაბამისად, თუ გამართლდება ვარაუდი, რომ პიკი თვის ბოლომდე გასტანს, ნოემბრის ბოლოს ასი ათასზე მეტი ინფიცირებული გვეყოლება და ეს რაოდენობა ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, კატასტროფულია.** ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ერთი პიკი საახალწლოდაც გვექნება, რადგან ძნელად სავარაუდოა, ახალი წელი, შობა და ძველით ახალი წელი მხოლოდ სახლში აღნიშნოს უმრავლესობამ და მისვლა-მოსვლაში, საახალწლო საჩუქრებთან ერთად, ვირუსსაც უშურველად დავარიგებთ.

ოპოზიციის მიერ გამართული აქციები მხოლოდ ხელისუფლების პრობლემა არ არის. იმ ადამიანებს, რომლებიც აქციებზე არ დადიან, ან, უბრალოდ, აპოლიტიკურები არიან, უსამართლობის განცდა უჩნდებათ, რადგან აქციის მონაწილეთათვის თითქოს დაუსჯელობის სინდრომი მოქმედებს, აი, რიგითი ადამიანები კი ნებისმიერი გადაცდომისთვის ისჯებიან. ხომ მარტივი მისახვედრია, რომ **9 ნოემბრიდან შემოღებული შეზღუდვებიც, რომლებიც 22:00 საათის შემდეგ ქუჩაში ყოფნას კრძალავს, სწორედ აქციის მონაწილეთა მხრიდან დაირღვევა და დაირღვევა არაერთხელ. ვიღაც კი, მართლა საქმე რომ აქვს, სახლში იქნება გამოკეტილი და, რაღა თქმა უნდა, უსამართლობის განცდა ძალიან გააბრაზებს.** ხელისუფლება კი კვლავ შეეცდება, სიტუაცია უფრო არ დაძაბოს და ოპოზიციის მხარდამჭერებს ისევ თავზე ხელს გადაუსვამს. ამ ფონზე უფრო მძაფრად იგრძნობა ის, რომ **პენსიონერი ექიმები წაგებულ ომში მიდიან. თუ ისინი მხოლოდ დისტანციურად იმუშავებენ, მაშინ კიდევ გასაგებია, მაგრამ საკმარისია, რომელიმე მათგანს პაციენტთან გასვლა მოუწიოს, ის სიცოცხლით რისკავს.** დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით კი, ექიმების გაწირვა, უბრალოდ, აბსურდია, რადგან **ადამიანები თვითონ არ უფრთხილდებიან საკუთარ თავს და შემდეგ, როცა ვირუსი შეხვდებათ, სახელმწიფოს ავალდებულებენ, პენსიონერ ექიმებს ავალდებულებენ, რომ უშველონ, მიხედონ, უმკურნალონ და, რაც მთავარია, უფასოდ. უფასო მკურნალობაც უდიდეს ტვირთად აწევს სახელმწიფოს და იმას არავინ ამბობს, რომ ეს ყველაფერი ისევ ჩვენს ხარჯზე, ჩვენი გადასახადებიდან ხდება.**

**ჰოდა, ვინმემ აგვიხსნას: მე და ასიათასობით ჩემნაირმა რატომ უნდა ვიხადოთ გადასახადი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არც საკუთარ თავს უფრთხილდებიან და არც სხვის ჯანმრთელობას, ხელისუფლება კი ამ ყველაფერს მშვიდად უყურებს, დემოკრატიობანას თამაშობს, სწორედ რომ თამაშობს, რადგან, როგორც „მხედრიონის“ ლიდერი თავის დროზე ამბობდა, დემოკრატია ლობიოობა არ არისო, ახლა სწორედ ლობიოობაში აქვს არეული ხელისუფლებას დემოკრატია.**

სხვა, აბა, რა გითხრათ? მაქსიმალურად შეეცადეთ, დაიცვათ რეგულაციები და ვირუსთან ბრძოლაში მედპერსონალსა და სახელმწიფოს დავეხმაროთ. ასე შენდება სახელმწიფო და ამ შენებაში მონაწილეობა სწორედ ეს არის — რეგულაციებისა და კანონის დაცვა. სხვაგვარად ისევ ქუჩაში ვიქნებით მომდევნო 30 წლის განმავლობაში, როგორც ბოლო 30 წელი ვიყავით, და სანაცვლოდ ვერაფერს მივიღებთ.

**ბესო ბარბაქაძე**

**ვინმემ აგვიხსნას: მე და ასიათასობით ჩემნაირმა რატომ უნდა ვიხადოთ გადასახადი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არც საკუთარ თავს უფრთხილდებიან და არც სხვის ჯანმრთელობას, ხელისუფლება კი ამ ყველაფერს მშვიდად უყურებს, დემოკრატიობანას თამაშობს**

**P.S. იცით, კიდევ რა გვაინტერესებს? ღია სივრცეში პირბადის ტარება აუცილებელი რომ არის და პირი, რომელიც ამ მოთხოვნას არ დაიცავს 20 ლარით ჯარიმდება. რა, ოპოზიციური პარტიის ლიდერებს იმუნიტეტი იცავთ ამ ჯარიმისგან თუ სტაბილურობას ვინარჩუნებთ? სწორედ ეს არის ორმაგი სტანდარტი და სწორედ ეს არ მოსწონს მოსახლეობას, თურმე პირბადით თუ პირბადის გარეშე, კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების...**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნაპოლეონის, ჰიტლერის, სადამ ჰუსეინის, კადაფის, მილოშევიჩის, ჩაუშესკუსა და სხვებისგან განსხვავებით სტალინის გზა დაბადებიდან სიკვდილამდე წარმატებისკენ თანამიმდევრული სვლაა. ის გარდაიცვალა დიდების მწვერვალზე ყოფნისას, მსოფლიო აღიარების პიკზე და მას გლოვობდა არა მხოლოდ დედამიწის 1/6, არამედ სრულიად მსოფლიო.**

# ზოგიერთი რამ უცნობი მასალებიდან სტალინზე

**დიდი ინგლისელი ფილოსოფოსისა და მწერლის, თომას კარლაილის (1795-1881), ღვაწლი უზარმაზარია დიდი ბრიტანეთის ფილოსოფიურ თუ სამწერლო ასპარეზზე. მისი ღრმა ანალიზი ადამიანის შესაძლებლობებსა და განვითარების სტადიებზე სრულიად ახალ შესაძლებლობებს იძლევა ადამიანის ფენომენის გასახსნელად. ის სწავლობს გმირებს, რომლებსაც არანაირი ბაზა არ ჰქონიათ, ეხელმძღვანელათ ქვეყნისათვის, ხალხისათვის, მაგრამ შეძლეს მილიონობით ადამიანის დარწმუნება თავიანთ შესაძლებლობებში და ხალხი უსიტყვოდ დაიმორჩილეს.**

**თომას კარლაილმა** შეიმუშავა მწყობრი სისტემა ადამიანის ცნობიერისა და ქვეცნობიერის მონაცვლეობის გეგმაზომიერების შესახებ, რომელსაც საბოლოო შედეგამდე უნდა მიეყვანა ადამიანი.

„ადამიანი, რომელიც ხდება ხალხის მმართველი, რომლის ნებასაც უსიტყვოდ ემორჩილება ყველა, ემორჩილებიან და ამ მორჩილებაში პოულობენ თავიანთ კეთილდღეობას, სწორედ ასეთი ადამიანები ყველაზე დიდ ადამიანებად უნდა ჩაითვალონ. მე არ ვსაუბრობ რომელიმე მმართველზე, მეფეზე ან პრეზიდენტზე, რომლებსაც მეტ-ნაკლებად ჰქონდათ საფუძველი ამის, არამედ ვსაუბრობ მათზე, ვინც თავისით მოახერხა წარმატების მიღწევა საქმიანობაში“.

**დიდმა საბჭოთა გეოლოგმა, ჰიდროლოგმა, ისტორიკოსმა, მწერალმა, დედამიწისა და სიცოცხლის უდიდესმა მკვლევარმა, 62 სამეცნიერო მონოგრაფიის ავტორმა რუდოლფ ბალანდინმა ყურადღებით დაამუშავა ინგლისელი ფილოსოფოსისა და მწერლის დოქტრინა და კვლევა კიდევ უფრო განამტკიცა მრავალმხრივი დაკვირვებით, შემდეგ ღრმა მეცნიერული ანალიზით შექმნა ბესტსელერი „წამოდექით, სტალინი მოდის!“.** ყველასათვის ადვილი მისახვედრია, რომ ეს ფრაზა 1943 წლის თეირანის კონფერენციის მიმდინარეობისას ითქვა და ეკუთვნის დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **უინსტონ ჩერჩილს...**

თომას კარლაილს მაგალითად მოჰყავს **ნაპოლეონ ბონაპარტე,** რომელიც ჯერ საიმპერატორო არმიის არტილერიის ოფიცერი იყო, შემდეგ — ამბიციური რევოლუციონერი, გენერალი, შესანიშნავი მეთაური, წარმატებული პოლიტიკოსი და აღმავალი გზით გახდა იმპერატორი. მან შურის თვალით შეხედა მსოფლიოს, „რომელიც ერთ კაცს უნდა ეკუთვნოდეს“. რით დასრულდა ამ ტანდაბალი, მაგრამ დიადი მიზნების იმპერატორის არცთუ ხანგრძლივი ბობოქარი ცხოვრება? — **დამარცხებით.** ამ მარცხით ხანგრძლივი დროით დაზარალდა საფრანგეთი. ესე იგი, ნაპოლეონის დამარცხება დასრულდა თვითონ ნაპოლეონისა და შემდგომ საფარანგეთის მარცხით.

*** ადოლფ ჰიტლერი.** მიუხედავად თავისი ფენომენური ნიჭისა და უზარმაზარი ენერგიისა, მანაც ნაპოლეონის ბედი გაიზიარა. მისმა იდეოლოგიამ, სამხედრო სტრატეგიამ სრული ფიასკო განიცადა. მისი გერმანია ნიურნბერგის სამსჯავროზე წარდგა. ევროპის პირველმა სახელმწიფომ მსოფლიო ხალხების წინაშე პირველმა მოიხადა ბოდიში მსოფლიო ომების ისტორიაში (რაც უდავოდ სტალინის დამსახურება იყო — გრ. ონიანი). ადოლფ ჰიტლერი 10 წლის განმავლობაში იყო გმირი, ლიდერი, რომლის მსგავსიც მსოფლიოში არც ერთ ხალხსა და ქვეყანას არ ჰყოლია, და რომელსაც დიდი ენთუზიაზმით გაჰყვა გერმანელი ხალხი, მისკენ, აგრეთვე, მიილტვოდა ევროპის ბევრი ერი. **რით დასრულდა ჰიტლერის არნახული დიდების ათწლედი?** — უპირობო კაპიტულაციითა და რაიხსტაგის ეზოში „მსოფლიოს დამპყრობის“ გვამიდან ამოვარდნილი შავი კვამლით, რომელიც იმას მიანიშნებდა, რომ იწვოდა ჰიტლერისა და მუსოლინის ნაქები ფაშიზმი.

ისტორიამ იცის მსოფლიოს დიდი თუ პატარა ქვეყნების ხელისუფალთა ტრაგიკული ბედის შესახებ, მაგრამ ამის განხილვას აქ არ შევუდგები. ჩვენ ჩვენი „მკვდარი“ გვყავს და ის უნდა „დავიტიროთ ღირსეულად“.

**ვაჟა** ამბობს: **„კაცი არ ვარგა უმტერო“...** სადაც ღმერთია, იქ ადამიანიცაა. სვანებს გვყავს დიდი ქართველი პოეტი **ტარიელ ჩარქსელიანი,** რომელსაც ერთი გახმაურებული სტროფი აქვს:

**„სიკვდილი უნდა**
**ქარიშხალს ჰგავდეს,**
**მეხის გავარდნას ჰგავდეს**
**სიკვდილი.**
**მტერიც გყავდეს და**
**მოყვარეც გყავდეს,**
**მაგრამ არც ერთთან**
**ჭამო სირცხვილი“.**

**ნაპოლეონის, ჰიტლერის, სადამ ჰუსეინის, კადაფის, მილოშევიჩის, ჩაუშესკუსა** და სხვებისგან განსხვავებით სტალინის გზა დაბადებიდან სიკვდილამდე წარმატებისკენ თანამიმდევრული სვლაა. ის გარდაიცვალა დიდების მწვერვალზე ყოფნისას, მსოფლიო აღიარების პიკზე და მას გლოვობდა არა მხოლოდ დედამიწის 1/6, არამედ სრულიად მსოფლიო.

ქართული პოეზიის წარმომადგენელმა **ნაზი კილასონიამ** გლოვის დღეებში ბელადს შემდეგი პოეტური სტრიქონები უძღვნა: **„შენ რომ მოსკოვში სიკვდილს ებრძოდი, საქართველოში სუნთქვა გვიჭირდა“ და იქვე: „ზანგის გულმაც დაიკვნესა,/ერთი მადლი კიდევ ჰქენი,/ჯერ ნუ წახვალ, ხალხის მამავ, /მონობიდან დაგვიხსენი“.**

სტალინის სახელი პოპულარულია, როგორც მის თაყვანისმცემელთა შორის, ასევე მის მტრებშიც. სწორედ ამიტომ სტალინის ფენომენი დიდ ყურადღებას იმსახურებს XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების ფონზე.

**ჰგავდა თუ არა სტალინის სიკვდილი ქარიშხალს?** ნამდვილდ ჰგავდა. სტალინის სიკვდილმა შეძრა



**დიდმა საბჭოთა გეოლოგმა, ჰიდროლოგმა, ისტორიკოსმა, მწერალმა, დედამიწისა და სიცოცხლის უდიდესმა მკვლევარმა, 62 სამეცნიერო მონოგრაფიის ავტორმა რუდოლფ ბალანდინმა ყურადღებით დაამუშავა ინგლისელი ფილოსოფოსისა და მწერლის დოქტრინა და კვლევა კიდევ უფრო განამტკიცა მრავალმხრივი დაკვირვებით, შემდეგ ღრმა მეცნიერული ანალიზით შექმნა ბესტსელერი «წამოდექით, სტალინი მოდის!»**



წინა პლანზე მოლოტოვი და ჰიტლერი

კაცობრიობა. მსოფლიოს ყველა კუთხიდან საჰაერო, სარკინიგზო, საზღვაო თუ საავტომობილო ტრანსპორტით ხალხის ნაკადი მოსკოვისკენ მიეშურებოდა. მოსკოვში წითელ მოედანსა თუ რკინიგზის სადგურებზე უამრავი ადამიანის თავმოყრის შედეგად შეუძლებელი იყო გადაადგილება, რის გამოც სვეტებიან დარბაზში მოსახვედრად, სადაც ბელადი იყო დასვენებული, ბრბომ 1500-მდე კაცი გადათელა. ლონდონის სტამბებში ასობით ამწყობების გაფიცვა გაიმართა. არავის უნდოდა, აეწყო ტექსტი სტალინის გარდაცვალებაზე. **არ დარჩენილა მსოფლიოში დიდი თუ პატარა სახელმწიფო, სტალინის ხსოვნის პატივსაცემად დროშები ძირს არ დაეხარა. ცრემლი და გლოვა სასოწარკვეთილებაში აგდებდა ხალხის მასებს, ზოგიერთი გულწრფელად ფიქრობდა, რომ სიცოცხლე აღარ გაგრძელდებოდა. მოსკოვი ვერ იტევდა უცხო ქვეყნების სამთავრობო დელეგაციებს და ვერ ასწრებდა აეროდრომებსა და სარკინიგზო ვაგზლებზე საპატიო სტუმრების დახვედრას, მიღებასა და დაბინავებას...**

ხალხის ამ უზარმაზარი სიყვარულის მიუხედავად, სტალინს მტრებიც ჰყავდა.

ნებისმიერი ერი სხვადასხვანაირი პიროვნებისგან შედგება, დაწყებული უერთგულესი ადამიანებითა და მოაზროვნეებით, დამთავრებული ბოროტი დამნაშავეებითა და აბეზარი სულელებით. მაგრამ ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, რომელი ფენაა გადამწყვეტი ხმის მქონე. აღიარებულია, რომ ყველაზე უპასუხისმგებლო და არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე არის ოლიგარქიული მმართველობა მისი მანკიერი მხარეებით. ავტორიტარული ხელისუფლება თითქოს ყველასგან დაგმობილია. არადა, თითქმის ყველგან სახელმწიფო მმართველობად ერთმმართველობა რჩება. ჩვენ, **ადამიანებს, ისე დაგვიქვეითდა კოლექტიური მმართველობის ცნების გაგება, რომ ბევრმა არ იცის, რას ნიშნავს ხალხის მმართველობა (დემოკრატია).**

სტალინის მმართველობის ეპოქაში კოლმეურნეობის თავმჯდომარეს არ შეეძლო, მაგალითად, 8 კგ მარცვლის ერთპიროვნულად გამოწერა კოლმეურნეობის წევრისთვის, თუ ეს საკითხი განხილული არ იქნებოდა კოლმეურნეობის სხდომაზე სარევიზიო კომისიასთან ერთად. ასე ხდებოდა ხელისუფლების დაბალ საფეხურზე. ახლა ვნახოთ, რა ხდებოდა მაღალ საფეხურზე. მწერალმა **მაქსიმ გორკიმ** იტალიიდან სტალინს საშუამავლო წერილი მისწერა ერთ-ერთ მწერალზე, რომ აუცილებელი იყო მისი 3 თვით მივლინება იტალიის დედაქალაქ რომში, რათა დაწყებული რომანი დაემთავრებინა. ამისთვის საჭირო იყო ბიუჯეტიდან 1 000 ამერიკული დოლარის გამოყოფა. სტალინმა გაითვალისწინა გორკის თხოვნა და პოლიტბიუროზე გაიტანა საკითხი 1000 დოლარის გამოყოფის შესახებ, რაც ბევრი კამათის შემდეგ დამტკიცდა კიდეც. დღეს კი საჯარო მოხელეები ისე მოაწერენ ხელს ბიუჯეტიდან მილიონობით დოლარის გამოყოფას, რომ ვითომ ეს თანხა ცოლის მზითვია და მის განკარგვას ექვემდებარება.

**ვინმეს სტალინისთვის რომ ეთქვა, საბჭოთა კავშირში არჩევნების ჩასატარებლად 100 მილიონი დოლარია საჭიროო, ძალიან მეეჭვება, მას კარგი ბედი სწვეოდა. დღეს კი გავიძახით, ხელახლა ჩავატაროთ არჩევნებიო, ე.ი., ჰაერში კიდევ გავისროლოთ ბიუჯეტიდან რამდენიმე ათეული მილიონი?**

წინა წერილში გაგაცანით 1937 წლის საბოლოო ანგარიში, რომელშიც მოყვანილი იყო ბერიას წერილი სტალინისადმი რეპრესიებში დაღუპული ადამიანების რაოდენობის შესახებ. რეპრესირებულთა რაოდენობა 200 ადამიანს შეადგენდა. რა თქმა უნდა, ერთ პატარა რესპუბლიკაში 200 ადამიანის დანაკლისი უდიდესია, რომელსაც ემატ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1939 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, „გულაგის“ ბანაკებში ირიცხებოდა 1 317 195 პატიმარი, მათ შორის პოლიტპატიმარი — 494 432. რიცხვები შემაშფოთებელია, მაგრამ პატიმართა რაოდენობა ათას კაცზე სსრკ-ში 1,5-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე დემოკრატიულ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში.

◀ებოდა მოსალოდნელი 350 ადამიანის პირველ კატეგორიაში გადაყვანის მოთხოვნა, მაგრამ ეს არამც და არამც არ ყოფილა ათასობით და მილიონობით მსხვერპლი, როგორც მუცლით მეზღაპრე ისტორიკოსები და პუბლიცისტები აცნობენ მსოფლიოს.

მკითხველს ვთავაზობ სრულიად ახლ მასალებს, რომლებიც ცოტა ხნის წინათ გაასაჯაროვა რუდოლფ ბალანდინმა.

*** 1939 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, „გულაგის“ ბანაკებში ირიცხებოდა 1 317 195 პატიმარი, მათ შორის პოლიტპატიმარი — 494 432. რიცხვები შემაშფოთებელია, მაგრამ პატიმართა რაოდენობა ათას კაცზე სსრკ-ში 1,5-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე დემოკრატიულ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში.**

რამდენი პატიმარი გარდაიცვალა 1938 წელს საპატიმროებში? — **50 502,** გაიქცა — 12 333, გათავისუფლდა — 223 622. ბევრი დაეჭვდება ამ მონაცემებში, მაგრამ ვინც ციფრების გადამოწმებას შეეცდება, იხილოს 1991 წლის ჟურნალი „სოციალური გამოკვლევები“, რომელშიც ნათლად არის ასახული ყველა ეს ციფრი და მონაცემი.

*** „1937-1939 წლებში წითელი არმიიდან წავიდა 40 ათასი მეთაური. მათგან 8000 იყო ბუნებრივი დანაკარგი (სიკვდილი, დაავადება, ასაკი ან დანაშაული). დარჩენილი 32 000-დან 8 000 დააპატიმრეს, დაახლოებით 13 000 აღადგინეს ჯარში 1941 წლის 1 იანვრამდე. 1941 წლის შუა რიცხვებში წითელი არმიის ოფიცერთა შემადგენლობა 680 000-ს აღწევდა. აბსურდულია რეპრესირებული სამხედროების იმ სტატისტიკაზე საუბარი, რომელსაც სტალინს მიაწერენ“, — ამტკიცებს მკვლევარი რ. ბალანდინი.**

სტალინმა პირადი აგენტურული ქსელიდან 1937 წლის მაისში მიიღო საიდუმლო შეტყობინება, რომელიც ეხებოდა გერმანიის შეიარაღებული ძალების დირექტორატის საიდუმლო მიმოწერას. გაგაცნობთ ფრაგმენტებს ამ წერილიდან:

**„მარშალ ტუხაჩევსკის დაცემის რეალური მიზეზი ჯერ კიდევ გაურკვეველია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მისმა დიდმა ამბიციებმა გამოიწვია წინააღმდეგობა მას და მშვიდ, გონივრულ და გონებამახვილ ვოროშილოვს შორის, რომელიც სრულიად ერთგულია სტალინის. ტუხაჩევსკის დაცემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და ეს დარწმუნებით აჩვენებს, რომ სტალინს ხელში უჭირავს წითელი არმია“.**

მთლიანი წერილის ანალიზმა აჩვენა, რომ „სტალინს ხელში უჭირავს წითელი არმია“, რომ ტუხაჩევსკი სტალინის ერთგული არ ყოფილა და რომ წითელ არმიაში არის ჰიტლერის პოლიტიკით დაინტერესებული ზოგიერთი უმაღლესი თანამდებობის სამხედრო. მიუხედავად იმისა, რომ სტალინი დარწმუნებული იყო ჰიტლერის ვერაგობაში, მან სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მაინც მოაწერა, რადგან ეს სამომავლოდ სჭირდებოდა, თავდამსხმელად რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ჰიტლერს არ სჯეროდა სტალინის ერთგულების, სტალინიც ღიმილით უყურებდა გერმანიასთან მეგობრობის ხელშეკრულების დადებას, მაგრამ ეს პოლიტიკურად გამართლებულად მიაჩნდა და გამართლებული იყო კიდეც.

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რომელიც შესრულდა **მოლოტოვისა** და **რიბენტროპის** მონაწილეობით, საბოლოოდ შამპანურით სავსე ბროლის ბოკლების მაღლა აწევით დასრულდა. საზეიმო ვითარებაში ჰიტლერის პირად ფოტოგრაფს, რომელიც სპეციალურად ჩაიყვანა რიბენტროპმა, მხედველობიდან არ გამორჩენია სტალინისა დ რიბენტროპის მაღლა აწეული ბოკლები და ეს მომენტი ფირზე აღბეჭდა. სტალინს არ ესიამოვნა აწეული ბოკლებით გერმანელებთან სურათის გადაღება და ფოტოგრაფს ორი სიტყვით მიმართა: „ამ ფოტოს ნუ გამოაქვეყნებთ!“. ფოტოგრაფმა მორჩილად გახსნა აპარატი, ამოიღო სურათის ნეგატივის კასეტა და სტალინს გადასცა. სტალინმა კასეტას დახედა და ისევ ფოტოგრაფს დაუბრუნა: „პირველივე წუთებიდან უნდობლობას ნუ დავთესავთ“ და გაეღიმა, რასაც საერთო მხიარულება მოჰყვა. აღნიშნულმა ფაქტმა მსოფლიოში სენსაცია გამოიწვია.

გერმანიის ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე ჰიტლერი **მარკ ალდანოვმა** ასე დაახასიათა: **„ის არის ძალიან ინტელექტუალური ადამიანი, თავდაჯერებული, ბრაზიანი, შურისმაძიებელი და უსასრულოდ ამბიციური. ვფიქრობ, ის გულწრფელია ... ის თავისი განწყობით ახლოსაა ტროცკისთან“.** და კიდევ ერთი ზუსტი შენიშვნა:

**„რა სოციალიზმს განახორციელებს ჰიტლერი, თუ იგი მიაღწევს რეალურ ძალაუფლებას? ამის თქმა ძნელია, მაგრამ ვფიქრობ, ის არ განახორციელებს სოციალიზმს“,** ამიტომაც დაუჭირეს მას მხარი კაპიტალისტებმა.

საბჭოთა დიპლომატმა **ვლადიმერ პავლოვმა** ასე დაახასიათა ჰიტლერი: **„ის ყოველთვის საუბრობს დამოუკიდებლად. მისი გამოსვლა ყოველთვის სრულყოფილი და ლოგიკურია. აშკარაა, რომ ის ნიჭიერია. სტალინმა კი თქვა, რომ ჰიტლერი იყო ნიჭიერი ადამიანი, მაგრამ ის ვიწრო აზროვნებისა და შორსმჭვრეტელობისგან შორს არის“.**

გერმანელი დიპლომატი, ბარონი **ფონ პუტლიცი** წერდა, რომ ჰიტლერს ჰქონდა განსაკუთრებული მეხსიერება — შეეძლო წაეკითხა დოკუმენტი თვალის ერთი გადაკვრით და ერთი საათის შემდეგაც კი სიტყვასიტყვით გაემეორებინა წაკითხული.

აი, რას წერს ჰიტლერის შესახებ გერმანიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი **ვალტერ შელენბერგი:** „ცოდნასთან ერთად, ჰიტლერს ჰქონდა პოლიტიკური ინსტინქტი ...მისი მნიშვნელოვანი უნარი იყო ლოგიკური ვარაუდი და მან კარგად იცოდა, როგორ გამოეყენებინა ეს უნარი. **ის თანამოსაუბრეზე ტოვებდა არაჩვეულებრივი ინტელექტისა და ღრმა ცოდნის მქონე ადამიანის შთაბეჭდილებას. ის ცდილობდა, განემტკიცა ეს შთაბეჭდილება დისკუსიის უნარის წყალობით და ოსტატურად აღწევდა წარმატებას. კამათში შეეძლო გამოცდილი სპეციალისტების დარწმუნებაც კი. ხშირად ოპონენტებს კონტრარგუმენტები მოგვიანებით ახსენდებოდათ და გვიან ხვდებოდნენ, როგორი არადამაჯერებელი იყო ჰიტლერის არგუმენტები“.**



მოლოტოვი და რიბენტროპი ხელს აწერენ ხელშეკრულებას

**ვინმეს სტალინისთვის რომ ეთქვა, საბჭოთა კავშირში არჩევნების ჩასატარებლად 100 მილიონი დოლარია საჭიროო, ძალიან მეეჭვება, მას კარგი ბედი სწვეოდა. დღეს კი გავიძახით, ხელახლა ჩავატაროთ არჩევნებიო, ე.ი., ჰაერში კიდევ გავისროლოთ ბიუჯეტიდან რამდენიმე ათეული მილიონი?**

**მოლოტოვი,** რომელიც პირადად შეხვდა და ესაუბრა ფიურერს, იხსენებდა მის კონცენტრაციას, მიზანდასახულობასა და საუბრის თანამიმდევრულობას. ჰიტლერი კარგი ფსიქოლოგი იყო. მას უზარმაზარი ენერგია ჰქონდა. ამას ემატებოდა როლიდან როლზე სწრაფად გადასვლის უნარი და ეს თამაში მან ახალგაზრდობაში შეისწავლა, როდესაც მსახიობის ოსტატობას ეუფლებოდა. 1933 წელს ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლა ნიშნავდა არა მხოლოდ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობების გაუარესებას, არამედ ჰიტლერის მთავარი მიზანი კომუნიზმის განადგურება და სსრკ-ის გერმანიის კოლონიად გადაქცევა იყო. ჰიტლერს სსრკ ნედლეულისა და საკვების რეზერვუარად მიაჩნდა, რაც მკაფიოდ არის ნათქვამი მის წიგნში „მაინ კამფი“. ხელმოწერილი ხელშეკრულებების საფუძველზე გაკეთებული დირექტივები იყო ძალიან მკაფიო და კონკრეტული; არა მხოლოდ დაზვერვის ლიდერებმა იცოდნენ მათ შესახებ, არამედ სამხედროებმაც და დიპლომატებმაც.



ჰიტლერის კაბინეტი

პოლონეთის დაყოფის ცნობილი რუკა, რომელიც 1939 წლის 28 სექტემბრის ოქმებს დაერთო, გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე გამოჩნდა, რა თქმა უნდა, სტალინისა და რიბენტროპის ხელმოწერის გარეშე, და ის მსოფლიომ ნახა. დამყარდა გერმანულ-საბჭოური კავშირი ყველა სფეროში, მათ შორის სამხედრო სფეროშიც, მაგრამ დასავლეთ გერმანიის ისტორიკოსის, **სებასტიან ჰაფნერის,** თანახმად, **„ჰიტლერისა და სტალინის პარტნიორობა არ იყო მეგობრული ალიანსი, არც ერთის მხრიდან“.**

ომი გარდაუვალი იყო, ამასობაში სტალინი ცდილობდა, გაეძლიერებინა თავისი ქვეყნის სამხედრო ძალა და შეენარჩუნებინა მშვიდობა რაც შეიძლება დიდხანს, რადგან წითელი არმიის გადაიარაღება ახალი დაწყებული იყო. თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, თუნდაც მოსალოდნელი დიდი კატასტროფის მსგავსად, მაინც მოულოდნელად დაიწყო.

1940 წლის ნოემბერში გერმანიის მთავრობის მოწვევით ბერლინში ჩავიდა საბჭოთა მისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, სახელმწიფოს მეორე პირი ვიაჩესლავ მოლოტოვი. საბჭოთა დელეგაციის შეხვედრა ჰიტლერთან დეტალურად აღწერა ამ შეხვედრის მონაწილემ **ვალენტინ ბერეჟკოვმა** წიგნში „დიპლომატიური ისტორიის ფურცლები“ (1982). მან ხაზი გაუსვა რიტუალურ დეკორაციას, რომელიც მიზნად ისახავდა მიწვეულთა ფსიქოლოგიურ დათრგუნვას: „შავ ფორმაში ჩაცმულმა დაცვის ორმა თანამშრომელმა (ეს-ეს-ელმა) გააღო უზარმაზარი კარი და ფაშისტურად (მარჯვენა ხელის აწევით) მიესალმა სტუმრებს. უზარმაზარ დარბაზში დიდი საწერი მაგიდა და უზარმაზარი გლობუსი იდგა. ამ ინტერიერში ფიურერის ფიგურა თითქოს იკარგებოდა. ფიურერმა ხაზგასმით აღნიშნა მეგობრული განწყობა და სსრკ-ის წარმომადგენლებისადმი პატივისცემა, მათთან მივიდა, ყველას სათითაოდ მიესალმა და სასაუბროდ მიიწვია. მან შესავალი სიტყვა წარმოთქვა იმის შესახებ, რომ ინგლისი უკვე დამარცხებულია და მალე დანებდება, გერმანია აკონტროლებს მთელ დასავლეთ ევროპას და დროა, ვიზრუნოთ ბრიტანეთის იმპერიის დაყოფაზე და რომ გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ უნდა იცოდნენ საბჭოთა მთავრობის მოსაზრებები ამის შესახებ. საპასუხოდ, მოლოტოვმა ჰიტლერს შესთავაზა კონკრეტული პრაქტიკული საკითხების განხილვა. კერძოდ, რატომ გაგზავნეს გერმანიის ჯარები ფინეთში და სამხედრო მისია რუმინეთში საბჭოთა მთავრობის კონსულტაციის გარეშე. ეს ხომ არღვევს პაქტს, რომელიც დადებულია 1939 წელს? ფიურერი შეეცადა, მოლაპარაკებები წარემართა მისთვის საჭირო მიმართულებით — მსოფლიოს დაყოფაზე, რომელშიც მონაწილეობა შესთავაზა სსრკ-ს. მისი თქმით, ამით გაძლიერდებოდა სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობები გერმანიასთან“. სტალინმა მოლოტოვს დაავალა, მტკიცედ შეესრულებინა თავისი გზავნილები: გაცნობოდა აღმოსავლეთის მიმართულებით გერმანული ჯარების კონცენტრაციის მიზეზებს და დაკვირვებოდა ჰიტლერის რეაქციას ამ საკითხებზე. რეაქცია კი არაორდინარული აღმოჩნდა.

როგორც ბერეჟკოვი წერს: **„მიუხედავად სამსახიობო ოსტატობისა, ფიურერმა ვერ შეძლო დაბნეულობის დამალვა... მან უპასუხა არათანმიმდევრულად და არადამაჯერებლად. მოლოტოვმა დასძინა, რომ არსებული ვითარება იწვევს მოსკოვის შეშფოთებას და სურვილს, ამ საკითხზე მიიღოს ნათელი პასუხი გერმანიის მთავრობისგან. ჰიტლერმა კვლავ დაიწყო სამყაროს დაყოფის იდეის განხილვა და ჭეშმარიტი ზრახვების დამალვა. სსრკ-ს კი შესთავაზა გავლენის სფეროების გაფართოება სამხრეთით, ინდოეთის ოკეანემდე“.**

„აქ მოლოტოვმა შეაწყვეტინა ჰიტლერს, — აღნიშნავს ბერეჟკოვი, — რომ აზრი არ აქვს ამგვარი კომბინაციების განხილვას და რომ საბჭოთა მთავრობა დაინტერესებულია იმ რეგიონებში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით, რომლებიც უშუალოდ საბჭოთა კავშირს ესაზღვრება“. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, სტალინის მითითებების შესაბამისად, არ მისცა ჰიტლერს საშუალება, მოლაპარაკება გადაეტანა სსრკ-ისთვის აქტუალური პრობლემებიდან სხვა საკითხებზე. საჭირო იყო ფიურერისთვის ეჩვენებინა, რომ საქმე ჰქონდა მოწინააღმდეგესთან, რომელიც არც კომპრომისზე წასვლას აპირებდა და არც თავისი იდეოლოგიური პრინციპებიდან გადახვევას“.

ნგრევა დემოკრატიის სახელით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2003-2017 წლებში საქართველოში, უკრაინაში ყირგიზეთსა და სომხეთში „ფერადმა რევოლუციებმა“ აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ეფექტიანი ინსტრუმენტებია სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად. ისინი მატერიალურად და ორგანიზაციულად ეხმარებიან ოპოზიციურ ძალებს, ამზადებენ მათთვის აქტივისტებს.**

# ნიკიტა მიხალკოვი ამხელს

## როგორ ახრჩობს ვალებში დასავლეთი ე.წ. განვითარებად ქვეყნებს და ამკვიდრებს სატანიზმს

**პროგრამა „ბესოგონის“ მორიგ გამოშვებაში მისმა ავტორმა და წამყვანმა, ცნობილმა კინორეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა ამხილა დასავლეთის აგენტები, რომლებიც თავიანთ მისიას მაღალფარდოვნად უწოდებენ „მსოფლიოში დემოკრატიისა და თავისუფლების დამყარებისა და განვითარებისთვის ხელის შეწყობას“.**



„ბესოგონ ტვ“-ის ავტორ **ნიკიტა მიხალკოვის** თქმით, აშშ-ის მთავრობა ყოველწლიურად ხარჯავს 2 მლრდ დოლარს „დემოკრატიის განვითარებისთვის“, ფაქტობრივად კი — ამერიკის ინტერესების დასაცავად და საზღვარგარეთ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამერიკელები განსაკუთრებით აქტიურობენ ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე. აქ მათი მთავარი სამიზნე რუსეთია, რომელიც დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობს.

მიხალკოვმა დაასახელა ოპოზიციის დაფინანსების საკვანძო არხები აშშ-ის მხრიდან. ეს არის, მაგალითად, **აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) — საერთაშორისო განვითარებისა და საზღვარგარეთ დახმარების აღმოჩენის ოფიციალური სამთავრობო სააგენტო,** ბიუჯეტით დაახლოებით 40 მლრდ დოლარი წელიწადში.

ამ ორგანიზაციის მუშაობის ძირითადი მიმართულება არის ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება, როგორიცაა **ელექტორატული სისტემების საერთაშორისო ფონდი, „თავისუფლების სახლი“, დემოკრატიის ნაციონალური ფონდი (NED),** რომელიც თავის მისიად ასახელებს მსოფლიოში დემოკრატიისა და თავისუფლების დამყარებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობას.

**„ისინი რა, ხალხების თავისუფლებაზე ზრუნავენ? ამერიკელების 80% რუკაზე ვერ გიჩვენებს უკრაინასა და ბელარუსს“,** — თქვა მიხალკოვმა და დასძინა, რომ NED-ი, თავის მხრივ, აფინანსებს პროამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ეს ორგანიზაცია ფუნქციონირებს 90 სახელმწიფოში, ხოლო მისი ბიუჯეტი წელიწადში 100 მლრდ დოლარს შეადგენს.

NED-ის სპონსორებს შორის არიან ამერიკის უდიდესი კორპორაციები: **Chevron-ი, Coca-Cola, Goldman Sachs-ი, Googl-ი, Microsoft-ი,** აგრეთვე, **აშშ-ის სავაჭრო პალატა.**

2003-2017 წლებში **საქართველოში, უკრაინაში, ყირგიზეთსა** და **სომხეთში** მომხდარმა „ფერადმა რევოლუციებმა“ აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ეფექტიანი ინსტრუმენტია სახელმწიფო გადატრიალებების მოსაწყობად. ისინი მატერიალურად და ორგანიზაციულად ეხმარებიან ოპოზიციურ ძალებს, ამზადებენ მათთვის აქტივისტებს.

„ამერიკული ტრანსნაციონალური კამპანიები ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქტიურად აფინანსებენ. თითქმის ყველა ამ არასამთავრობო ორგანიზაციის დასახელებაში არის სიტყვა „დემოკრატია“. აი რას ამბობდა დემოკრატიაზე **სტალინი: „მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა, მაგრამ ამხანაგმა რუზველტმა გასაგებად ამიხსნა, რომ დემოკრატია — ეს არის ამერიკელი ხალხის ძალაუფლება“.**

დიდმა ირლანდიელმა დრამატურგმა **ბერნარდ შოუმ** მისთვის დამახასიათებელი იუმორითა და ირონიით განსაზღვრა ცნება „დემოკრატია“:

„დემოკრატია — ეს არის საჰაერო ბუშტი, რომელიც დაკიდებულია თქვენს თავზე და თქვენს ყურადღებას იპყრობს, ამ დროს კი სხვები თქვენს ჯიბეებს კარგად ქექავენ“.

NED-ის ერთ-ერთი ორგანიზატორის — **ალენ ვაინშტაინის თქმით, „ბევრი რამ, რასაც ჩვენ დღეს ვაკეთებთ, 25 წლის წინათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ამოცანა იყო“,** ე.ი. დაზვერვა, დივერსია, მოსმენები, თვალთვალი, გავლენების მოპოვება, მოსყიდვა — ყველაფერი, რასაც დაზვერვა აკეთებს, ამ ორგანიზაციის საქმიანობის ნაწილია.

აი კიდევ ერთი ორგანიზაცია: აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტი (USIP). ეს არის ამერიკული ორგანიზაცია, რომლის მიზანია მსოფლიოში კონფლიქტების თავიდან აცილებისა და გადაწყვეტისთვის ხელშეწყობა. **„კონფლიქტის თავიდან აცილებისთვის ხელშეწყობა“? ...ერთი ქვეყანა მაინც მაჩვენეთ, რომელსაც ამ ორგანიზაციამ თავიდან აცილა კონფლიქტი, პირიქით — სწორედ მათ შეუწყვეს ხელი კონფლიქტების გაღვივებას. ვინ გააკეთა ეს, მაგალითად, ლიბიაში, სირიაში, ერაყში, ავღანეთში ან სხვაგან?“**

> **«რესურსებით (მაგალითად, ნავთობით) მდიდარ ქვეყანას ვალად ვაძლევთ დიდ თანხას მსოფლიო ბანკის ან მისი ერთ-ერთი ორგანიზაციის სახელით. სინამდვილეში ფული არასოდეს არ მიდის ამ ქვეყანაში, ის ხვდება ჩვენს დიდ კორპორაციებში, რათა ამ ქვეყანაში აშენდეს ინფრასტრუქტურა — მძლავრი საწარმოები, ინდუსტრიული ფაბრიკები, პორტები. ეს ყველაფერი კიდევ უფრო ამდიდრებს ჩვენს კორპორაციებს, ხოლო ამ ქვეყანაში ხეირობს მხოლოდ რამდენიმე ადამიანი»**

ძირითადი არხები, რომელთა მეშვეობითაც აშშ ოპოზიციურ ძალებს აფინანსებს

ამ ორგანიზაციას, რომლის ბიუჯეტი წელიწადში 40 მლნ დოლარია, კონგრესი აფინანსებს.

**არაძალადობრივი მოქმედებებისა და სტრატეგიის ცენტრი (CANVAS) მოქმედებს 2003 წლიდან და დაფუძნებულია ცნობილი პროგრამა „ოტპორ“-ის ბაზაზე. ამ მოძრაობამ 2000 წელს დაამხო სლობოდან მილოშევიჩი, 2003-2004 წლებში კი მოაწყო რევოლუციები საქართველოსა და უკრაინაში. მუშაობს FREODON HOUSE-სა და NED-ის ეგიდით, ფინანსდება სოროსის ფონდ „ღია საზოგადოებიდან“, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტიდან (IRI) და ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტიდან, დაფუძნებულია ბელგრადში.**

**ჯორჯ სოროსის** ფონდი „ღია საზოგადოება“ ერთ-ერთი მსხვილი საერთაშორისო „საქველმოქმედო“ ორგანიზაციაა. მხარს უჭერს პროგრამებს განათლების, კულტურისა და ხელოვნების, ჯანდაცვის სფეროებში, რომელთა გაცხადებული მიზანია „ღია საზოგადოების მექანიზმებისა და იდეების განვითარება“. სოროსის ფონდის ბიუჯეტი წელიწადში **19 მლრდ დოლარია.**

შეგახსენებთ ამ მსოფლიო „ქველმოქმედის“ ცხოვრების გზას: **წარმოშობით ებრაელი ჯორჯი მოზარდი იყო, როცა მამასთან ერთად გერმანელებს ეხმარებოდა ოკუპირებულ უნგრეთში ებრაელებისთვის წართმეული ძვირფასი ნივთების აღწერაში.**

**საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორაციები კორუფციულ კავშირში არიან დსთ-ის (დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის) ქვეყნების მმართველ ელიტებთან რუსეთის ინტერესების საზიანოდ, რომელსაც არ სურს იმ კანონებით ცხოვრება, რომლებსაც თავს ახვევენ.**

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოპოვება, გადადიან **იზოლაციის პოლიტიკაზე.**

დასავლეთის ქვეყნების მხრიდან რუსეთის იზოლაცია დაიწყო 2011 წელს, ქვეყნის დესტაბილიზაციის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ. **რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარეობს ქსელური ომი იმ სტრუქტურების მონაწილეობით, რომლებიც თითქოს მშვიდობიანი არიან და გარეგნულად თითქოს დაკავშირებული არ არიან არც სტრატეგიულ ინსტიტუტებთან და არც პროფესიულ დაზვერვასთან. ამ თვალსაზრისით, რუსეთისა და მისი მეგობარი მეზობელი ქვეყნების, როგორც ანალიტიკოსები მიიჩნევენ, გარკვეული უმოქმედობა გამოიწვევს ისეთი სცენარების რეალიზაციას, როგორიც იყო, მაგალითად, „ფერადი რევოლუციები“ უკრაინასა და საქართველოში.**

უცხო სახელმწიფოების ინტერესების გატარების კიდევ ერთი სტანდარტია **საერთაშორისო სავალუტო ფონდისა** და **მსოფლიო ბანკის** დახმარება, თუმცა ამაზე უკეთ ილაპარაკებს ამერიკელი მწერალი და აქტივისტი **ჯონ პერკინსი, ავტორი გულახდილი წიგნისა „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“:**

**„რესურსებით (მაგალითად, ნავთობით) მდიდარ ქვეყანას ვალად ვაძლევთ დიდ თანხას მსოფლიო ბანკის ან მისი ერთ-ერთი ორგანიზაციის სახელით. სინამდვილეში ფული არასოდეს არ მიდის ამ ქვეყანაში, ის ხვდება ჩვენს დიდ კორპორაციებში, რათა ამ ქვეყანაში აშენდეს ინფრასტრუქტურა — მძლავრი საწარმოები, ინდუსტრიული ფაბრიკები, პორტები. ეს ყველაფერი კიდევ უფრო ამდიდრებს ჩვენს კორპორაციებს, ხოლო ამ ქვეყანაში ხეირობს მხოლოდ რამდენიმე ადამიანი. ხალხი ამ ფულით მოტანილ სარგებელს ვერ ნახავს, მაგრამ ეს ადამიანები ქვეყნის მოსახლეობაა და მათ ედებათ უზარმაზარი ვალი, ისეთი უზარმაზარი ვალი, რომ ქვეყანა ვერ გადაიხდის. ეს არის გეგმის ნაწილი და, როდესაც ქვეყანას ვალის გადახდა აღარ შეუძლია, ჩვენ, ეკონომიკური მკვლელები, კიდევ ვაძლევთ მათგან ამოქაჩული ფულის ნაწილს და ვეუბნებით: თქვენ დიდი ვალი გაქვთ და, რომ გაისტუმროთ, ჩვენს ქვეყანას ნავთობი იაფად მიჰყიდეთ ან თქვენს ქვეყანაში ავაშენებთ სამხედრო ბაზას, ან გაგზავნეთ თქვენი ჯარისკაცები ჩვენი სამხედროების დასახმარებლად სადმე, მაგალითად, ერაყში, ან კიდევ მხარი დაგვიჭირეთ გაეროში; მიჰყიდეთ თქვენი ელექტროკომპანიები და წყალმომარაგების სისტემები აშშ-ის ან საერთაშორისო კორპორაციებს“.** ►

„რუსეთი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია და ვალდებულია, დაიცვას თავისი ქრისტიანული, ისტორიული, ტრადიციული ფასეულობები. დღეს ამის გაკეთება, რუსეთის გარდა, არავის არ შეუძლია. მაჩვენეთ, კიდევ ვის შეუძლია ეს, კიდევ ვის შესწევს ძალა, წინააღმდეგობა გაუწიოს იმას, რაც ხდება მსოფლიოში. ბოლო პერიოდამდე ადამიანურობის შენარჩუნებაში ხელშეუხებელი იყო ქრისტიანული რელიგია. დღეს კი ვხედავთ, რომ კატასტროფა გვიახლოვდება“.

ნგრევა დემოკრატიის სახელით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## სტალინი: «მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა, მაგრამ ამხანაგმა რუზველტმა გასაგებად ამიხსნა, რომ დემოკრატია — ეს არის ამერიკელი ხალხის ძალაუფლება»

**„საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მუშაობის მეთოდები ძალიან მარტივია: ისინი სახელმწიფოებს ვალების ორმოში ითრევენ და ეს ვალები იმხელაა, რომ სახელმწიფო ვერასდროს ვერ გაისტუმრებს, შემდეგ ისინი კვლავ აძლევენ სახელმწიფოს თანხას ვალად, რათა უფრო მეტი პროცენტით მოიგონ და სახელმწიფოებიც იღებენ და იღებენ ვალს, ბოლოს კი იძულებულნი არიან, უცხოურ კორპორაციებს კაპიკებად მიჰყიდონ თავიანთი რესურსები, მათ შორის, სტრატეგიული ობიექტები, საგანმანათლებლო, სოციალური, სადაზღვევო და მართლმსაჯულების სისტემაც კი“.**

ნიკიტა მიხალკოვს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ჟურნალისტიკის სფერო და განაცხადა, რომ ზოგიერთი ე.წ. დამოუკიდებელი ჟურნალისტი დაკავშირებულია სადაზვერვო სამსახურებთან და სახელისუფლებო სტრუქტურებთან და ეწევიან მანიპულაციებს.

„მანიპულაციებში ჩართული არიან ე.წ. ანალიტიკური ცენტრები. მაგალითად, საერთაშორისო მშვიდობის კარნეგის ფონდი, უფრო ზუსტი იქნებოდა, გვეთქვა — „საერთაშორისო ომის კარნეგის ფონდი, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი (საქართველოში). არადა, ბევრმა ამერიკელმა არც იცის, სად არის საქართველო“.

საზოგადოებაში გარკვეული განწყობების გასაღვივებლად არსებობს გლობალური მედიის აშშ-ის სააგენტო, რომლის მიზანია საზღვარგარეთის ქვეყნების მნიშვნელოვანი აუდიტორიისთვის **უტყუარი ახალი ამბებისა** და ინფორმაციის მიწოდება და იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებელი საშუალებები იყოს ახალი ამბების საიმედო წყარო და თავისუფალი პროფესიონალური პრესის თვალსაჩინო მაგალით.

ამ სააგანტოს ბიუჯეტი 800 მლნ დოლარია წელიწადში. **რა არის უტყუარი ინფორმაცია? რომელ ქვეყნებს არ აქვთ დამოუკიდებელი პრესა?** ეს ის ქვეყნებია, რომლებშიც ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალური წყაროებიდან, და ეს ინფორმაცია აპრიორი სიცრუედ ითვლება. ამიტომ ამ ქვეყნებში რომლებშიც არ არსებობს დამოუკიდებელი ინფორმაცია, შედის **ძალიან უტყუარი** ინფორმაცია ამ „შესანიშნავი“ გლობალური მედიის სააგენტოდან. **მიჰყვებით ჯაჭვს, როგორ მუშაობს ეს ყველაფერი რისთვის მუშაობს?**

მიხალკოვმა ნიღაბი ჩამოჰგლიჯა, აგრეთვე ე.წ. თავისუფლების სახლს (Freedom House) — ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია შტაბ-ბინით ვაშინგტონში. ამ ორგანიზაციას აშშ-ის სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი შეფი ხელმძღვანელობს.

**„ეს, ფაქტობრივად, შეუნიღბავად მოქმედი ამერიკული ინსტიტუტია, რომელიც „ფერადი რევოლუციების“ მოწყობით არის დაკავებული“,** — თქვა რეჟისორმა. შემდეგ კი ილაპარაკა ნეგატიურ როლზე საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა (IRI), რომელსაც მიზნად აქვს დასახული ცალკეული ქვეყნის ვითომ დახმარება დემოკრატიის მშენებლობაში. ეს ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და USAID-თან. რესპუბლიკური ინსტიტუტის წარმომადგენლობები გახსნილია მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის, **ყაზახეთში, ყირგიზეთში, მოლდოვაში, სომხეთში, უკრაინასა** და **საქართველოში.**

ნიკიტა მიხალკოვის აზრით, დასავლეთი ცდილობს, რუსეთი ჩააყენოს „დაგვიანებული მომნანიებლის პოზაში“ და ქვეყნისთვის დიდი ბედნიერებაა, რომ აქვს თავის დაცვის ძალა. რუსეთი თავისი დღევანდელი მდგომარეობით ხომ „დასავლელი პარტნიორების“ ძალიან დიდ გაღიზიანებას იწვევს, რომლებმაც, მიხალკოვის თქმით, არა მხოლოდ უღალატეს და უარი თქვეს თავიანთ ისტორიასა და ფასეულობებზე, არამედ ცდილობენ, თავიანთი „ცივილიზაცია“ რუსებსაც მოახვიონ თავს, მაგრამ საფრთხე თვითონ ქვეყნის შიგნითაცაა.

**„...საგარეო პოლიტიკაში ჩვენ ვეწინააღმდეგებით... გვაქვს შესაძლებლობა თავი დავიცვათ ჩვენი სამხედრო ტექნოლოგიებით, ეს რომ არა, უკვე გაგვსრესდნენ. მაგრამ უცხო ძალების „მოღვაწეობით“ ჩვენს სახელმწიფოში იზრდებიან ახალი ადამიანები, რომლებიც შიგნიდან გახსნიან ალყაშემორტყმული ქალაქის კარს, თანაც ისე, რომ ვერც კი მიხვდებიან, მტერს რომ უშვებენ შიგნით“.**

ნიკიტა მიხალკოვი თვლის, რომ, სანამ დასავლეთი ანტირუსულ პოლიტიკას ეწევა, სანამ საბჭოთა კავშირს ათანაბრებს ჰიტლერულ გერმანიასთან და ცდილობს, ყველა ცოდვა რუსეთს აჰკიდოს, მათთან განმარტებებით ლაპარაკი უაზრობაა. **„დაე, ეს იყოს რთული ნაბიჯი, რომლის გამოც შეიძლება გაგვიჭირდეს, მაგრამ რუსმა ადამიანებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ძლიერი რუსეთი არავის არ სჭირდება. ამიტომ საკუთარი თავით უნდა დავიწყოთ — პასუხი მოვთხოვოთ მაღალჩინოსნებს დაპირებების შეუსრულებლობისთვის, მათ მომავალი თაობის წინაშე პასუხისმგებლობით უნდა იმუშაონ“,** — მიაჩნია რეჟისორს.

რეჟისორი დარწმუნებულია: რუსი ადამიანი პატივისცემით მოეკიდება მას, ვინც დაელაპარაკება, როგორც თანასწორს, ხოლო რუსეთის ეროვნული იდეა უნდა იყოს მისი ინტერესები, რომლებიც მდგომარეობს იმაში, რომ უზარმაზარი ქვეყანა აცნობიერებდეს და ხედავდეს, რომ მხოლოდ საკუთარი ხელით შეუძლია გააკეთოს თავისთვის ყველაფერი.

მიხალკოვი ხაზს უსვამს: **„დღეს სიგიჟემდე მისული „ტოლერანტობისა“ და მულტიკულტურიზმის ფონზე, რომლებმაც დათრგუნა ტრადიციული ფასეულობები, რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ცდილობს და რომელსაც სურს და შეუძლია, შეინარჩუნოს ევროპული და ქრისტიანული ფასეულობები“.**

ნიკიტა მიხალკოვმა თავის ახალ „ბესოგონში“ წარმოადგინა საფინანსო დოკუმენტები, რომლებიც აჩვენებს, რამდენ ფულს დებს **მიხეილ ხოდორკოვსკი** თავისი ფონდების მეშვეობით „საგანმანათლებლო“ პროექტებში. რიგი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ვითომ უფართოებენ თვალსაწიერს, მაგრამ ეს უანგაროდ არ ხდება.

გადაცემის მიმდინარეობისას მიხალკოვმა განაცხადა, რომ საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფორდის რუსული ფონდი“ შექმნილია და ფინანსდება ხოდორკოვსკის ფონდის მიერ. „ოქსფორდის რუსული ფონდის“ დეკლარირებული ამოცანები ერთობ პატივსაცემია, მაგ.: კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, საგანმანათლებლო მოღვაწეობა, საგანმანათლებლო ინოვაციების გავრცელებისა და დანერგვისთვის ხელშეწყობა და ა.შ.“. მაგრამ ამ ფონდის კეთილშობილურობის მიმართ ეჭვი ჩნდება.

**„ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ფონდს არ აქვს სოციალური, რელიგიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნები — უბრალოდ, ყმაწვილები უცხოეთში მიჰყავთ, რათა ასწავლონ და შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულებმა ქვეყნის დიდებისთვის იღვაწონ. ამას აკეთებენ ადამიანები, რომლებიც ჩვენ სანქციებს გვიწესებენ. და რა, ჩვენ ამის გვჯერა?“** — დასვა შეკითხვა ეთერში მიხალკოვმა და დასძინა, რომ ამ პროექტის მიხედვით ათეულობით სასწავლებელში ირიცხება ფული და ეს აშკარად არ კეთდება რუსეთის სიყვარულით“.

მეტყვიან, მერე რა მოხდა? — არც არაფერი, რომ ისევ ის არ გითხრათ, რასაც ადრე გეუბნებოდით: ჩვენ იდიოტები ვართ? **2020 წელს საერთაშორისო განვითარების ამერიკულ სააგენტოს, USAID-ს, 40 მლრდ გამოუყვეს აშშ-ის ბიუჯეტიდან. მათგან 661 მლნ მიმართულია „ევროპაში, ევრაზიასა და ცენტრალურ აზიაში რუსეთის გავლენის საწინააღმდეგო“ ღონის-**

გაგრძელება იხ. მე-16 გვერდზე



## ბერნარდ შოუ: «დემოკრატია — ეს არის საჰაერო ბუშტი, რომელიც დაკიდებულია თქვენს თავზე და თქვენს ყურადღებას იპყრობს, ამ დროს კი სხვები თქვენს ჯიბეებს კარგად ქექავენ»



**აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტი (USIP) — ეს არის ამერიკული ორგანიზაცია, რომლის მიზანია მსოფლიოში კონფლიქტების თავიდან აცილებისა და გადაწყვეტისთვის ხელის შეწყობა. «კონფლიქტის თავიდან აცილებისთვის ხელშეწყობა»? ...ერთი ქვეყანა მაინც მაჩვენეთ, რომელსაც ამ ორგანიზაციამ თავიდან აცილა კონფლიქტი, პირიქით — სწორედ მათ შეუწყვეს ხელი კონფლიქტების გაღვივებას. ვინ გააკეთა ეს, მაგალითად, ლიბიაში, სირიაში, ერაყში, ავღანეთში ან სხვაგან?»**

ნგრევა დემოკრატიის სახელით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არაძალადობრივი მოქმედებებისა და სტრატეგიის ცენტრი (CANVAS) მოქმედებს 2003 წლიდან და დაფუძნებულია ცნობილი პროგრამა „ოტპორ“-ის ბაზაზე. ამ მოძრაობამ 2000 წელს დაამხო სლობოდან მილოშევიჩი, 2003-2004 წლებში კი მოაწყო რევოლუციები საქართველოსა და უკრაინაში; მუშაობს FREODON HOUSE-სა და NED-ის ეგიდით; ფინანსდება სოროსის ფონდ „ღია საზოგადოებიდან“, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტიდან (IRI) და ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტიდან; დაფუძნებულია ბელგრადში.

დასაწყისი იხ. მე-14 გვ.

## «დღეს სიგიჟემდე მისული «ტოლერანტობისა» და მულტიკულტურიზმის ფონზე, რომლებმაც დათრგუნა ტრადიციული ფასეულობები, რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ცდილობს და რომელსაც სურს და შეუძლია, შეინარჩუნოს ევროპული და ქრისტიანული ფასეულობები»

**ძიებებისთვის; 112 მლნ — ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დემოკრატიის შესაძლებლობების გაფართოებასა და სტაბილიზაციისთვის. ეს არის ფული, რომელსაც დებენ ჩვენს მოქალაქეებში, რათა დაუპირისპირდნენ რუსეთის გავლენას ევროპის, აზიისა და ევრაზიის ცხოვრებაზე. და ჩვენ ეს უნდა მოვითმინოთ? “** — განაცხადა რეჟისორმა.

ნიკიტა მიხალკოვმა გადაცემაში ილაპარაკა რომის პაპის განცხადებაზე ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების ლეგალიზაციის შესახებ.

„რომის **პაპი ფრანცისკე** დასაშვებად მიიჩნევს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას და ოჯახებს. ამას ამბობს პონტიფიკოსი, ადამიანი, რომელიც კათოლიკებისთვის ღმერთის მოადგილეა დედამიწაზე, პირველი ადამიანი კათოლიკურ სამყაროში.

**„ერთი და იმავე სქესის ადამიანებს აქვთ უფლება, შექმნან ოჯახი, ისინი ღვთის შვილები არიან და უნდა ჰქონდეთ უფლება, შექმნან ოჯახი, არავინ არ უნდა იყოს განკიცხული და ამის გამო ტანჯული. საჭიროა, შეიქმნას კანონი სამოქალაქო კავშირებზე და ეს ადამიანებიც იქნებიან კანონით დაცულნი“.**

პაპის ნათქვამი ეწინააღმდეგება წმინდა წერილს — ძირითად დოკუმენტს, რომლის მიხედვით ცხოვრობდა კაცობრიობა, ყოველ შემთხვევაში ქრისტიანული, კათოლიკური კაცობრიობა, ლაპარაკი აღარ არის მართლმადიდებლებზე:

* **„ვინც მამაკაცთან დაწვება ისე, როგორც ქალთან წვებიან, სიბილწეს ჩაიდენენ ორივენი, უნდა მოკვდნენ, მათზეა მათი სისხლი“** (ლევიათანნი. თ. 20.13).

***„ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა მათივე გულისთქმათა უწმინდურებას, რათა შეებილწათ თავიანთი სხეული... ამიტომ მისცა ისინი ღმერთმა საგინებელ ვნებებს, ვინაიდან მათმა ქალებმაც კი ბუნებრივი წესი არაბუნებრივით შეცვალეს. ასევე კაცებმაც მიატოვეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი. გულისთქმით გახურებულნი აღერივნენ ერთმანეთს, მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სასირცხვოს და მიიღეს თავიანთი ცდუნების საზღაური“** (რომაელთა 1.24-26).

„ამ სატანიზმის პირველი მერცხლები უკვე ვაჩვენეთ „ბესაგონში“. ეს არის **სენტ-გოტარდის** გვირაბის გახსნის ცერემონია, რომელსაც ევროპული სახელმწიფოების მეთაურები ესწრებოდნენ. ეს იყო სპექტაკლი — **ანტიქრისტეს მოსვლის წარმოდგენა დედამიწაზე.** პირველ ნაწილში კაცობრიობა წარმოდგენილი იყო ზომბების მასად, რომლებიც მზად არიან, ყველა ბრძანება შეასრულონ. სპექტაკლი განაგრძო ჩვილისსახიანმა დაცემულმა ანგელოზმა, გარეგნობით ლუციფერმა, რომელიც გამოჩნდა, როგორც ბაფომეტი — სატანის ოფიციალური სიმბოლო. ერთ-ერთი სტუმრის პიჯაკზე შეამჩნევდით ბროშს, რომელზეც გამოსახულია თხა — აგრეთვე, ბაფომეტის განსახიერება. კაცითხა ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ცერემონიაში. შერწყმული თხა და ადამიანი წარმოადგენენ სატანასა და ანტიქრისტეს.

და ეს ყველაფერი ხდებოდა ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მეთაურთა თვალწინ.

დღეს კი რომის პაპი, რომელსაც მისი ტოლერანტობის გამო უნდა ვუწოდოთ „მშობელი №1“, გვთავაზობს იმას, რაც, პრაქტიკულად, ადამიანის მოდგმის შეწყვეტას ნიშნავს. ეს ის პაპია, რომლის ხელის შეხებაზეც ოცნებობს მილიონობით ადამიანი. კათოლიციზმს ხომ მილიარდზე მეტი ადამიანი აღიარებს?! როგორ მოიქცნენ ეს ადამიანები, რა იწამონ, რა გზას დაადგნენ? წარმოგიდგენიათ, როგორი წყალგამყოფი წარმოიქმნა ქრისტიანობაში? არ გეშინიათ, რომ ისინი, ვინც გადაწყვეტს, რომ ღმერთის ადგილი არ არის დედამიწაზე, ამის მტკიცებას იარაღით ხელში დაუწყებს მათ, ვისთვისაც ეს მიუღებელია?

და, საერთოდ, რომის პაპის ქმედებებში ვერ ხედავთ გარკვეულ ფარისევლობას, მცდელობას — ყველას ასიამოვნოს? წარმოგიდგენიათ უმაღლესი სასულიერო პირი, იერარქი, რომელიც ფეხსაცმელზე კოცნის სამხრეთ სუდანის ლიდერს და ამას იმით ხსნის, რომ სურს, შეწყდეს ომი; ფეხსაცმელზე კოცნის მიგრანტებს და მათ მიტევებას თხოვს? და **როგორ იყენებენ ამას ისინი, ვინც ამტვრევს ვიტრინებს და ესვრის პოლიციელებს? მათ აქვთ თავიანთი საქციელის გამამართლებელი არგუმენტი: „რომის პაპმა გიბრძანათ, ფეხზე გვმთხვეოდით. თუკი თქვენ მორწმუნე კათოლიკეები ხართ!“** ეს არის ძალიან კონკრეტული ტენდენცია, რომელსაც ამკვიდრებენ მსოფლიოში — აიძულონ სხვები, გააკეთონ ის, რაც სჭირდება „ცივილიზებულ“ სამყაროს. ამისთვის კი საჭიროა ამ სამყაროს შიგნით, ვგულისხმობ ჩვენს სამყაროს, ერთადერთ სამყაროს, რომელშიც შეიძლება ადამიანის დაცვა საკუთარი რწმენის, საკუთარი ისტორიის ღალატისგან და ა.შ., უნდა მომზადდეს ნიადაგი“.

**ჯუჯა სახელმწიფო ვატიკანის მეთაური ხორხე მარიო ბერგოლიო, რომელიც თავს რომის პაპ ფრანცისკეს უწოდებს, უკვე ბევრს აღარ აკვირვებს. პიარისა და „ლამაზი ფოტოებისთვის“ ის უკვე ეამბორა ფეხებზე არალეგალ მიგრანტებსა და მცირეწლოვან დამნაშავეებს, მოუბოდიშა რუმინელ ბოშებს, იუდეველებს, პროტესტანტებსა და ჰომოსექსუალებს; შეიტანა ცვლილება ლოცვაში „მამაო ჩვენო“ და კათოლიკური კატეხიზმი ლიბერალური სულისკვეთებით შეცვალა — ამოიღო დებულება სიკვდილით დასჯის დაშვების შესახებ.** ფრანცისკე 2020 წლის ოქტომბრამდე ცდილობდა რაღაც ბალანსის დაცვას, მაგრამ ოქტომბერში მან ოფიციალურად მოითხოვა ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონება. პაპის გამონათქვამები მიუთითებს მსოფლიოში ვითარების შეცვლაზე. რუსეთი, ფაქტობრივად, ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოებს შორის, რომლებშიც შენარჩუნებულია ჭეშმარიტი ფასეულობები და ჩვენ სრულად უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი პასუხისმგებლობა და გვესმოდეს, რომ **„რუსებს აქვთ ძა-** ▶



ბაფომეტი სენ გოტარდის გვირაბის გახსნის ცერემონიაზე

**«ძმებმა დალესებმა (ერთმა — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა, მეორემ — აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა) დევიდ როკფელერის ფინანსური მხარდაჭერით შექმნეს World Health organization-ი — ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. მათ ეს ორგანიზაცია შექმნეს არა იმისთვის, რომ ადამიანებისთვის ემკურნალათ, არამედ იმისთვის, რომ გაეკონტროლებინათ მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ადამიანებზე გავლენა მოეხდინათ ვაქცინაციისა და სხვა გზით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პირველი ხელმძღვანელი იყო როკფელერის ახლო მეგობარი ბროკ ჩისჰოლმი»**





## ალან ვაინშტაინი: «ბევრი რამ, რასაც ჩვენ დღეს ვაკეთებთ, 25 წლის წინათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ამოცანა იყო»

**«ჯუჯა სახელმწიფო ვატიკანის მეთაური ხორხე მარიო ბერგოლიო, რომელიც თავს რომის პაპ ფრანცისკეს უწოდებს, უკვე ბევრს აღარ აკვირვებს. პიარისა და «ლამაზი ფოტოებისთვის» ის უკვე ეამბორა ფეხებზე არალეგალ მიგრანტებსა და მცირეწლოვან დამნაშავეებს, მოუბოდიშა რუმინელ ბოშებს, იუდეველებს, პროტესტანტებსა და ჰომოსექსუალებს, შეიტანა ცვლილება ლოცვაში «მამაო ჩვენო» და კათოლიკური კატეხიზმო ლიბერალური სულისკვეთებით შეცვალა — ამოიღო დებულება სიკვდილით დასჯის დაშვების შესახებ»**

**მიხალკოვმა ნიღაბი ჩამოჰგლიჯა, აგრეთვე ე.წ. თავისუფლების სახლს (FREEDOM HOUSE) — ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია შტაბ-ბინით ვაშინგტონში. ამ ორგანიზაციას აშშ-ის სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი შეფი ხელმძღვანელობს. „ეს, ფაქტობრივად, შეუნიღბავად მოქმედი ამერიკული ინსტიტუტია, რომელიც „ფერადი რევოლუციების“ მოწყობით არის დაკავებული“, — თქვა რეჟისორმა.**

## ნგრევა დემოკრატიის სახელით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ლა წინააღმდეგობების გასაწევად“,** რადგან კატასტროფა მოახლოებულია.

„მე ადრეც ვამბობდი, რომ რუსეთი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია და ვალდებულია, დაიცვას თავისი ქრისტიანული, ისტორიული, ტრადიციული ფასეულობები. დღეს ამის გაკეთება რუსეთის გარდა არავის არ შეუძლია. მაჩვენეთ, კიდევ ვის შეუძლია ეს? კიდევ ვის შესწევს ძალა, წინააღმდეგობა გაუწიოს იმას, რაც ხდება მსოფლიოში? **ბოლო პერიოდამდე ადამიანურობის შენარჩუნებაში ხელშეუხებელი იყო ქრისტიანული რელიგია. დღეს კი ვხედავთ, რომ კატასტროფა გვიახლოვდება“,** — აღნიშნა ნიკიტა მიხალკოვმა, რომელიც კატასტროფაში რომის პაპის განცხადებას გულისხმობდა.

ნიკიტა მიხალკოვმა ილაპარაკა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასა და მის შემქმნელებზეც:

„ძმებმა დალესებმა (ერთმა — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა, მეორემ — აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა) **დევიდ როკფელერის** ფინანსური მხარდაჭერით შექმნეს **World Health organization**-ი — ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. მათ ეს ორგანიზაცია შექმნეს არა იმისთვის, რომ ადამიანებისთვის ემკურნალათ, არამედ იმისთვის, რომ გაეკონტროლებინათ მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ადამიანებზე გავლენა მოეხდინათ ვაქცინაციისა და სხვა გზით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პირველი ხელმძღვანელი იყო როკფელერის ახლო მეგობარი **ბროკ ჩისჰოლმი.** აი მისი ციტატა:

**„მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებამდე რომ მივიდეთ, საჭიროა, ადამიანების ცნობიერებიდან განვდევნოთ მათი ინდივიდუალურობა, ოჯახური ტრადიციებისადმი ერთგულება, ეროვნული პატრიოტიზმი და რელიგიური დოგმები... განადგურება ცნებებისა „ჭეშმარიტება“ და „სიცრუე“, რომლებიც ბავშვის აღზრდის საფუძველია, — აი, გვიანდელი მიზნები... რომლებიც საჭიროა ადამიანის ქცევების შესაცვლელად“.**

ეს 1948 წლის მემორანდუმია.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს, მაგრამ, თუ არ ვიმოქმედებთ, ვერ გაიმარჯვებს. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ შევქმნათ ბაზა, რომელიც გაფართოვდება და გაიზრდება ახალგაზრდების შეგნებასთან ერთად, რომლებმაც უნდა გააცნობიერონ, რა ემუქრება მათ იქიდან და რა შეიძლება მიიღონ აქ. რა უნდა გააკეთონ, აქ კარგად და სწორად რომ იცხოვრონ, როგორ დაიცვან ის, რაც აქვთ.

**Youtube.com-ზე გამოქვეყნებული მასალის — „მეგობართა გორგალის“ მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**



**ჯონ პერკინსი: «საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მუშაობის მეთოდები ძალიან მარტივია: ისინი სახელმწიფოებს ვალების ორმოში ითრევენ და ეს ვალები იმხელაა, რომ სახელმწიფო ვერასდროს ვერ გაისტუმრებს, შემდეგ ისინი კვლავ აძლევენ სახელმწიფოს თანხას ვალად, რათა უფრო მეტი პროცენტით მოიგონ და სახელმწიფოებიც იღებენ და იღებენ ვალს, ბოლოს კი იძულებულნი არიან, უცხოურ კორპორაციებს კაპიკებად მიჰყიდონ თავიანთი რესურსები, მათ შორის, სტრატეგიული ობიექტები, სადაზღვევო და მართლმსაჯულების სისტემაც კი»**



თეთრკანიანი ამერიკელი ფეხებს უკოცნის შავკანიანს



რომის პაპმა მიგრანტებს ფეხები დაუკოცნა

**დღეს რომის პაპი, რომელსაც მისი ტოლერანტობის გამო უნდა ვუწოდოთ «მშობელი №1», გვთავაზობს იმას, რაც, პრაქტიკულად, ადამიანის მოდგმის შეწყვეტას ნიშნავს. ეს ის პაპია, რომლის ხელის შეხებაზეც ოცნებობს მილიონობით ადამიანი. კათოლიციზმს ხომ მილიარდზე მეტი ადამიანი აღიარებს?! როგორ მოიქცნენ ეს ადამიანები, რა იწამონ, რა გზას დაადგნენ?**

**«ისინი რა, ხალხების თავისუფლებაზე ზრუნავენ? ამერიკელების 80% რუკაზე ვერ გიჩვენებს უკრაინასა და ბელარუსს», — თქვა მიხალკოვმა და დასძინა, რომ NED-ი, თავის მხრივ, აფინანსებს პროამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში**



**ბროკ ჩისჰოლმი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პირველი დირექტორი: «მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებამდე რომ მივიდეთ, საჭიროა, ადამიანების ცნობიერებიდან განვდევნოთ მათი ინდივიდუალურობა, ოჯახური ტრადიციებისადმი ერთგულება, ეროვნული პატრიოტიზმი და რელიგიური დოგმები... განადგურება ცნებებისა «ჭეშმარიტება» და «სიცრუე», რომლებიც ბავშვის აღზრდის საფუძველია — აი, შორეული მიზნები... რომლებიც საჭიროა ადამიანის ქცევების შესაცვლელად»**




დასავლური დემოკრატიის შედეგი

«თავისუფლებით დაწყევლილი!»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველა ყრუი, ყველა ცრუიო“, ილია რომ ამბობდა, მაშინ თვალშისაცემი იყო სიყრუე და სიცრუე, ამიტომ თქვა იმ ბრძენკაცმა ხაზგასმით: „ყველა“-ო; აქცენტი გაამძაფრა. ახლა სიცრუე საყოველთაო მოვლენაა და ის კაცი, რომელიც არ ცრუობს, „თეთრ ყვავად“ ჩანს და არანორმალურად არის მიჩნეული. დღეს ნორმალურია სიცრუე, მართლის თქმა კი — არანორმალური. ამას ღირებულებათა გადანაცვლება ჰქვია: „ცუდმა“ და „კარგმა“ ადგილები შეიცვალა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მოხდა შეფასების კრიტერიუმის მეტამორფოზა, რომელმაც ღირებულებათა დევალვაცია გამოიწვია.**

# ცოდვის ტრიალი

## სიცრუე, ყოველი უბედურების თავიდათავი, გალაღდა, ამიტომაც ტრიალებს ცოდვის დოლაბი ჩვენს თავზე

**კაცს ღმერთი რომ გაუწყრება, ჯერ ჭკუას გამოაცლისო, — ნათქვამია. შემდეგ ის ჭკუაგამოცლილი კაცი თვითონ სჯის თავის თავს, სხვისი ჩარევის გარეშე. დასასჯელი კი არის, რადგან ღმერთი უმიზეზოდ არ გაუწყრებოდა. მაინც რა მიზეზია ისეთი, ღვთის წყრომა რომ გამოიწვია? ეს არის ცოდვა, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩაიდინა კაცმა თუ ერმა.**

უბედურება, რომელიც ჩვენს და, საერთოდ, ცივილიზებული კაცობრიობის დიდი ნაწილის თავზე ტრიალებს, ღვთის წყრომის შედეგად ჭკუაგამოცლილი ხალხის ხვედრია. დიდი დაკვირვება და ინტელექტი არ სჭირდება იმის დანახვას, რა უაზრობებს აკეთებენ და რა უბედურებისაკენ მიისწრაფიან ზნეობადაკარგული დღევანდელი ე.წ. დაწინაურებული ერები თუ სახელმწიფოები. ჭკუაგამოცლილი კაცი თუ ერი და სახელმწიფო ზნეობადაკარგული იქნება, აბა, რა!

სხვის ცოდვებს ვერ ჩამოვთვლი და არც მევალება, ჩვენი ერისა თუ ხალხის ცოდვები კი ერთად გავიხსენოთ და მივხვდებით, რატომ და რისთვის ვისჯებით ასე.

საქართველოს უპირველესმა ბრძენკაცმა, თავისი სამშობლოსთვის უშურველად ნაღვაწმა და თავშეწირულმა ილია მართალმა, დიდმა **ილია ჭავჭავაძემ,** გულისტკივილით შეაფასა მშობელი ხალხი: **„ყველა ყრუი, ყველა ცრუი... მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი“.** სწორედ ამის დასტური იყო ის „ბერდანკის ტყვია“, რომელიც ჩვენმა თანამემამულეებმა დაახალეს მას გენიალურ შუბლში!

**„ღმერთო შეაყვარე ქართველებს საქართველო, რადგან ამ უკანასკნელს არა დაუშავებია რა“,** — მოთქვამდა გენიალური **ვაჟა-ფშაველა,** რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა და წამლის ფულიც კი არ ჰქონდა. ეს მაშინ, როდესაც მისი მდიდარი თანამემამულეები სრა-სასახლეებს იშენებდნენ ან მამულებს ჰყიდდნენ უცხოტომელებზე გაუთავებელი ღრეობებისათვის აღებული ვალების გასასტუმრებლად.

**„ყველა ყრუი, ყველა ცრუიო“, ილია რომ ამბობდა, მაშინ თვალშისაცემი იყო სიყრუე და სიცრუე, ამიტომ თქვა იმ ბრძენკაცმა ხაზგასმით: „ყველა“-ო; აქცენტი გაამძაფრა. ახლა სიცრუე საყოველთაო მოვლენაა და ის კაცი, რომელიც არ ცრუობს, „თეთრ ყვავად“ ჩანს და არანორმალურად არის მიჩნეული. დღეს ნორმალურია სიცრუე, მართლის თქმა კი — არანორმალური. ამას ღირებულებათა გადანაცვლება ჰქვია: „ცუდმა“ და „კარგმა“ ადგილები შეიცვალეს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მოხდა შეფასების კრიტერიუმის მეტამორფოზა, რომელმაც ღირებულებათა დევალვაცია გამოიწვია.**

სიცრუე რომ გაბატონდება საზოგადოებაში, სახელმწიფოში თუ ქვეყნიერებაზე, ეს არის სწორედ „ცოდვის ტრიალი“, რადგან დიდი რუსთველისა არ იყოს, **„სიცრუე და ორპირობა ავნებს სულსა, მერმე — ხორცსა“.** ამ სიცრუემ კაცობრიობის სულს, დიდი ხანია, ავნო, რაც მხოლოდ ღვთისგან რჩეულმა ადამიანებმა დაინახეს, მაგალითად, **ოსვალდ შპენგლერმა,** რომელმაც ზუსტად ასი წლის წინათ გამოაქვეყნა ნაშრომი **„ევროპის დაისი“.** ხორცის ვნება გვიან დაიწყო, რაც დღემდე ვერ გააცნობიერეს ვერც ხელისუფლებებმა და ვერც ხალხების დიდმა უმრავლესობამ.

სხვებს თავი რომ დავანებოთ, **იმის აღრიცხვა, რაც დღეს ქართველ საზოგადოებაში ტყუილი ითქმის და სიცრუე ილვრება, შეუძლებელია. ცრუობს ყველა: მეეზოვითა და ბაზარში ყველის გამყიდველით დაწყებული, პრეზიდენტითა და პარლამენტის სპიკერით დამთავრებული. ცრუობენ ექიმები და ვექილები, პედაგოგები და ბიზნესმენები, სამხედროები და მეცნიერები, დიდები და პატარები, ხოლო პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების მატყუარობა დღემდე არსებულ ყოველგვარ ზღვარს, კარგა ხანია, გადასცდა. სინდის-ნამუსი და ღირსება აქ უკვე სახსენებელიც აღარ არის.**

იტყვიან ხოლმე, — იმ კაცმა უწყინარი ტყუილი თქვაო. არა, ბატონებო, უწყინარი და მაწყინარი ტყუილი არ არსებობს, რადგან **„თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა“** (რუსთაველი).

**სამწუხაროდ, ჩვენთვის სიცრუე, დიდი ხანია, რაღაც დამახასიათებელ ნიშნად იქცა. ტყუილად არ შეიქმნებოდა ისეთი ანდაზები, რომლებშიც მართლის მთქმელი და მქნელი სამწუხარო გამონაკლისად არის მიჩნეული: „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“, „მართლის მთქმელი მოკლესო“, „მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამოგიდევს სინათლესა“-ო და ა, ბატონო, რა პატივში ყოფილან ჩვენში მართლის მთქმელები და მიმდევრები.**

თუ უწინ სიმართლეს ყველა არ ამბობდა, უმრავლესობა არ ცრუობდა მაინც. რადგან ქრისტიანი ერი ვიყავით, ქრისტეს მცნებების დარღვევა დიდ ცოდვად მიგვაჩნდა. „არ იცრუო!“ ერთ-ერთი ფუნდამენტური მცნებაა და მისი დარღვევა მიუტევებელი ცოდვაა. ასე ფიქრობდა ღვთისმორწმუნე ხალხი და ქვეყანას ზნეობრივ საყრდენებს უმაგრებდა. **ახლა ჭეშმარიტად ღვთისმოშიში ადამიანი სანთლით საძებარია, ხოლო რელიგიურ დღესასწაულებზე ვითომ მრევლის მიერ გადავსებული ტაძრები და მონასტრები თითოეული იქ მყოფის რწმენაზე კი არ მეტყველებს, არამედ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტოტალურ სიცრუეზე: „აი, ნახეთ სანთელს ვანთებ, მაშასადამე მორწმუნე ვარ!“ ისევე, როგორც ეკლესიათა მშენებლობის ბუმი ლოზუნგით: „ყველა უბანსა თუ დიდ ეზოში — ეკლესია!“ ასე რომ არ იყოს,**



**ისე როგორ შეიძლება გამოთაყვანდეს ხალხი (ხელისუფლებას ვგულისხმობ, უპირველესად), რომ ისტორიულად ჩვენი გადამრჩენი მტრად გამოაცხადოს, დამღუპველი კი — მეგობრად! «ობოლო, ვის მოკლავო და, ვინც გამზარდა, იმასო». რატომ, შე ოხერო, რატომ? ჰოდა, უმადურობა, როგორც უმძიმესი ცოდვა, სასტიკად ისჯება ღვთის განგებით. იმ ტვინგადაბრუნებული ობლის შესახებ ერთობ საგულისხმო ამბავია გადმოცემული ჩვენი ფოლკლორის კლასიკურ ნიმუშში — «ამირანში»**

**რაღაც ზნეობრივი გაჯანსაღების ნიშნები მაინც გამოჩნდებოდა და ისე არ გალაღდებოდა სადიზმი და სისასტიკე, ულმერთობა და სოდომური ცოდვები, რომლებმაც თითქმის ყველა თაობა მოიცვა ჩვენშიც და სხვაგანაც, განსაკუთრებით კი დაწინაურებულ, მდიდარ, ძლიერ და „მისაბაძ“ ქვეყნებში.** სტატისტიკა ხშირად ისეთი უაზრო სისასტიკით ჩადენილი დანაშაულის ფაქტებს წარმოაჩენს ხოლმე, რომლის მსგავსი მანამდე ცნობილი არ იყო კრიმინალისტიკაში.

უზარმაზარი პერიოდები დასჭირდა კაცობრიობას, რომ გარე სამყაროს შემეცნების პროცესში მოპოვებული ცოდნის საფუძველზე ზნეობრივ შეგნებამდე მისულიყო. ზნეობა კი ადამიანში ადამიანურობის არსებითი ნიშანია. **თუ შემეცნება ჭეშმარიტების ძიებაა (და ეს ასეა), მაშინ ზნეობა, ცხადია, ჭეშმარიტებას, ანუ სიმართლეს ეფუძნება; სიმართლეზე ხელის აღება ზნეობრიობაზე ხელის აღებაა, რაც ცნობიერების დეფორმაციას იწვევს. იმიტომ, რომ ზნეობა, კლასიკური თუ თანამედროვე გაგებით, არის სიკეთის ქმნა, დაცვა და დამკვიდრება. მასზე უარის თქმა სიკეთის უარყოფაცაა და, თუ სიკეთეს უარყოფ, მაშინ შენს ცნობიერებაში მის ადგილს სიცრუეზე დაფუძნებული ბოროტება დაიკავებს. ზნეობაზე ხელაღებულმა ხალხის დიდმა ნაწილმა სიკეთეზეც აიღო ხელი და ბოროტების, სიცრუის გზას შეუდგა: ავი კარგად მიიჩნია („ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო“, — დავით გურამიშვილი).** ადამიანური ცნობიერების დეფორმაციაზე ერთი საყოველთაოდ ცნობილი მოვლენაც მეტყველებს:

**ყველამ იცის, რა პოპულარულია მოზარდებში (და არა მხოლოდ მოზარდებში, ზრდასრულებსა და „გადამწიფებულებშიც“) დახეულ-დაგლეჯილი ჯინსის შარვლები. მოზარდები ტირილით ეხვეწებიან მშობლებს: მთელი, ახალი ჯინსი არ გვინდა, დაგლეჯილ-დაფლეთილი გვირჩევნიაო. ზრდასრულები და „გადამწიფებულები“ არ ტირიან, ბაზრობაზე მიდიან და ახალსა და მთელზე 5-ჯერ უფრო ძვირად ყიდულობენ დაგლეჯილ შარვლებს და სიხარულით ბრუნდებიან შინ, რათა მეორე დღეს თავი მოიწონონ საზოგადოებაში ან ტელეეკრანზე ათასობით მაყურებლის თვალწინ, ნახეთ რა თანამედროვე ვარო. რა გამოდის? პასუხი მარტივია: „თანამედროვისთვის“ დახეული და დაგლეჯილი სჯობია მთელსა და უნაკლოს! ეს იგივეა, სახურავჩანგრეული სახლი რომ ამჯობინო უჟანგავი თუნუქით გადახურულს.**

უნაკლო შარვალი უფრო სრულყოფილად ასრულებს თავის ფუნქციურ დანიშნულებას, ვიდრე დახეულ-დაგლეჯილი. მთელი კარგია, დახეულ-დაგლეჯილი — ცუდი. ამ ფაქტის მიმართ სხვა აზრი საღი გონებისა და ფსიქიკის ადამიანს ვერ ექნება. მაშ, რა სჭირთ მათ, ვისაც საწინააღმდეგო აზრი აქვთ? **მათ ცნობიერებაში ღირებულებათა დევალვაცია მოხდა: „ცუდი“ მიიჩნიეს „კარგად“. ამ შემთხვევაში „ცუდი“ მართლა კი არ იქცა „კარგად“, არამედ დამახინჯებულ ცნობიერებაში შეფასების კრიტერიუმი გადაადგილდა და, რადგან „კარგმა“ პოზიტიური შეფასებითი შინაარსი დაკარგა, მისი სრული დევალვაცია მოხდა, მახინჯმა ცნობიერებამ „კარგის“ საპირისპირო საგანი — „ცუდი“ აირჩია. ცუდის დევალვაცია შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია ნულის რაიმე რიცხვზე გამრავლება ან გაყოფა.**

ეს მოვლენა კარგის ნიშანი არც მაშინ იქნებოდა, მხოლოდ ჯინსის შარვლებისადმი საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულებაში რომ ვლინდებოდეს, მაგრამ დიდ უბედურებასთან ჯერ კიდევ არ გვექნებოდა საქმე. **სამწუხაროდ, დევალვაცია საყოველთაო მოვლენად იქცა. იგი გაბატონდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რა თქმა უნდა, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერით, წახალისებითა და გაბატონებული პოლიტიკური დოქტრინების ხალხისთვის თავსმოხვევის მდიდარი არსენალის გამოყენებით.** ეს რომ ასეა, ნათლად მეტყველებს დღევანდელი „მოწინავე“ ქვეყნების ნეოლიბერალური „იდეოლოგია“ და ე.წ. „ადამიანის უფლებების“ დაცვის სისტემები.

რომ არა კოლოსალური ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა, ლგბტ მახინჯი ორგანიზაციები ვერ მოახერხებდნენ ბევრი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის დატერორებას. **საქმე იქით მიდის, რომ მალე გეები, ლესბოსელები, ბისექსუალები და ძმანი და დანი მათნი თავიანთ თავს ნორმალურად, ხოლო ჰეტეროსექსუალებს არანორმალურებად აღიარებინებენ საზოგადოებრიობას. განა ამის ნიშანი არ არის ის, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მამათმავლობა დაავადებათა სიიდან ამოშალა და სიყვარული სნეულებად გამოაცხადა?! ახლა განვითარებულ ქვეყნებში მამათმავლობა პიროვნების სექსუალურ ორიენტაციად ითვლება, რომელსაც ყველამ პატივი უნდა სცეს. აი, ავი უკვე გამოაცხადეს კარგად. თუ ჩვენ არ გავაქტიურდით, მალე კარგს ავად გამოაცხადებენ და კაცობრიობაც წერტილს დაუსვამს თავის ისტორიას...**

როდესაც გაიძულებენ, აღიარო, კაცის კაცთან ქორწინება კარგიაო, ეს განა სიმართლეზე სიცრუის, ზნეობაზე უზნეობის გამარჯვება არ არის? მეტიც, ეს არის მიუტევებელი სოდომური ცოდვის კარგ საქციელად ტრანსფორმირების ცდა. დავიწყებულია დიდი რუსთაველის შეგონება: **„ავსა**

# როდესაც გაიძულებენ, აღიარო, კაცის კაცთან ქორწინება კარგიაო, ეს განა სიმართლეზე სიცრუის, ზნეობაზე უზნეობის გამარჯვება არ არის? მეტიც, ეს არის მიუტევებელი სოდომური ცოდვის კარგ საქციელად ტრანსფორმირების ცდა. დავიწყებულია დიდი რუსთაველის შეგონება: „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშოვბს“!

«თავისუფლებით დაწყევლილი!»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აკაკიმ ჩვენი ხალხი საცოდავ მურიას შეადარა: «რას წუწკუნებს ის პატარა მურია? ხომ არ ჰშია და ან ხომ არ სწყურია? ვისი არის და ან სადაურია? ქუცი, ქუცი! კუდქიცინა მურია!» ასე რომ არ იყოს, საქართველოს ხელისუფლება ასე სამარცხვინოდ როდი უქიცინებდა კუდს ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ოდიოზურ მაღალჩინოსანსაც კი, ხოლო მისი ელჩი, ვიღაც ქალი, მონღოლ ნოინზე მეტი უფლებებით აღჭურვილი როგორ იქნებოდა? თავმოყვარე კი არა, უბრალოდ, საღი ცნობიერების ადამიანი როგორ შეეგუება იმას, რომ სხვამ (ოკეანისგაღმელმა) დაუნიშნოს მტერი და მოყვარე, სხვამ დაუწესოს სავალი გზა-კვალი და ისიც უკარნახოს, ვინ არის და ვისი შთამომავალია**

**კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშოვბს“!** შიცრუე, ყოველი უბედურების თავიდათავი, გალაღდა, ამიტომაც ტრიალებს ცოდვის დოლაბი ჩვენს თავზე. ცოდვა დაუსჯელი არ რჩება. კორონავირუსის ავი აქტივობის საკაცობრიო რეზონანსი იმ სასჯელის უწყინარი გამოვლინებაა, რომელიც კაცობრიობას და, კერძოდ, ჩვენ, ქართველებს, გველოდება. გაგიკვირდათ? **ქართული ტელევიზიებისა და პრესის 90%-ზე მეტი სიცრუესა და სატანისტურ აზრებს რომ ქადაგებს, საზოგადოება კი ეგუება და, მცირე გამონაკლისის გარდა, ითმენს ამას, განა უზნეობისა და ურწმუნობის თანამონაწილეობა არ არის? ჰოდა, არ გაგიკვირდეთ, რომ ამ კორონავირუსს (ხელოვნურია იგი, თუ ბუნებრივი) ვერაფერს უხერხებს „ფანტასტიკურად“ განვითარებული მეცნიერება, რომელიც ღმერთს, როგორც უზენაეს შემოქმედს, კარგა ხანია, თავხედურად ეჯიბრება.**

დიდმა ილიამ ბრძანა და ზემოთ უკვე ვთქვი ამაზე „მტრის ვერ მცნობი, მოყვრის მგმობი“ ხალხი ვართ ჩვენო. ცამდე მართალია! **აკაკიმ** კი ჩვენი ხალხი საცოდავ მურიას შეადარა: **„რას წუწკუნებს ის პატარა მურია? ხომ არ ჰშია და ან ხომ არ სწყურია? ვისი არის და ან სადაურია? ქუცი, ქუცი! კუდქიცინა მურია!“** ასე რომ არ იყოს, **საქართველოს ხელისუფლება ასე სამარცხვინოდ როდი უქიცინებდა კუდს ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ოდიოზურ მაღალჩინოსანსაც კი, ხოლო მისი ელჩი, ვიღაც ქალი, მონღოლ ნოინზე მეტი უფლებებით აღჭურვილი როგორ იქნებოდა?** თავმოყვარე კი არა, უბრალოდ, საღი ცნობიერების ადამიანი როგორ შეეგუება იმას, რომ სხვამ (ოკეანისგაღმელმა) დაუნიშნოს მტერი და მოყვარე, სხვამ დაუწესოს სავალი გზა-კვალი და ისიც უკარნახოს, ვინ არის და ვისი შთამომავალია! არადა, ქართველებს ასე გვექცევიან და ჩვენც ვეგუებით! **ისე როგორ შეიძლება გამოთაყვანდეს ხალხი (ხელისუფლებას ვგულისხმობ, უპირველესად), რომ ისტორიულად ჩვენი გადამრჩენი მტრად გამოაცხადოს, დამღუპველი კი — მეგობრად! „ობოლო, ვის მოკლავო და, ვინც გამზარდა, იმასო“. რატომ, შე ოხერო, რატომ? ჰოდა, უმადურობა, როგორც უმძიმესი ცოდვა, სასტიკად ისჯება ღვთის განგებით. იმ ტვინგადაბრუნებული ობლის შესახებ ერთობ საგულისხმო ამბავია გადმოცემული ჩვენი ფოლკლორის კლასიკურ ნიმუშში — „ამირანში“.**

გახსოვთ, ალბათ, ახალდაბადებულ ამირანს განკაცებულმა და დედამიწაზე ჩამოსულმა უფალმა საარაკო ძალღონე და დაუმარცხებელი ფალავნობა რომ დაანათლა. მერე, როცა ამირანმა ყველა დაამარცხა დედამიწაზე, ნათლია-ღმერთს მიადგა, — მეჭიდავეო. — ნათლიასთან ჭიდაობა როგორ შეიძლებაო?! — ღმერთმა. — არა, უნდა მეჭიდავოო, უნდა გავიგო, ვინ არის ჩვენში უძლიერესიო, — არ დაიშალა ტუტუცმა ფალავანმა. — მაშინ ამ ხელჯოხს ჩავასობ მიწაში და ამოთხარე, თუ შეგიძლიაო, — უთხრა უფალმა. ჩაასო ხელჯოხი და ამირანმა ნეკის წამოკვრით ამოთხარა. — მეჭიდავე, თუ არ შეგიძლია, მაშინ აღიარე ჩემი უპირატესობა და შენს გზაზე წადიო, — ტუტუცმა ფალავანმა. მაშინ უფალმა ჩაასო ჯოხი მიწაში და უბრძანა: ფესვები გაიდგი ისეთი, რომ დედამიწის გულამდე ჩაწვდესო. აბა, ახლა სცადე ამოღებაო, — უთხრა ნათლულს. დაეჭიდა ამირანი, მაგრამ ძვრა ვერ უყო. მაშინ **უმადური ნათლული კავკასიონის ერთ კლდეზე ჯაჭვით მიაბა უფალმა და სამუდამო სატანჯველში ჩააგდო, სანამ არ მოინანიებდა. მოინანია თუ არა იმ უმადურმა უმადურობა არ ვიცი, მაგრამ თავდახსნილი ამირანი არავის უნახავს ჯერაც. არ გეცნოთ უმადურობის ეს მაგალითი? განა არ ჰგავს იგი რუსეთის მიმართ ჩვენს უმადურობას? ან კიდევ იმ უბედური ობლის საქციელს, თავის გამზრდელს მოკვლას რომ უპირებდა?** ძალიან ჰგავს, ძალიან! ჰოდა, თუ დროზე არ „მოვეგებით გონებასა“, ამ ცოდვისთვის ღირსეული სასჯელი არ აგვცდება, თუმცა **სასჯელის აღსრულება დაწყებულია: უმეტესობა ჭკუაგამოცლილი ვართ და ავსა და კარგს ვეღარ ვარჩევთ, მოყვარე მტერი გვგონია, მტერი კი — მოყვარე, სირცხვილი ჩამორჩენილობად, უსირცხვილობა კი განვითარებულობად მიგვაჩნია.**



**გონს მოვეგოთ ყველანი ერთად ან ცალ-ცალკე მაინც, სანამ საბოლოოდ არ წაგვლეკა ჯერ ზნეობრივმა და მერე ფიზიკურმა წარღვნამ! დავგმოთ სიცრუე და შევუდგეთ სიმართლის გზას! ამის შემდეგ კი მტერ-მოყვრის გარჩევაც აღარ გაგვიჭირდება!**

**ცოდვით დამძიმებულებზე, რომლებიც ჯიუტად უარს ამბობენ მონანიებაზე, უფალი ხელს იღებს და ეს საცოდავები სატანებს უვარდებიან ხელში. სატანის მიერ გაბრუებულები ვეღარც კი ხვდებიან, რა განსაცდელი ელოდებათ ხვალ. აი, თუნდაც იუვენალური სამართლის დამკვიდრება, რაც გველოდება ოჯახური ძალადობისგან ბავშვებისა და ქალების დაცვის საბაბით...** მშობელი ბავშვს თუ გაუწყრა, წიგნის წაკითხვა და გაკვეთილების მომზადება აიძულა, ბავშვს უფლება ექნება, პატრულს გამოუძახოს და მშობლისგან დაცვა სთხოვოს. მშობელი თუ გაჯიუტდა და განაცხადა, რომ კვლავაც აიძულებს შვილს გაკვეთილების მომზადებას, მაშინ სახელმწიფო ორგანოებს უფლება ექნებათ, შვილი წაართვან მშობლებს და აღსაზრდელად სახელმწიფოს ან სხვა მსურველებს გადასცენ. ხოლო, თუ მშობელმა ცელქ შვილს ყური აუწია, ციხე არ ასცდება! ე.ი., მშობელი შვილის მტერია, სახელმწიფო ძალოვანი ორგანო — მოყვარე!

როგორია, ჰა?! **ეს არის დემოკრატია და პიროვნული თავისუფლება? ცოდვის ტრიალია ეს, ცოდვის ტრიალი! ცოდვიანი ისეა დამძიმებული თავისი ცოდვით, რომ ამ ცოდვის ტრიალს ვერ ხვდება და ვერც მიხვდება მანამ, სანამ „კუპრში არ მოუვა ქშენანი“. აი, მაშინ კი მონანიება გვიანი იქნება.**

კორონავირუსის პანდემიის დაწყებამდე გამოვაქვეყნე სტატია „წარღვნა“, რომელშიც წინასწარმეტყველებასავით გამოვიდა ნათქვამი **„წარღვნა კარზეა მომდგარი!“ კორონავირუსის პანდემია განა წარღვნასავით არ არის?! იგი ჯერჯერობით სუსტია, მაგრამ ზნეობრივი წარღვნის ნიშნებს აშკარად ამჟღავნებს. ზნეობრივი წარღვნა ფიზიკურ წარღვნაზე უკეთესი ხომ არ ჰგონია ვინმეს? ზნეობრივი წარღვნა ცივილიზებულ ცხოველად გადაქცევას უქადის კაცობრიობას და მტერმა უყურა ცხოველებად გადაქცეულ ხალხს!** არადა, მაგალითი უკვე ბევრია: კაცის კაცთან „კანონიერი“ ქორწინება, მერე მათ მიერ შვილის აყვანა და დედ-მამის ნაცვლად „მშობელი №1“ და „მშობელი №2“-ის შემოღება, გეიაღლუმები, ლგბტ-თა ჭრელი დროშების ფრიალი და ა.შ.

საიდან დაიწყო ეს თავზარდამცემი ზნეობრივ-ფიზიკური დეგრადაცია, ეს საშინელი გადაგვარება, საკაცობრიო ღირებულებათა „ავად“ მიჩნევა — „ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო!“ (გურამიშვილი) და ანტიადამიანური საქციელის გაფეტიშება? პიროვნების სრული თავისუფლების სატანისტური იდეის შემოღებით?

გახსოვთ, ალბათ, **დოსტოევსკის** „ძმებ კარამაზოვებში“ არის ასეთი ეპიზოდი: უფროსი ძმა კარამაზოვი, რომელმაც ევროპული განათლება მიიღო და რევოლუციური იდეებით არის დასნებოვნებული, უმცროს ძმას, ტაძრის მორჩილს ასწავლის: „ღმერთი არ არის, სიცრუით გიტენიან თავს რელიგიის მსახურები“. უმცროსი ძმა პირდაღებული უსმენს მისთვის შეუვალ ავტორიტეტს, უფროს კარამაზოვს და ბოლოს აღტაცებული შესძახებს: **„ღმერთი არ არის! ესე იგი, ყველაფერი ნებადართულია!“** აი, როდესაც ადამიანი ჩათვლის, რომ ყველაფერი ნებადართულია, იწყება მასში ადამიანობის კვდომა. ეს აზრია გაცხადებული **ჟან-პოლ სარტრის** ცნობილ შეფასებაში: **„თავისუფლებით დაწყევლილი!“** ადამიანია სწორედ ის არსება, რომელიც თავისუფლებით არის დაწყევლილი.

არც ერთი ცხოველი არ მოიქცევა თავისი ბუნების შეუსაბამოდ, როგორ პირობებშიც უნდა მოექცეს იგი: **მგელი შიმშილით მოკვდება და ირემივით ბალახს არ მოძოვს, ასევე მოკვდება ირემი და ხორცს პირს არ დააკარებს. ადამიანი, რადგან შემეცნების უნარი უბოძა ღმერთმა, მგელივითაც მოიქცევა და ლომივითაც, უფრო კი ვირივითაც, თუ დასჭირდა, რა თქმა უნდა. და რომ იგი მუდამ ადამიანურად მოიქცეს, ამისათვის არსებობს მისთვის ზნეობრივი და სამართლებრივი კანონები, ტრადიციები და ადათ-წესები, რომლებიც მხოლოდ აკრძალვებია.** ახლა ნეოლიბერალებს რომ ჰკითხო, აკრძალვები პიროვნების თავისუფლებას ზღუდავს და უნდა დავსაჯოთ ყველა, ვინც ბავშვებს (და დიდებსაც) რაიმეს უკრძალავსო. ეს არის სატანისტური იდეოლოგია, რომელიც დაღუპავს კაცობრიობას, თუ თვითონ კაცობრიობამ არ მოუღო ბოლო ნეოლიბერალიზმს.

„თავისუფლება,“ როგორც ლოზუნგი, ეშმაკის დემაგოგიაა, რადგან, მას რომ შესთავაზებ ადამიანს, არც დაფიქრდება, ისე დაგიკრავს სიხარულით ტაშს; იმაზე კი არ დაფიქრდება, რისგან გათავისუფლებას ჰპირდები: პატიმრობიდან თუ სამსახურიდან, სინდისისგან თუ მოვალეობისგან, ქონებისგან თუ პასუხისმგებლობისაგან. აკრძალვების გარეშე თუ გაზარდე ბავშვი, ნებისყოფა როგორ ჩამოუყალიბდება? ნებისყოფა ხომ პიროვნების ფუნდამენტური ნიშანია. **„რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“** — გვმოძღვრავს დიადი შოთა. ადამიანს თუ არ შეუძლია ეს, ანუ ნებისყოფა თუ არ აქვს, იგი ცხოველია, რადგან სწორედ ცხოველს არ აქვს ნებისყოფა, რაც უნდა ძლიერი იყოს იგი.

**ნუთუ ვერ ხვდება საზოგადოება, თუ ის საზოგადოებაა, რომ, რაც უფრო იზრდება სირცხვილის დეფიციტი, მით სცილდება ადამიანი ადამიანობას. არადა, ნეოლიბერალები ტვინს ურევენ მოზარდებს, როცა უქადაგებენ, რომ სირცხვილის განცდა ხელს უშლის ადამიანს, სრულად გამოავლინოს შინაგანი ძალები. რა გამოდის? თუ რაღაცის გრცხვენია, ეს სირცხვილია? ვაი, მათ პატრონს, უბედურს!**

ადამიანის ადამიანობა მაშინ დაიწყო, როცა მას სირცხვილის განცდა გაუჩნდა. „ბიბლიაში“ ადამისა და ევას სახით მოცემული სიმბოლური სიუჟეტია ამის დასტური. მაშ, **ჩვენ ვის და რის წინააღმდეგ მივდივართ? ღმერთის მცნებების წინააღმდეგ? იმ ევროპას მივყვებით, რომელსაც ღმერთი მართლა გარდაცვლილი ჰგონია?**

გონს მოვეგოთ ყველანი ერთად ან ცალ-ცალკე მაინც, სანამ საბოლოოდ არ წაგვლეკა ჯერ ზნეობრივმა და მერე ფიზიკურმა წარღვნამ! დავგმოთ სიცრუე და შევუდგეთ სიმართლის გზას! ამის შემდეგ კი მტერ-მოყვრის გარჩევაც აღარ გაგვიჭირდება!

**მუხლმოდრეკილი მონანიე,**
**თქვენი ფეხთა მტვერი**
**ზურაბ ცუცქირიძე**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რომ ხმალი უფრო სატევრობს, ვიდრე ფარობს. ადამიანის გაუძლომელმა წადილმა ეს უკეთესი მხარე ხმლისა დააჩლუნგა და უარესი გალესა... დიახ, ბატონებო, ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთს ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. მარტო ხმალი, მართალია, თავისითაც ძლიერია, მაგრამ ვერსად ხანგრძლივ ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ ამხანაგად გუთანი არ იყოლია“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# ოქრო, ხმალი და გუთანი ანუ ხელისუფლება, ოპოზიცია და ხალხი

**პრობლემები, რომლებიც საქართველოში ყველა ხელისუფლების პირობებში დღის წესრიგში დგას, კვლავაც გადაუჭრელი რჩება და ხალხს იმედგაცრუებულს ტოვებს. უკვე აღარავის უკვირს არც არჩევნების გაყალბება, არც პოლიტიკოსთა შეუსრულებელი დაპირებები და მით უმეტეს სახელმწიფო მოხელეთა უმრავლესობის ზრუნვა მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე... ძალიან სამწუხაროა, რომ წლებია, ერთი და იმავე შეცდომებით ერთსა და იმავე გზაზე სიარული გვიწევს.**

**მაგრამ ამჯერად ყველაფერ ამას კორონავირუსის პანდემიაც დაემატა, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მსოფლიოში და კაცმა არ იცის, ეს კოშმარი როდის დასრულდება. მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულზე ასე თუ ისე საქართველომ საყოველთაო მობილიზაციისა და ერთობის წყალობით მოახერხა, სხვებთან შედარებით გაცილებით უკეთ გამკლავებოდა ამ სნეულებას, დღეს არსებულ რეალობაზე ასე ვერ ვიტყვით. სავარაუდოდ, სიტუაცია უფრო დამძიმდება, თუ ოპოზიციის ქუჩის აქციები კვლავაც გაგრძელდება.**

**არსებული რეალობა კი იმაზეც აშკარად მიანიშნებს, რომ ადამიანებს, იმედგაცრუებასთან ერთად, ურთიერთშორის მტრული დამოკიდებულება უჩნდებათ, თავიანთი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე.**

**...და ასე მტრებად იქცნენ უახლოესი ნათესავები, ერთმანეთის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ნუთუ ეს არავის აფიქრებს?! ასე თუ გაგრძელდება, ვინ იზრუნებს ამ სახელმწიფოზე და ვის დარჩება ეს ქვეყანა?**

**ან დღეს ვისია? — ეს კითხვა 1881 წელს ერის მამამ, დიდმა ილია მართალმაც დასვა და მას ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში გასცა პასუხი:**





## „ქვეყანა ვისია?

ყოველივე ჩემიაო, — ამბობს ოქრო. ყოველივე ჩემიაო, — იძახის ხმალი. ყოველსფერს ვიყიდიო, — მოჰკვეხს ოქრო. ყოველსფერს ხელში ვიგდებო, — იქადის ხმალი. მითამ ეგრეა? არა გვგონია.

ჩვენის ფიქრით, თავმოწონებულს ოქროსა და გაზვიადებულს ხმალს, ამ ორს პატიოსანს მეტოქეს, დაჰვიწყებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის კიდევ ერთი რაღაცა, რომელსაც, თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში.

მართალია, **ის ერთი რაღაცა ქედმოხრილია, ჩუმი, წყნარი, უწყინარი, ტანად მრუდე, მაგრამ გულით მართალი და პირად ბრწყინვალეა. იგი ხმაამოუღებლივ, ხმაგაკმენდილი, ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზედ: არცა ჰკვეხს, არც ბაქიაობს, არც არავის ერჩის, არც არავის ეცილება და საქმობს თავის-თავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროსღა ექმნება რამე სასყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს-მეთქი, არ ვიცი ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგეს და ხმლების ტყეები. უიმისოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არც თითონ ძალოვანს ხმალს დიდი და ხანგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაცა გუთანია.** აი ამ ტეტია გუთანს შეუძლიან, ოქროსა და ხმლის შუა ჩადგეს და თავისებურად დინჯად და მშვიდობიანად უთხრას: „შენ, ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი; უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გაკოტრებულის კაცის თამასუქი: ექნება რამე, — მიიღებ, არა და პირში ჩალა გამოივლე და თუნდა თავი წყალს მიეცი. შენ შენით რა ხარ? სახედარი და სხვა არაფერი. თუ მე აგკიდე რამე, ხომ რა კარგი, თუ არა და ზედაც რომ არავინ შემოგხედოს, ბევრს არას დაჰკარგავს. ხმალო, შენ-კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისე კი, როგორც ნიაღვარი: მოვარდები, წარღვნი, წალეკავ, მილეწ-მოლეწ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები, და თუ მე მიმიმხრობ — მაშინ კი ქვეყანა ჩვენია“.

**დიახ, ბატონებო, ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთს ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. მარტო ხმალი, მართალია, თავისითაც ძლიერია, მაგრამ ვერსად ხანგრძლივ ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ ამხანაგად გუთანი არ იყოლია.** ამისი მაგალითი, სხვათა შორის, მონგოლები არიან. ამათ მარტო ხმალს დაუჯერეს, ისინი მარტო ხმალს მიენდვნენ: მიესივნენ ქვეყანას, დაიპყრეს ქვეყნები, დასწვეს, შეჰმუსრეს, მიანგრ-მოანგრიეს და ბოლოს ხომ თითონაც მტვრად აღგვილ იქმნენ. წარჩინებულნი ერნი ევროპისანი თითქმის სულ ხმლით მისეულნი ერნი არიან. მაგრამ საცა-კი მივიდნენ, ყველგან გუთანი მიიმხრეს, და აჰა, დღესა ვხედავთ, რომ ყოვლად მტკიცენი და მკვიდრნი არიან თავის ადგილებში. იმათი ადგილიდამ დაძვრა ვეღარაფერმა ვერ შესძლო. არიან და იქნებიან უკუნისამდე. შორს წასვლა საჭირო არ არის. მაგალითი თვალ-წინ გვიდგას. მაგალითები ჩვენ თითონ ქართველები ვართ. **ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა? ხმალმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხ-მოკიდებულები ვართ, სხვებსავით არ დავიქსაქსენით, არ გადავცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით, გავუძელით და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა, — ეგ იმიტომ — რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდგანვე დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშიაც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება.**

რასაკვირველია, **ხმალი მაშინ უფრო კარგია, როცა იგი ფარია და არა სატევარი. მაგრამ რასა იქ? ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რომ ხმალი უფრო სატევრობს, ვიდრე ფარობს. ადამიანის გაუძლომელმა წადილმა ეს უკეთესი მხარე ხმლისა დააჩლუნგა და უარესი გალესა. მინამ ქვეყანა ასეა და ძალა აღმართსა ხნავს, ხმალმა ორ-გვარი სამსახური უნდა გაუწიოს თავის პატრონს, იმის მიხედვით, თუ შემთხვევა და ფათერაკი რა დროს რას მოითხოვს. გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედამიწის უხვი გული გადაგვიშალოს და იქიდამ საზრდოება გვაწვდიოს. გუთანი, ქართველებო, გუთანი!** და ხმალი იყოს ფარი მისი.

**«ჩვენის ფიქრით, თავმოწონებულს ოქროსა და გაზვიადებულს ხმალს, ამ ორს პატიოსანს მეტოქეს, დაჰვიწყებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის კიდევ ერთი რაღაცა, რომელსაც, თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში»**



**«ამ ტეტია გუთანს შეუძლიან, ოქროსა და ხმლის შუა ჩადგეს და თავისებურად დინჯად და მშვიდობიანად უთხრას: «შენ, ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი; უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გაკოტრებულის კაცის თამასუქი... სახედარი და სხვა არაფერი. თუ მე აგკიდე რამე, ხომ რა კარგი, თუ არა და ზედაც რომ არავინ შემოგხედოს, ბევრს არას დაჰკარგავს. ხმალო, შენ-კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისე კი, როგორც ნიაღვარი: მოვარდები, წარღვნი, წალეკავ, მილეწ-მოლეწ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები, და თუ მე მიმიმხრობ — მაშინ კი ქვეყანა ჩვენია»**

თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, ნათქვამია. მყობადი იმისა, ვინც მიწაზედ ფეხდადგმულია და მიწას ამოქმედებს ხმლის მფარველობის ქვეშ. თითონ დიდი რომი, თითქმის მთელის ქვეყნის მპყრობელი, დაეცა, იმიტომ — რომ მარტო ხმალი ეჭირა ხელში და გუთანი კი არა. ყოველივე ეს იმიტომ კი არა ვსთქვი, რომ აქაო და გუთანი გვიჭირავს ხელში, გულს ხელები დავიკრიფოთ და ამით მოვიწონოთ თავი. არა, ბატონებო, **გუთანს ცოდნაც უნდა, რომ ერთიათად იმაზედ მეტი შესძლოს, რის შემძლებელიც აქამომდე იყო.** ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა — სკოლაა, და იმ ცოდნისა, რომელიც გუთანს, ანუ უკეთ ვსთქვათ, მიწისმოქმედებას ხელს უწყობს და შეჰფერის, — სამეურნეო სკოლაა. ამ-გვარის სკოლების გამართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა, და მით უფრო ადვილი, რომ ეხლა სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ რუსეთში საკმაოდ ფართო გზა მისცა საზოგადოებას მაგ სკოლების დაარსებისათვის. ფრიად საყურადღებო აზრებია გამოთქმული სამინისტროს პროექტში ამ საგანზედ, და თუ ის პროექტი დამტკიცდა და როგორმე ჩვენამდინაც მოაღწია, დიდი საქმე იქნება. აი ამ საგანზედ რას იწერება ერთი რუსული გაზეთი: „ახალი პროექტი სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი სრულ ნებას და უფლებას აძლევს თითონ ერობას, მეურნეობის საზოგადოებას და კერძო პირთაც, გამართონ სახელოსნო-სამეურნეო სკოლები. გამმართველთა ნებაზედ არის მიგდებული, დააარსონ ეგ სკოლები კერძო პირთა მამულებში, თუ სხვაგან სადმე. მთავრობა თუმცა ჰკისრულობს ნაწილს სკოლის ხარჯისას, მაგრამ სკოლის გამმართველთ სრულს ნებას აძლევს თითონ ამოირჩიონ სკოლის გამგებელიც, ოსტატებიც და მზრუნველებიც და ყოველივე გამგეობა სკოლისა თითონ იქონიონ. მხოლოდ უმაღლესი ზედამხედველობა და ხელთმძღვანელობა რჩება მთავრობასა. სახელოსნო-სამეურნეო სკოლაში მოსამსახურეების გასამრჯელო და აგრეთვე სამსახურის უფლებანი უფრო უკეთესნი არიან, ვიდრე საოსტატო სემინარიის მოსამსახურეებისა“. გარდა ამისა, რადგანაც ამისთანა სკოლაში უფრო მოზრდილი ყმაწვილები უნდა შევიდნენ და მოზრდილი ყმაწვილი გლეხკაცისათვის რადმე ღირს შინაობაში და იმისი მოშორება მისთვის დასაკლისია, დადებულია — რომ ყოველი შეგირდი, რომელიც სკოლაში შევა, მოჯამაგირესავით იყოს: ეძლიოს საჭმელი, სასმელი, საცმელი და ჯამაგირიცა. თუ ღმერთმა იპრიანა, ეს პროექტი დამტკიცდა და ჩვენც გვეღირსა, იქნება ჩვენც გვეშველოს რამე. სხვა რომ არა იყოს რა, აქამდის ეგრეთ გაძნელებული საქმე სკოლის გამართვისა, ნებადართვის აღებისა, გაადვილებული მაინც იქნება“ *(1881 წელი, ნოემბერი, XI შინაურ მიმოხილვა).*

* * *

**დღეს ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ხალხი — გულით მართალი, ჩუმი და წყნარი — ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოთმინებით გარინდულა, მას ერთი ძაფიღა იჭერს და, თუ ისიც გაწყდება, ამით ვერც პოზიცია და ვერც ოპოზიცია ვერ იხეირებენ. დიახ, ამ ქვეყანაში მთავარი ძალა ხალხია, ქართველი ხალხი, რომლის გარეშე არც ხელისუფლებასა და არც ოპოზიციას „ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს“.**

**ტელეარხები, ჟურნალისტები, არასამთავრობოები, ადამიანის ვითომ უფლებადამცველები და, სამწუხაროდ, ბევრი თქვენი მომხრე, მათ შორის დეპუტატებიც აგიმხედრდნენ და განგიდგნენ. ეს უკვე დამაფიქრებელი კი არა, კატასტროფაა.**

«მოყვარეს პირში უძრახე»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღია მიმართვა ბიძინა ივანიშვილს

**ბატონო ბიძინა, გიდასტურებთ თქვენდამი პატივისცემას. პრინციპით — „მოყვარეს პირში უძრახე“, გულისტკივილით მოგმართავთ: რაც დღეს საქართველოში ხდება და რასაც ბედავს უზნეო და უტიფარი ოპოზიცია, თქვენი ბრალია.**



ომარ მარგველაშვილი

დღიდან თქვენი ხელისუფლებაში მოსვლისა, თვალებში შესციცინებთ ამერიკასა და ევროპას, მათი კარნახით მართავთ ქვეყანას, განა ეს გამართლებულია?! ჯერ ერთი წლით გაუგრძელეთ პრეზიდენტობის ვადა ქართველთმოძულე შიზოფრენიკს, შემდეგ თითიდან გამოწოვილი კოაბიტაცია მოახვიეთ თავს თქვენი ხელისუფლებაში მოსვლით აღტაცებულ ხალხს. საზოგადოების ყველაზე უმნიშვნელოვანესი თხოვნა და მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენის თაობაზე 8 წლის განმავლობაში ყურად არ იღეთ. კრიმინალებს, რეციდივისტებს, ხაზინის ქურდებს, მწამებლებს, მკვლელებს, საქართველოს ტერიტორიების გამყიდველებს, სახალხო დოვლათის დამტაცებლებს, ხალხის ქონებისა და საკუთრების წამგლეჯებს პასუხი არ მოსთხოვეთ და კანონის მთელი სიმკაცრით არ დასაჯეთ. პირიქით, კანონი, რომელიც დამნაშავის დასჯას სასჯელის ვადების შეკრებითობის პრინციპით ითვალისწინებდა, გააუქმეთ.

სასათბურე პირობები შეუქმენით ქვეყნის დამაქცევარ არაადამიანებს. ისინი განცხრომით სხედან პარლამენტის სავარძლებში, ძალოვან და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში. გლანძლავენ, გაგინებენ, ჭკუას გარიგებენ თქვენ და თქვენს გარემოცვას — მმართველ პარტიას. თქვენს ღვაწლსა და ამაგს კი არ გიფასებენ, პირიქით, მასხრად იგდებენ, ცინიკურად მოგიხსენიებენ, ცილს გწამებენ. თქვენ ამ შეურაცხყოფასა და დამცირებას ოლიმპიური სიმშვიდით ხვდებით. ეს განა მარტო თქვენი, ქვეყნისა და საღად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების შეურაცხყოფა და დამცირებაა. ნუთუ ვერ ხვდებით? ალბათ, არ გყავთ გონიერი, განათლებული, შორსმჭვრეტელი ანალიტიკოსი მრჩევლები ან არ უსმენთ მათ (ეს უარესია). თქვენ მხოლოდ უცხოელი „მრჩევლების“ მითითებებს ასრულებთ, იმიტომ გვაქვს კარგად საქმე.

* ტელეარხები, ჟურნალისტები, არასამთავრობოები, ადამიანის ვითომ უფლებადამცველები და, სამწუხაროდ, ბევრი თქვენი მომხრე, მათ შორის დეპუტატებიც აგიმხედრდნენ და განგიდგნენ. ეს უკვე დამაფიქრებელი კი არა, კატასტროფაა.

* პირადად მე არაერთი საგაზეთო წერილი მომიწერია თქვენთვის იმაზე, თუ რა აწუხებს ხალხს: პირველ რიგში, სამართლიანობის აღდგენა, რუსეთთან დიალოგი და კეთილმეზობლური ურთიერთობის დალაგება, ულტიმატუმების გარეშე; აფხაზებთან და ოსებთან კეთილგონიერი დიალოგი, სტრატეგიულ და უცხოელ პარტნიორებთან ღირსეული ურთიერთობა და არა მონური, ისეთი როგორიც დაამკვიდრეთ უცხოელ დიპლომატებთან, განსაკუთრებით აშშ-ის ელჩებთან, კონგრესმენებთან, სენატორებთან, ევროპის სახალხო პარტიასთან და ა.შ.

* ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე უამრავ კვალიფიციურ რჩევას გაძლევენ პუბლიცისტები, ქვეყნისა და ხალხის უსაზღვრო სიყვარულით გაჟღენთილი წერილებით პრესაში რვა წლის განმავლობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ არაფერს ითვალისწინებთ. საზოგადოებაში გამეფებულია აზრი, რომ პრესას არ ეცნობით. გამომდინარე აქედან, ჩვენი სამშობლოს გადაუდებელი პრობლემებს მოგვარება არ უწერია. ამ პრობლემების ჩამონათვალი რაც დრო გადის, იზრდება.

* სამართლიანობის აღდგენაზე მე გესაუბრეთ სულმნათი ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე, მაშინ თქვენ, თუ არ ვცდები, ჯერ კიდევ პრემიერი იყავით. მე აღფრთოვანება და მადლიერება გამოვთქვი თქვენს გამარჯვებაზე და ხელისუფლებაში მოსვლაზე. გთხოვეთ, რომ სამართლიანობის აღდგენა ყველაზე მთავარია საქართველოში და ხალხს უსაზღვრო მოლოდინი და თქვენი იმედი აქვს.

* სამწუხაროდ, თქვენ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე გრძელი, მაგრამ სრულიად შეუსაბამო, გაუგებარი პასუხი გამეცით. მე გითხარით, თქვენი პასუხიდან მხოლოდ ის გავიგე, რომ სამართლიანობის აღდგენას არ აპირებთ და ეს ძალიან ცუდია ქვეყნისთვის, ხალხისთვის და პირადად თქვენთვის, რომლის მძიმე შედეგებს აუცილებლად მოიმკიდით და იმკით კიდეც.

* ვისი რჩევით, კარნახით თუ ზემოქმედებით დაწიეთ არჩევნების ბარიერი ერთ პროცენტამდე, ამას ხომ არავითარი გამართლება არა აქვს?! თქვენი ქმედების მავნე შედეგები ახლა ხომ აშკარაა!

* გასაკვირია ზნედაცემული ოპოზიციის საქციელი, ტელევიზიის თითქმის ყველა არხი მისმა მხარდამჭერებმა დაიპყრეს, თითქმის ყველა ჟურნალისტი მას ექომაგება, აიკლეს მთელი ქვეყანა, მოაბეზრეს ხალხს თავი გაუთავებელი ჩხუბით, ყაყანით, თავხედობით, უზრდელობით, ღრიანცელით, ჩვენი მორჩილი პოლიცია კი მხოლოდ წესრიგისკენ მოწოდებით, დაწყნარებით, დაშოშმინებით ცდილობს სიტუაციის განმუხტვას. ეს აზვირთებული და აღრენილი ბრბო კი ძალადობს პოლიციაზე, საშინელ შეურაცხყოფას აყენებს წესრიგის დამცველ ჩვენს ახალგაზრდა, თავმოყვარე ბიჭებს. ნუთუ ეს არის კანონმორჩილება და ამას ავალებს უწყების ხელმძღვანელობა — შს სამინისტრო?





* თუ ვინმე ალვირახსნილი ოპოზიციონერი სრულიად კანონიერად დააკავეს, სასამართლო მეორე დღესვე ათავისუფლებს და სასამართლო დარბაზიდან ეს მოძალადეები პირდაპირ ისევ მიტინგზე მირბიან ბინძური და აგრესიული ქმედებების ჩასადენად.

* რეგვენი შალიკო წინა პარლამენტში არ შევიდა, არც ერთ სხდომას არ დასწრებია, მანდატიც დახია, მაგრამ მაღალ ხელფასს ოთხი წლის განმავლობაში უნამუსოდ იღებდა. ხელფასი არის ადამიანის შრომის ანაზღაურება, თქვენ კი უშრომლად ანიავებთ საბიუჯეტო (ხალხის) სახსრებს.

* ხალხს სწყურია სიმშვიდე და წესრიგი ქვეყანაში და არა ამ უღირსი და უთავმოყვარეო ბრბოს ყურება.

* ქვეყანას ჰყავს ბრძენი და გონიერი პიროვნებები, მაგრამ თქვენ მათ არც ეძებთ და არც იკარებთ, თქვენი თავდაჯერებულობა დაღუპავს ქვეყანას და მერე ძალიან გვიან იქნება თითზე კბენანი. არ თქვათ, რომ მხოლოდ პარტიის ლიდერი ხართ და ქვეყნის მართვაში არ ერევით. არც მე გეტყვით, რომ თქვენ არაფორმალური მმართველი ხართ, თქვენდა სამწუხაროდ, ერთპიროვნულად მართავთ ქვეყანას, სხვის აზრსა და წინადადებებს არ ითვალისწინებთ.

* მიეცით საშუალება ღირსეულ პრემიერს, მინისტრებს, მართონ ქვეყანა თქვენგან დამოუკიდებლად. თქვენი საკადრო პოლიტიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს — სამარცხვინოა, ამიტომაც მიიყვანეთ ქვეყანა გაუსაძლის მდგომარეობამდე. ნუ გავიწყდებათ გენიალური პიროვნების ბრძნული შეგონება — „კადრები წყვეტენ ყველაფერს“.

* თქვენ არ გიყვართ ქვეყანასა და ხალხზე მოფიქრალი ადამიანები. ერთხელ მაინც თუ შეხვედრიხართ ქართველი საზოგადოების სახელოვან პიროვნებებს; გიკითხავთ — რა აწუხებთ, რა არის მათთვის მისაღები ან მიუღებელი? ნუთუ თქვენ ფიქრობთ, „ოცნების“ აქტივისტებს რომ ხვდებით, მხოლოდ ეს არის საკმარისი ქვეყნის განვითარებისთვის. რატომ არ ხვდებით მეცნიერებს, ტექნიკურ ინტელიგენციას, განათლების, ხელოვნებისა და კულტურის ღვაწლმოსილ მუშაკებს, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გამოცდილ მოღვაწეებს და საერთოდ, მოაზროვნე საზოგადოებას? იმიტომ, რომ თქვენ ერთმმართველობას ვერ თმობთ. განა არ შეიძლება, რომ ვინც პარლამენტში არ შევა, ხელფასები არ გავცეთ მათზე, იმუნიტეტიც შეუწყდეთ და ოპოზიციონერ პარტიებს დაფინანსება შეუწყდეს ბიუჯეტიდან, თუ ესეც სტრატეგიულ პარტნიორებს უნდა შეუთანხმოთ?!

* საქართველო განათლებით, კულტურით, ხელოვნებით, სპორტით, კურორტებით, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მიღწევებით, თუნდაც საუკეთესო ტელეგადაცემებით ამაყობდა. ეს დარგები ან საერთოდ აღარ არსებობს, ან სულს ღაფავს. განა მარტო უგუნურ ოპოზიციასთან გაუთავებელი ჭიდაობა გვიშველის?

* დარწმუნებული ვარ, თქვენი და თქვენი გარემოცვის დროის ბიუჯეტი მხოლოდ ოპოზიციასთან ბრძოლასა და არჩევნებს ხმარდება. სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების არც განხილვა და არც გადაწყვეტა არ ხდება. რას ჰგავს ჩვენი საგარეო ან საშინაო პოლიტიკა; ხალხი შიმშილობს, უმუშევრობა იზრდება, სუიციდის შემთხვევები, კრიმინალი, ნარკომანია, პროსტიტუცია, მამათმავლობა მატულობს, შობადობა მცირდება, ეკოლოგიური კატასტროფა ქვეყანაში ვის აწუხებს, ვინ იხილავს ან ვინ წყვეტს ამ პრობლემებს? არავინ.

* საზოგადოების უდიდესი ნაწილი დარწმუნებული ვართ, რომ არჩევნებმა დემოკრატიულ, მშვიდ, კანონიერ, ობიექტურ და თავისუფალ ვითარებაში ჩაიარა. არჩევნების შედეგები ლეგიტიმურია. ამას წყალი არ გაუვა.

* საოცარია ხელისუფლების მომხრეები, თუნდაც ვინც გაიმარჯვა არჩევნებში, რატომ დუმან საეჭვოდ?

* საქართველოს გამორჩეული საზოგადოების დიდი ხნის თხოვნაა, რომ მსოფლიოში აღიარებული სკულპტორის, მერაბ ბერძენიშვილის, შესანიშნავი ქმნილება, დიდი დავით აღმაშენებლის ძეგლი, დავაბრუნოთ ავტორის მიერ შერჩეულ ადგილზე, სააკაშვილის მიერ გზაგასაყარზე, სრულიად შეუფერებელ ადგილას მოსროლილი.

* თქვენ ღირსადაც არ თვლით ხალხს, აუხსნათ ჩვენი პრეზიდენტის არაჩვეულებრივ საპრეზიდენტო სასახლეში გადასვლა და იქ ფუნქციონირება, რატომ არ წყვეტთ ამ საკითხებს და დუმხართ ჯიუტად?

* ათეულობით და ასეულობით ასეთი ეროვნული საკითხია თქვენ მიერ განუხილავი და გადაუწყვეტელი, რომლებსაც არავითარი ფინანსური რესურსი არ სჭირდება.

* თქვენი ხელშეწყობით გუნდ-გუნდად რომ დაფრინავენ უცხოეთის საერთაშორისო ორგანიზაციებში ოპოზიციონერები ბიზნესკლასით, ჩერდებიან ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში და მწვავედ გაკრიტიკებენ მთელი მსოფლიოს გასაგონად, ასე უაზროდ იფლანგება საბიუჯეტო სახსრები. ზოგიერთები ისეთ ქვეყნებში დაფრინავენ, დიპლომატიური ურთიერთობაც რომ არ გვაქვს.

* ერთხელ ვენის აეროპორტში შემხვდა ჩვენი პარლამენტის სპიკერი, მას ახლდა ორი თანამშრომელი ქალბატონი, დაცვის ბიჭები და ყველა მისი ოჯახის წევრი, აუარებელი ტვირთით აცილებდა მთელი ჩვენი საელჩო.

* რას აკეთებენ პარლამენტის კომიტეტები, ვინმეს წერილობით ანგარიშს აბარებენ? ალბათ, არა!

* მდიდარი ხალხით არის გაჭედილი პარლამენტი, თავისთავად ეს ცუდი არაა. ცუდი ისაა, რომ ისინი ქვეყანაზე ზრუნვის მაგივრად მხოლოდ თავიანთ ბიზნესს ლობირებენ. ვინ ფიქრობს ხალხზე ან ქვეყანაზე? და არის გაუთავებელი ბრძოლა ულირს ოპოზიციასთან, რომელიც პარლამენტში ამაზრზენად იქცევა და არაფერზე პასუხისმგებლობას არ გრძნობს.

მომავალ შეხვედრამდე, ბატონო ბიძინა! მე მხოლოდ წარმატებები და გამარჯვებები მინდა გულწრფელად გისურვოთ ქართველი ხალხისა და ჩემი სამშობლოს საკეთილდღეოდ. თქვენ მშვენიერ ოჯახს ბედნიერებასა და გამრავლებას ვუსურვებ!

**ომარ მარგველაშვილი**

## ვაქცინა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უნგრეთი დეკემბერში დაიწყებს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შეტანას ქვეყანაში. უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პეტერ სიიარტოს განცხადებით, რუსეთი უნგრეთს მცირე რაოდენობის პარტიას მიაწვდის კლინიკური კვლევების დასასრულებლად, ვაქცინის სრულყოფილად შესწავლისა და უნგრეთში მისი ლიცენზირების მიზნით. ვაქცინის დიდი პარტიების მიწოდება კი დაიწყება 2021 წლის იანვრის მეორე და მესამე კვირებში. ამასთანავე, ერთ-ერთი უნგრული კომპანია დაიწყებს ამ ვაქცინის წარმოებას.**

# რუსულმა ვაქცინამ ევროპული ბლოკადა გაარღვია

**უნგრეთი მზად არის, დეკემბერში შეისყიდოს კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინა, — განაცხადა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პეტერ სიიარტომ, რომელიც ინფიცირებულია და კარანტინში იმყოფება. ამასთანავე, ევროკომისიამ, რომელიც ცოტა ხნის წინათ ბუდაპეშტს სანქციებით ემუქრებოდა რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V"-ის გამოყენების შემთხვევაში, აზრი შეიცვალა. გამორიცხული არ არის, რომ უნგრეთის კვალდაკვალ ევროკავშირის სხვა ქვეყნებმაც მიმართონ რუსეთს ვაქცინის შესაძენად.**

უნგრეთი დეკემბერში დაიწყებს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შეტანას ქვეყანაში. უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პეტერ სიიარტოს განცხადებით, რუსეთი უნგრეთს მცირე რაოდენობის პარტიას მიაწვდის კლინიკური კვლევების დასასრულებლად, ვაქცინის სრულყოფილად შესწავლისა და უნგრეთში მისი ლიცენზირების მიზნით. ვაქცინის დიდი პარტიების მიწოდება კი დაიწყება 2021 წლის იანვრის მეორე და მესამე კვირებში. ამასთანავე, ერთ-ერთი უნგრული კომპანია დაიწყებს ამ ვაქცინის წარმოებას.

საინტერესოა ევროკავშირის რეაქცია მისი ერთ-ერთი ქვეყნის გადაწყვეტილებაზე, დახმარებისთვის რუსეთს რომ მიმართა.

**„ევროკავშირის ნორმებით დასაშვებია, უნგრეთმა რუსეთისგან შეიძინოს კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შეზღუდული რაოდენობა ევროპული სერტიფიკაციის გარეშე, თავისი იურიდიული პასუხისმგებლობით",** — განაცხადა რამდენიმე დღის წინათ ევროკომისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **სტეფან დე კეეპსმაკერმა.**

მოგვიანებით კი ბრიუსელიდან სხვა, უფრო მკაცრი განცხადება გაისმა. ევროკომისიის მეორე წარმომადგენელმა **ერიკ მამერმა** უნგრეთი გააფრთხილა, რომ რუსული ვაქცინის შესყიდვის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემენ, თუ მოხდება ამ ვაქცინის სერტიფიკაცია ევროკავშირის ბაზარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში „ევროკომისია იძულებული იქნება, მკაცრი ზომები მიიღოს". მამერმა ოფიციალურ ბუდაპეშტს შეახსენა, რომ ბრიუსელი ვაქცინის მიწოდებაზე შეთანხმებას აფორმებს მხოლოდ იმ ქვეყნებთან, რომლებიც შემდეგ პრეპარატის დამზადებას დაიწყებენ ევროკავშირის ტერიტორიაზე და არ აწარმოებენ მოლაპარაკებებს რუსეთთან ან ჩინეთთან. აღსანიშნავია, რომ ბუდაპეშტის განზრახვა, რუსეთისთვის ან ჩინეთისთვის მიემართა დახმარებისთვის, საიდუმლო არ ყოფილა ევრობიუროკრატებისთვის. ჯერ კიდევ ოქტომბერში უნგრეთის პრემიერმინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** განაცხადა, რომ ქვეყანა მოლაპარაკებებს აწარმოებს მოსკოვსა და პეკინთან ვაქცინის შესყიდვაზე.

„ევროჩინოსნების პოზიციების მოულოდნელი ცვლილება ადვილი ასახსნელია", — ამბობს რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ანდრეი კლიმოვი. „მე მათ ბევრჯერ შევხვედრივარ და შემიძლია ვთქვა — ისინი კარიერისტები არიან, მათ ნაწილს მკვეთრად ანტირუსული განწყობა აქვს, მაგრამ იდიოტები არ არიან. ისინი აცნობიერებენ, რომ ევროკავშირში განწყობა არ არის ნებისმიერ ფასად რუსეთთან დაპირისპირების სასარგებლოდ",** — აღნიშნა სენატორმა.

**„ევროპარლამენტის დეპუტატების დაახლოებით მეოთხედი არ არის ანტირუსულ პოზიციაზე,** — დასძინა კლიმოვმა, — **ევრობიუროკრატები იძულებულნი არიან, რეაქცია ჰქონდეთ, სავარძლების გარეშე რომ არ დარჩნენ".**

„რაც შეეხება უნგრეთს, საიდუმლო არავისთვისაა, რომ ეს ქვეყანა დიდი ხანია, ნერვებს უშლის ევროკავშირს", — აღნიშნა სენატორმა. **„უნგრელები იცავენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს კანონმდებლობის, მართლწესრიგის, სამართალწარმოების სფეროებში, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თავისი მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანდაცვის საკითხებში ბუდაპეშტი ამოდის არა ე.წ. ევროპული ფასეულობების პრიორიტეტებიდან, არამედ იქიდან, რომ ადამიანის სიცოცხლე უმაღლესი ფასეულობაა".**

„უნგრეთის ფარმაკოლოგიური მრეწველობას რუსეთთან ურთიერთქმედებას უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდა, როცა სოციალისტური ბლოკი არსებობდა, ამიტომ ეს თანამშრომლობა არახალია", — განაცხადა კლიმოვმა.

მსგავსი თვალსაზრისი აქვს კლუბ „ვალდაის" წევრს, პროფესორ **სტანისლავ ტკაჩენკოს.** „უნგრეთში ერთმანეთს დაემთხვა ორი პროცესი: პირველი — კორონავირუსის მეორე ტალღამ მთელ ევროპას გადაუარა, ამიტომ ვაქცინა საჭიროა, — განაცხადა ექსპერტმა, — მეორე — **დღეს ევროკავშირის კურსის საწინააღმდეგოდ სვლა უნგრეთის ყოველდღიური პოლიტიკაა".** პოლიტოლოგის აზრით, უნგრეთის გარდა ცენტრალურ ევროპაში კიდევ არიან სახელმწიფოები, რომლებიც არ ეთანხმებიან ევროკავშირის გადაწყვეტილებებს. მაგალითად, **პოლონეთი** და ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებშიც პოპულარულია ნაციონალისტური იდეები და პარტიები".

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რუსოფობიის მიზეზით „პოლონეთი, ალბათ, არ იყიდის რუსულ ვაქცინას, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებმა — ჩეხეთმა, სლოვაკეთმა, ხორვატიამ — შეიძლება შეიძინონ, რადგან მათ გამძაფრებული აქვთ დამოუკიდებლობის განცდა ევროკავშირის მიმართ".



რუსული პრეპარატით დაინტერესებულია კიდევ ერთი ქვეყანა — **ავსტრია.** კრემლის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინისა** და ავსტრიის პრემიერმინისტრ **სებასტიან კურცის** ცოტა ხნის წინათ გამართული სატელეფონო საუბრისას კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინის გამოყენებაზეც იყო საუბარი.

**უნგრეთი ერთადერთი ქვეყანა არ არის, რომელსაც სურს კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შეძენა. ჯერ კიდევ აგვისტოში ვაქცინის შეძენის სურვილი გამოთქვა 27 ქვეყანამ, ნოემბერში რუსული ვაქცინის წარმოების დაწყების მზადყოფნაზე განაცხადა ეგვიპტემ.**

**უნგრეთი ერთადერთი ქვეყანა არ არის, რომელსაც სურს კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შეძენა. ჯერ კიდევ აგვისტოში ვაქცინის შეძენის სურვილი გამოთქვა 27 ქვეყანამ, ნოემბერში რუსული ვაქცინის წარმოების დაწყების მზადყოფნაზე განაცხადა ეგვიპტემ. არგენტინის პრეზიდენტმა ალბერტო ფერნანდესმა სურვილი გამოთქვა, დაელაპარაკოს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ვაქცინა «სპუტნიკ V»-ის დიდი პარტიის შესყიდვის შესახებ, მოგვიანებით კი თქვა, რომ მის ქვეყანას აქვს 25 მლნ ვაქცინის შეძენის შესაძლებლობა**



**კლინიკური გამოცდის ეტაპი პირველებმა გაიარა ჩინური კვლევითი ინსტიტუტებისა და ფარმაკომპანიების პრეპარატებმა, მეორე იყო ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ბრიტანულ-შვედური გიგანტის — AstraZanca-ს ვაქცინა, ხოლო მესამე — მოსკოვის გამალეიას სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის მოსკოვის ცენტრის ვაქცინა «სპუტნიკ V»**

არგენტინის პრეზიდენტმა **ალბერტო ფერნანდესმა** სურვილი გამოთქვა, დაელაპარაკოს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ვაქცინა „სპუტნიკ V"-ის დიდი პარტიის შესყიდვის შესახებ, მოგვიანებით კი თქვა, რომ მის ქვეყანას აქვს 25 მლნ ვაქცინის შეძენის შესაძლებლობა.

**„როცა ზოგიერთი რუსეთს ახსენებს, მეჩვენება, რომ არ ესმის, რაზე ლაპარაკობს. ეს ხომ ზესახელმწიფოა, რომელსაც ნობელის პრემიის 28 ლაურეატი ჰყავს; სახელმწიფო, რომელსაც უზარმაზარი სამეცნიერო პოტენციალი და მოწინავე ტექნოლოგიები გააჩნია. ზოგიერთმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ერთპოლუსიანი მსოფლიო აღარ არსებობს",** — განაცხადა არგენტინის პრეზიდენტმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ქვეყანაში კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო პირველი ვაქცინის, „სპუტნიკ V"-ის, რეგისტრაციის შესახებ ამა წლის აგვისტოში განაცხადა, ოქტომბერში თქვა, რომ **ნოვოსიბირსკის სამეცნიერო ცენტრმა „ვექტორმა" მეორე რუსული პრეპარატი გაატარა რეგისტრაციაში; 6 ნოემბერს კი განაცხადა, რომ მალე რეგისტრაციას გაივლის ჩუმაკოვის ცენტრის მიერ შექმნილი მესამე ვაქცინაც.** გასულ კვირას რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების ფონდმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას მიმართა განცხადებით, „სპუტნიკ V"-ის რეგისტრაციის პროცედურის დასაჩქარებლად.

ამრიგად, **რუსეთი ღირსეულად ასპარეზობს მსოფლიოში ახალი ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნის შეჯიბრში. ჯანმოს მონაცემებით, მსოფლიოში 150 ვაქცინაა, რომლებიც კლინიკური გამოცდის სტადიამდეა, 47 კი — კლინიკურ გამოცდას გადის.**

კლინიკური გამოცდის ეტაპი პირველებმა გაიარა ჩინური კვლევითი ინსტიტუტებისა და ფარმაკომპანიების პრეპარატებმა, მეორე იყო ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ბრიტანულ-შვედური გიგანტის, AstraZanca-ს, ვაქცინა, ხოლო მესამე — მოსკოვის გამალეიას სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის მოსკოვის ცენტრის ვაქცინა „სპუტნიკ V".

რაოდენობა იმ ქვეყნებისა, რომელთა პრეპარატებმა კლინიკური ეტაპი გაიარეს, განუხრელად მატულობს. მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ თურქეთმა განაცხადა საკუთარი ვაქცინის შექმნაზე. ამ ფონზე აშშ-მა რუსეთი, ჩინეთი და ირანი დაადანაშაულა, რომ თითქოს ეს ქვეყნები ცდილობენ, ხელი შეუშალონ აშშ-ს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაში.

vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

1991 წელს ტაისონი „როდ-აილენდის შტატის შავი მის-ის“, 18 წლის დეზირე ვაშინგტონის გაუპატიურებაში დაადანაშაულეს და 3 წლით ჩასვეს ციხეში. ის რინგს 1995 წელს დაუბრუნდა. მოიპოვა უამრავი გამარჯვება, ფული და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონობა. სწორედ ამ პერიოდში შეარქვეს მას მეტსახელები: „რკინის მაიკი“ და „კაცი-დინამიტი“.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყურისმკვნეტელი «რკინის მაიკი»





მაიკ ტაისონი, დონ კინგი და მუჰამედ ალი



**ამერიკელი მძიმეწონოსანი პროფესიონალი მოკრივე, მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი WBC-ის, WBA-ს, IBF-ისა და The Ring-ის ვერსიებით, მაიკ ტაისონი (მაიკლ ჯერარდ „მაიკ“ ტაისონი) დაიბადა 1966 წლის 30 ივნისს ნიუ-იორკის რაიონ ბრუკლინში. მაიკი დაბადებული არ იყო, მამამ ისე მიატოვა, ამიტომ ბიჭს დედის პირველი ქმრის გვარი მისცეს.**

მაიკი ბავშვობაში უნებისყოფო იყო და თავის დაცვა არ შეეძლო. მას დასცინოდნენ არა მხოლოდ კლასელები, არამედ უფროსი ძმაც. ტაისონის ცნობიერებაში გარდატეხა მოხდა მაშინ, როცა მისმა უზნელმა ხულიგანმა ბიჭმა მტრედს თავი მოაგლიჯა. გამძვინვარებული მაიკი ეცა ხულიგანს და სასტიკად გალახა, ამის გამო ადგილობრივი მოზარდების პატივისცემა დაიმსახურა.

ახალ მეგობრებთან ერთად მაიკმა ქურდობა დაიწყო და არაერთხელ აღმოჩნდა არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ გამოსასწორებელ დაწესებულებაში.

გამოსასწორებელ კოლონიაში ყოფნისას ტაისონს ბედმა გაუღიმა და შეხვდა სახელგანთქმულ მოკრივეს — **მუჰამედ ალის,** რომელიც იქ მოზარდების პრობლემებზე სასაუბროდ მივიდა. ალისთან შეხვედრის შემდეგ ტაისონი პირველად დაფიქრდა პროფესიონალი მოკრივის კარიერაზე.

13 წლის მაიკი, რომელიც იმ მომენტისთვის უკვე ითვლებოდა გამოუსწორებელ დამნაშავედ და გონებრივად ჩამორჩენილად, ლეგენდარული მწვრთნელის, **კას დამატის,** ხელში მოხვდა. სწორედ იმხანად აირჩია მაიკმა თავისი სტილი — მოკრივე რინგზე გამოდიოდა მუსიკალური მისალმების გარეშე, უხალათოდ, შავი ტრუსითა და მოკრივის შავი ფეხსაცმლით.

## კარიერა

მაიკმა პირველი ტიტული 1981 წელს მოიპოვა — იუნიორთა ოლიმპიურ ტურნირში პირველ ადგილზე გავიდა. მომდევნო წელს მან კვლავ გაიმეორა ეს მიღწევა, 1983-1984 წლებში კი ეროვნულ ჩემპიონატებში გაიმარჯვა. პროფესიონალურ რინგზე მას დებიუტი 1985 წელს ჰქონდა — მან 15 ორთაბრძოლა გამართა და ყველა ნოკაუტით მოიგო. მაიკ ტაისონის სვლა დიდებისკენ 1986 წელს დაიწყო, როდესაც დაამარცხა ისეთი ძლიერი მეტოქეები, როგორებიც არიან მაიკ **ჯეიმსონი, სტივ ზიუსკი, ჯეიმს ტილისი, რეჯი გროსი,** აგრეთვე, **მიტჩ გრინი,** რომელიც ტაისონთან ორთაბრძოლის შემდეგ 7 წლის განმავლობაში რინგზე არ გამოსულა. მაიკს დიდი პოპულარობა მოუხვეჭა იმხანად ყველაზე პერსპექტიულ მოკრივე **მარვის ფრეიზერთან** მოპოვებულმა გამარჯვებამ, ტაისონმა მეტოქე პირველივე რაუნდში გაგზავნა ნოკაუტში.

1987 წელს ტაისონმა WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი **ტრევორ ბერბიკი** დაამარცხა და 1,5 მლნ დოლართან ერთად მძიმე წონის მოკრივეებში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა. შემდეგ მან მსოფლიოს ექსჩემპიონი **პინკლონ ტომასი, ტაირელ მიგსი, ტონი ტაკერი** და **ლარი ჰოლმსიც** დაამარცხა და მძიმე წონაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ტრიუმფით მოგებულ ორთაბრძოლებთან ერთად იყო წარუმატებულობაც — 1990 წელს ტაისონი ერთი შეხედვით სუსტ მეტოქესთან, **ჯეიმს „ბასტერ“ დაგლასთან,** დამარცხდა.



მაიკ ტაისონი და მისი მწვრთნელი კას დ'ამატო



მაიკ ტაისონი ყურს აკვნეტს ევანდერ ჰოლიფილდს

1991 წელს ტაისონი „როდ-აილენდის შტატის შავი მის-ის“, 18 წლის დეზირე ვაშინგტონის გაუპატიურებაში დაადანაშაულეს და 3 წლით ჩასვეს ციხეში. ის რინგს 1995 წელს დაუბრუნდა. მოიპოვა უამრავი გამარჯვება, ფული და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონობა. სწორედ ამ პერიოდში შეარქვეს მას მეტსახელები: **„რკინის მაიკი“** და **„კაცი-დინამიტი“.**

1997 წელს, ზაფხულში გაიმართა ცნობილი ორთაბრძოლა მაიკ ტაისონსა და **ევანდერ ჰოლიფილდს** შორის, რომლის მიმდინარეობისას ტაისონმა მეტოქეს მარჯვენა ყურის ნაწილი მოაკვნიტა. ორთაბრძოლა ჩხუბით დასრულდა, მაიკს მოკრივის ლიცენზია ჩამოართვეს და 3 მლნ დოლარით დააჯარიმეს.

მაიკი რინგზე 1999 წელს დაბრუნდა, მაგრამ, კრიტიკოსების აზრით, ეს უკვე აღარ იყო ძლევამოსილი ტაისონი. ამასთანავე, მან დაიწყო ნარკოტიკების მოხმარება, ერთ დღეს კი აღიარა, რომ სხვისი შარდის ანალიზს იყენებდა ორთაბრძოლის წინ დოპინგტესტის გასავლელად.

2002 წელს გაიმართა კრივის ისტორიაში ყველაზე დიდშემოსავლიანი ორთაბრძოლა ტაისონსა და ბრიტანელ მოკრივე **ლენოქს ლუისს** შორის. ლუისმა ტაისონი ნოკაუტში ჩააგდო, მოგვიანებით კი, 2005 წელს, თითქმის უცნობ ირლანდიელ **კევინ მაკბრაიდთან** დამარცხების შემდეგ, ტაისონმა კარიერა დაასრულა. იმხანად ის სერიოზულ ფინანსურ პრობლემებსაც განიცდიდა და თავი გაკოტრებულად გამოაცხადა.

ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ტაისონმა ძალები კინემატოგრაფში მოსინჯა. ის გადაიღეს სერიალში „როკი ბალბოა“ (2006 წ.), „ბიჭები ვეგასში“ (2009), სულ კი 50-ზე მეტ ფილმში მონაწილეობდა. 2013 წელს ტელეარხ Fox Sport-მა ეთერში გაუშვა ანიმაციური დოკუმენტური სერიალი „მაიკ ტაისონის საიდუმლოებები“. იმავე წელს მაიკმა გამოსცა ავტობიოგრაფიული წიგნი „მაიკ ტაისონი. უდავო ჭეშმარიტებები“, რომელიც ბესტსელერად იქცა. 2017 წელს კი ტაისონმა თავისი არხი გახსნა You Tube-ზე.

## მაიკ ტაისონის პირადი ცხოვრება

ტაისონი 3-ჯერ იყო დაქორწინებული: მსახიობ **რობინ გივენსზე** (1988-1989), ექიმ **მონიკა ტერნერსა** (1997-2003) და **ლაკია „კიი“ სპაისერსზე** (2009 წლიდან). მათგან მაიკს 8 შვილი ჰყავს.

ციხეში ყოფნისას მაიკი მუსლიმანად მოინათლა და არაბული სახელი მიიღო — **მალიქ აბდულ აზიზი.** 2008 წელს ვეგანი გახდა და ყველას მოუწოდებდა, უარი ეთქვა ალკოჰოლზე, მაგრამ 2011 წელს ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში აღიარა, რომ ცრუობდა — ალკოჰოლსაც ეტანებოდა და ხორცსაც მიირთმევდა.






მაიკ ტაისონი და მისი მეუღლე ლაკია სპაისერი

მოამზადა
ნიკა კორინთელმა

# სომხეთმა და აზერბაიჯანმა რუსეთის შუამავლობით ხელი მოაწერეს შეთანხმებას მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ

**სომხეთმა და აზერბაიჯანმა რუსეთის შუამავლობით მოილაპარაკეს მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. რეგიონში რუსეთის სამშვიდობო ძალები უკვე ჩადგნენ.**

მთიან ყარაბაღში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შეიარაღებული დაპირისპირება 27 სექტემბერს დაიწყო და ბოლო დღეებამდე გრძელდებოდა. დაღუპულია ასობით სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი მოქალაქე.

9 ნოემბრის ღამეს რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი,** აზერბაიჯანის პრეზიდენტი **ილჰამ ალიევი** და სომხეთის პრემიერმინისტრი **ნიკოლ ფაშინიანი** ერთობლივი განცხადებით გამოვიდნენ 10 ნოემბრის 00 საათიდან რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.



შეთანხმების მიხედვით, ერევანმა ბაქოს უნდა გადასცეს ყარაბაღის რამდენიმე რეგიონი, რუსეთმა კი რეგიონში სამშვიდობო ძალები უნდა შეიყვანოს.

**„სამხედრო ფაზა დასრულებულია და ჩვენ გადავდივართ საკითხების პოლიტიკურ მოგვარებაზე. ეს ყველაზე სასარგებლო ვარიანტია ჩვენთვის“,** — განაცხადა აზერბაიჯანის ლიდერმა **ილჰამ ალიევმა.**

სომხეთის პრემიერმინისტრ **ნიკოლ ფაშინიანის** თქმით, **„ეს გადაწყვეტილება მიიღეს სამხედრო სიტუაციის გაანალიზებისა და იმ ხალხის რჩევის შედეგად, რომელმაც ყველაზე უკეთ იცოდა ვითარება“.**

**„ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები ხანგრძლივად დაამყარებს მშვიდობას აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხებს შორის“,** — განაცხადა **ვლადიმერ პუტინმა.**

სამმხრივი 9-პუნქტიანი შეთანხმების მიხედვით, ერევანმა ბაქოს უნდა გადასცეს ყარაბაღის რამდენიმე რაიონი. რუსეთი კი მთიან ყარაბაღში გაგზავნის 1969 სამხედროს, 90 ჯავშანმანქანას და 380 ერთეულ სპეცტექნიკას.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# «ნაციონალური მოძრაობის» თავმჯდომარე ოპოზიციას პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდებს

## «სასწრაფოდ გადავიტანოთ პროცესი მოლაპარაკების მაგიდასთან, ჩავანაცვლოთ ქუჩა ყველა დონის საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნით»

**„აუცილებლად მიმაჩნია, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად დავასრულოთ ეს პოლიტიკური კრიზისი ოპოზიციის გამარჯვებით და პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებით — „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, გრიგოლ ვაშაძის, ეს განცხადება სააგენტო „ნიუპოსტმა“ გაავრცელა.**

„საქართველო ძალიან სახიფათო მდგომარეობაშია. გვაქვს ოთხი უმძიმესი გამოწვევა — ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და დემოგრაფიული. ამას ემატება კორონავირუსის კონტროლიდან გასული მსოფლიო ეპიდემია. ამასთანავე, უკიდურესად გამწვავებულია სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია ჩვენს რეგიონში. საქართველოში კი ეროვნული კონსოლიდაციის ნაცვლად საქმე გვაქვს პოლიტიკური პროცესის უკიდურეს გამწვავებასთან, რომელსაც შიშის მომგვრელი სისწრაფით მივყავართ სამოქალაქო დაპირისპირებისა და ქაოსისკენ.

თუ საქართველოს პოლიტიკური სპექტრი არ გააცნობიერებს არსებული საფრთხეების სიღრმეს, იმას, თუ საით მიექანება ჩვენი სახელმწიფო, არ გაითვალისწინებს მოქალაქეების უმრავლესობის დაკვეთას, არ მიაქცევს ყურადღებას არასამთავრობო სექტორის რჩევებს და იმას, თუ რას გვთავაზობენ ჩვენი მოკავშირეები თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობის მეშვეობით, ანუ აუცილებელი ცვლილებების უზრუნველყოფას დემოკრატიული პროცესის მშვიდობიანი განვითარების გზით, ჩვენ დავკარგავთ სახელმწიფოს სტაბილური და უსაფრთხო განვითარების გზაზე გაყვანის შანსს. მივმართავ ყველა პოლიტიკურ პარტიას: სასწრაფოდ გადავიტანოთ პროცესი მოლაპარაკების მაგიდასთან, ჩავანაცვლოთ ქუჩა ყველა დონის საკონონმდებლო ორგანოს ტრიბუნით და ყველა ძალას მოვუხმოთ სახელმწიფოს ღრმა კრიზისიდან გამოსაყვანად. ამისათვის კი აუცილებლად მიმაჩნია, რომ სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად ბოლომდე მივიყვანოთ სადავო უბნების გადათვლისა და სასამართლოების მიერ ოპოზიციის საჩივრების განხილვის პროცესი, რაც მოგვცემს საშუალებას, დავასრულოთ ეს პოლიტიკური კრიზისი ოპოზიციის წარმომადგენლების სამართლიანი გამარჯვებით და პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებით...“ — ნათქვამია განცხადებაში.

მოგვიანებით გავრცელდა „ნაცმოძრაობის ლიდერის“, მიხეილ სააკაშვილის, განცხადებაც:

„მთლიანად ვეთანხმები, უკომპრომისო ბრძოლა გამარჯვებამდე! — ასე გამოეხმაურა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, გრიგოლ ვაშაძის, განცხადებას.

რეპლიკა

# ტურა ტოროლას გალობას ასწავლიდა

## „იქ, სადაც უწინ კიოდა ტურა, ჩვენ გავაშენეთ ჩაის კულტურა“.



**გასული საუკუნის 30-იანი წლების საკოლმეურნეო ფოლკლორის ეს ნიმუში მონატრებამ კი არ გამახსენა, არამედ 31 ოქტომბერს პარლამენტის დეპუტატობის იმედგაცრუებული კანდიდატის მიერ მოწყობილმა სანახაობამ — პერფორმანსმა წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის წინ.**

იდგა ხალხის აუხდენელი იმედის ეს განსახიერება რამდენიმე პოლიციელის კორდონის წინ ისე უადგილოდ, როგორც გასული შაბათის ქარიან ნაშუადღევს გაცრეცილი ღრუბლისფერი ნახევარმთვარის შემორჩენა შემოდგომის მოკრიალებულ ცაზე, იდგა და „ეჭირა რეჩი“, რომლისაც, მგონი, თვითონაც არა ესმოდა რა.

ნაკარნახევი იყო და იმიტომ.

შიგადაშიგ შეწყვეტდა მჭევრმეტყველების ნაკადს და შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ამოიძახებდა:

— ქურდებო!

ნამეტნავად სურდა, დამსგავსებოდა სახრჩობელისთვის განწირულ აზდაკს, რომელიც „ძაღლებოო“ კბენდა ჯალათებს, დასასჯელად რომ მიათრევდნენ.

კულისებში ეცინებოდა აზდაკს ამ ქალის თავგამოდებისა გამო. უფრო კი იმიტომ, რომ ვერაფერი ესწავლათ ნატურალებს თავიანთი კოლეგა ჟურნალისტის, ეკრანის ექსკლუზიური დიასახლისის პროფესიიდან პოლიტიკაში წასვლის და უსახელოდ უკან დაბრუნების საყოველთაოდ ცნობილი მაგალითიდან.

ეგებ იმიტომაც ეცინებოდა, რომ ტურის ჩხავილს უფრო ჰგავდა გაბითურებული ნაკანდიტარის უემოციო ისტერიკა, რომელსაც თბილისისა და კიდევ ორიოდ რაიონის საარჩევნო უბნის ეზოებიდან თუ გამოეხმაურა პანჩურამოკრულთა კლასტერის რამდენიმე წარმომადგენელი.

ისიც საკითხავია.

წყალტუბოში ჩაის პლანტაციების აღსადგენად არავის მოუკლავს თავი. კურორტის აღდგენითი სამუშაოების დაწყება ამათგანს არავის შეუმჩნევია.

პრინციპულად.

პრინცესა ტურანდოტი „ტუდა-ობრატნო“ ბილეთს არ ყიდულობს. მიემგზავრება მხოლოდ ერთი მიმართულებით — „ტუდა“ (იქით), მხოლოდ იქით, სადაც პატარა ჭიქაში დიდი ქარიშხალი უნდათ, რომ მოაწყონ, სახელად პოლიტიკა.

აბა, სხვაგან სად ასწავლის ტურა ტოროლას გალობას?!

იმ ქარიშხალმაც ჩაიარა. მოწყენილად, უგულოდ, უშედეგოდ, უქმი სვლით, ორგანიზატორების მიერ სახმო იოგების დაგლეჯამდე ყვირილის მიუხედავად.

რუსთაველის პროსპექტს არ გასცილებია.

არ აჰყვა ხალხი, არ აზვირთდა რევოლუციური ტალღა სააკაშვილის ხელისუფლების დასაბრუნებლად.

ერთი თვითმარქვია ლიდერი მაინც თავისას არ იშლიდა და „ტოლების“ გულის გასახეთქად საპროტესტო ტრიბუნაზე შემდგარი იმეორებდა იოსებ გრიშაშვილის ერთი ლამაზი საგაზაფხულო ლექსის სტრიქონის წინა აქციიდან გამოყოლილ დამახინჯებულ ვარიანტს: „აუ, რამდენი ვყოფილვართ!“

თბილისის აშუღი სოსო გრიშაშვილი წერდა:

**„თორემ ვბერდები...**
**და გულმაც ლოდინის შხამი დალია,**
**ჰაუუ, რა კარგი დღე არის!**
**ეჰეე, რამდენი ქალია!“**

გააბინძურეს, გააჭუჭყიანეს პოლიტიკური შხამ-სამხალით.

ტრაგედიაა, როცა ივიწყებ იმ ფესვებს, რომლებზეც ამოზრდილხარ.

**ა.ს.**

# საჩუქარი ქართველი მკითხველისთვის — ჰეგელის «ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე»

გერმანულიდან ქართულად ითარგმნა, დაისტამბა და უკვე იყიდება უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის — გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“. ეს საჩუქარი ქართველ მკითხველს რელიგიის დაუღალავმა მკვლევარმა, გერმანული ენიდან არაერთი ფილოსოფიური ნაშრომის მთარგმნელმა ვიქტორ რცხილაძემ და გამომცემლობა Carpe Diem-მა (დირექტორი ალექსანდრე ალადაშვილი) გერმანული „გოეთეს ინსტიტუტის“ დახმარებით გაუკეთეს.

წიგნი იყიდება თბილისში, მაღაზია „ლატერნაში“ (ცოტნე დადიანის № 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, მე-2 სართული) და რუსთაველის № 16-ში.




თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894